

K 1988  
N 2

ბიბლიოთეკა „ცოდნა“-ს ვაშლიკა № 49.

იმერეთის მეფე

# სოლომონ მეორე

(1908-1910 წ.)

ალ. ხანანაშვილისა.

თფილი

1911 წ.

ფასი 25 კპ.

მწიგნობარ-მეცნიერი „ცოდნა“-ს ვაშლიკის კ. № 4.

9(47-999) „17-18

წიგნის მალაზია „ცოდნა“-ს გამოცემა № 48.

5  
TFC 266704-8102.4

# მეფე ივერეთისა

# სოლომონ მე-II

ისტორიული წერილი

პროფ. ალ. ხახანაშვილისა.

K 1988  
2



ტფილისი.

სტამბა „გუბანგეგვი“, ოლგ. კეთ. სლები. ქ. № 1.

1910

მეფე იმერეთისა

## სოლომონ მე-II

წინასიტყვაობა.

1910 წელს შესრულდა ასი წელიწადი, რაც იმერეთის სამეფო შეუერთდა რუსეთს. იმერეთის უკანასკნელი მეფის მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ რთულ გარემოებათა ვითარებასთან, რომლის გამონასვლამ და შემდეგ ხმლით გაკეთებულ მოულოდნელ დასავლეთ სარქთოვლას სამეფოს. ამიტომ ჩვენ გვსურს მოკლეთ გავაცნოთ მკითხველს ცხოვრება სოლომონ II მეფისა და მიუხედავად ტანჯულს გვირგვინისა იმ სწავლით, რომლის ღირსიც გახდა იგი მოუდგომელ ანტონის მსჯავრის წინაშე.

**სოლომონ II**, მეფე იმერეთისა, ტახტზე ასვლამდე იწოდებოდა დავითად. იგი იყო შმისწული სოლომონ პირველისა, ძე არჩილისა, შვილის-შვილი ირაკლი მეორისა და დარეჯან დედოფლისა. როცა გარდაიცვალა სოლომონ პირველი (1784 წელს), დავითი დარჩა თორმეტის წლისა. რადგანაც ამ სოლომონ მეფეს არა ჰყავდა ვაჟიშვილი, ამიტომ ირაკლი II-ს პოეწადინა იმერეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარებულ ყოფილიყო მისი შვილის-შვილი, მოხსენებული დავით არჩილის ძე, სოლომონ მეფეც დასთანხმდა და შვილადამემკვიდრედ მიიღო დავითი. მაგრამ როცა სოლომონ I გარდაიცვალა, ერმა მეფედ მოისურვა ისეთი პირი, რომელიც ასაკში იყო მოსული, და არა მცირე-წლოვანი ყმაწვილი, როგორც იყო დავით არჩილის ძე. სასახლის კაცებმა ტახტის ღირსად დაინახეს მეფე ბატონიშვილი, ისიც სანებლად დავით, ხოლო ძე გიორგისი. გიორგი იყო ძმა სოლომონ პირველისა, ამ გიორგის ძე, დავითი, 29 წლისა გახდა, როცა გარდაიცვალა სოლომონ I. იგი ცხოვრობდა კაიხით აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ იღროვად და მეფის სიკაცხლეშივე დავით გიორგის ძე დაბრუნდა ტფილისიდან იმერეთს, ჭადაც ჩაიბარა მეფისგან წართმეული საუფლისწულო მამული. აი, ჟეს დავით გიორგის ძე, 29 წლის ვაჟი, ამჟამინეს 12 წლის დავით არჩილის ძეს და ერთხმად აღარეს იმერლებმა ზღვიანთ მეფედ. სარდარმა პაპუნა წერეთელმა დიდი სამსახურად გაუწია დავით გიორგის ძეს, თავის ცოლის ძმას, და გაამეფებინა იგი იმერეთში. მოსალოდნელი იყო წრეულობა დავით არჩილის ძის შედის გაოსაბრუნებლად, მაგრამ რუსეთის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ბურთაშევმა ჯა მასიმე კათარცოვმა მიიღეს საშუალება, რომ ხალხი დროებით დაეწყინარებინა და ეცნათ კანონიერ მეფედ გიორგი დავითის ძე.

ავიდა რა იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძემ მაშინვე გაგზავნა ელჩები რუსეთში, მსგავსად სოლომონ [ მაგალითისა, და ითხოვა დედოფლის ეკატერინე მეორისაგან შეწყნარება და მფარველობა. ელჩებდაიყვნენ ამორჩეულნი სარდალი და სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი, ძმა მოხსენებულის პაპუნა წერეთლისა, პირველი მდივანბეგი დავით კვინიხიძე და კათოლიკოსი მაქსიმე. ზურაბ წერეთელმა 1785 წ. 8 ივლისს მიართვა პეტერბურგში თავ. პოტიომკინს წერილი, სადაც განმარტავდა, რა სარგებლობის მოტანა შეეძლო რუსეთისთვის იმერეთის შეერთებას. ამავე დროს მეორე წერეთელი, პაპუნა, ზურაბის ძმა, ძირს უთხრიდა მეფეს დავით გიორგის ძეს შიგ იმერეთში. პაპუნას დამხარებით გამეფებული დავით გიორგის ძე მოექცა სრულიად სხვა პირის გავლენის ქვეშ და არ გაუმართლდა პაპუნას სამეფოში პარპაშობას იმედი; მეფესთან დაახლოვებულმა ქართლიდან გამოქცეულმა ელიზბარერისთავმა, რომელსაც ბრალდებოდა ირაკლი მეშვიშის წინააღმდეგ შეთქმაში მონაწილეობის მიღება, არ დაკმაყოფილებინა არც მცირე-წლოვანი დავით არჩილის ძე, სოლომონ პირველის მიერ მემკვიდრედ აღიარებული, და არ დააჯილდოებინა თვით პაპუნა წერეთელი იმ ციხე-სოფლებით, რომელთა დასაკუთრებისთვისაც მას ხარბი თვალი ეჭირა. ამგვარად, მცირე-წლოვანი ირაკლი მეფის შვილის-შვილი დავით არჩილის ძე და პ. წერეთელი შეაერთა ბედმა და ჩააფიქრა, როგორ დაედწიათ თავი მოულოდნელად გაბმული ქსელიდან. რაკი ირაკლი მეფემ თავის შვილის-შვილი მხოლოდ დავით მეფის კეთილ სინიღისს მიანდო და მათ განხეთქილებაში მონაწილეობას არ იღებდა, ამიტომ წერეთელმა და მასთან თავადმა წულუკიძემ მიჰმართეს ახალციხის ფაშას სოლემანს და თავიანთ განზრახვას მომხრენი მოუპოვეს.

სოლემან-ფაშა ახალციხელი და მასთან ომარხანი აფარელო საქართველოს ორივე მხრიდან სწეწდნენ. ამათ სასიამოვნოდ დარჩათ იმერეთში აღზნებული შინაური განხეთქილება და არცე-

დარევა. ამათ-მხარი დაუჭირეს მეფე დავითის მოწინააღმდეგე, დასს. პაპ. წერეთელსა და თავ. წულუკიძეებს 1786 წ. ზამთრის დღეებში ჩააბარეს 500 ლეკი და 1000 თურქი იმერეთზედ დასაცემად და ასაკლებად, მაგრამ ბედმა შემოსეულს ჯარს უმტყუნა: მეფე დავით გიორგის ძის რაზმმა დაამარცხა შემოსეული მტერი და მათ წინამძღვართ—წერეთელსა და წულუკიძეს, წაართვა სოფლები და მაშული. 1787 წ. შემოდგომამდის გამაგრდნენ დასჯილნი თავადნი მიუვალს ციხეში და შემდეგ კი გაიქცნენ და თვით მცირე-წლოვანი, მეფედ აღიარებული დავით არჩილის ძე, იძულებული შეიქმნა თავი შეეფარებინა ახალციხეს, სადაც დარჩა 1789 წლამდის.

ამგვარად, გამარჯვებული დარჩა დავით გიორგის ძე და შეუდგა სამეფო ტვირთის ზიდვას. მის განმტკიცებას ხელი შეუწყო რუსის მთავრობამაც. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, დავით გიორგის ძემ ტახტზე ასვლის შემდეგ გაგზავნა ელჩები რუსეთს მფარველობის სათხოვნელად. მართლაც, დავით გიორგის ძეს მოუვიდა გენერალ პოტემკინისაგან 4000 ოქრო და ამასთანავე დაავალა თავის მხრივ იმერეთში გამოგზავნილ პოლკოვნიკს ევგულინს მშვიდობიანობა ჩამოეგდო იმერთა შორის, შეერიგებინა მეფე დავით გიორგის ძე ამბოხებულ თავადებთან და დაემეგობრებინა დადიან-გურიელთან გარეშე მტერთა მოსაგერებლად. ხოლო რადვან სრული წესისა და ერთსულობის განმტკიცება მოითხოვდა მცირე-წლოვანის დავით არჩილის ძის იმერეთიდან განდევნას, ამიტომ უნდა ჩაეგონებინათ ამ ბატონიშვილისთვის წასულიყო რუსეთს დედოფლის მფარველობის ქვეშ იმ იმედით, რომ შემდეგ ბედს იქნება ერგუნებინა სოლომონ მეფის მემკვიდრეობა.

დავით არჩილის ძემ არ მიიღო ეს მოწოდება. ამან არჩია ახალციხეში დარჩენა და, ხუთი-ექვსი წლის ბრძოლის შემდეგ, შიზანსაც მიაღწია, დავით არჩილის ძემ შემწეობა სთხოვა ირაკლი მეფეს, რაკი მიაღწია ახალციხიდან ტფილისამდე. ირაკლიმ გაგზავნა იგი ოდიშს გრიგოლ კაციას ძე დადიანთან.

ამ უკანასკნელისა და ქართლ-კახეთის ზატონიშვილის დავითის დახმარებით დაშარცხდა იმერთა მეფე: დავით გიორგის ძე ტახტიდგან გადმოაყენეს 1790 წ., სამეფო სკიპტრა აიღო დავით არჩილის ძემ და დაირქვა სოლომონ მეორე. დავით გიორგის ძე კი გაიქცა ახალციხეში და იქვე გარდაიცვალა 1795 წ., ხოლო დავით არჩილის ძე, გამეფებული სოლომონ მეორის სახელით, შეითვისა ირაკლი II-მ, როგორც საყვარელი შვილის-შვილი და სანატრელი მემკვიდრე იმერეთის ტახტისა.

სოლომონ მეორეს ამის შემდეგ მოელოდა განუწყვეტელი უსიამოვნობა. ჯერ ეს ერთი, რომ განდევნილი მეფე დავით გიორგის ძე არ შეეურიგდებოდა უბრძოლველად თავის მწარე სვეს. მართლაც, პატივ-ახდილი მეფე შემოესია იმერეთს დაქირავებული ლეკების ჯარით, დაამარცხა სოლომონ II და განდევნა სამეფოდან. ხალხმა მეფედ იცნო კვლავ დავით გიორგის ძე. ახლა სოლომონ მეორეს გაუხდა სახვეწარნი საქმე. მოვიდა იგი ქართლს, შეაბრალა თავი ირაკლის და ამის შვილის-შვილის იოანეს დახმარებით დაიბრუნა იმერეთის ტახტი და განდევნა ლეკები და თურქები, რომელნიც დავით მეფეს ეხმარებოდნენ. სოლომონ მეფემ დროებით დაამშვიდა იმერეთი და თვით განდევნილს დავითს, ირაკლისა და ახალციხის ტახტის დახმარებით, პირაბა დაადებინა, რომ წინააღმდეგობას აღარ გაუწყოს და მოწრილო თავით დარჩება საცხოვრებლად იმერეთში.

მაგრამ შემო, რასაკვირველია, არ გათავდებოდა დავითის ფარული შინაპრობა სოლომონის წინააღმდეგ. შიშხიო-რა მან გრიგოლ დადიანი, ოსმალთაგან 1784 წ. შეფედ წოდებული თავაჯი ამშინძე და ახალციხის ფაშა, დავითმა განიზრახა სოლომონის მოკლა. როცა ეს საიდუმლოება გამომეტავნდა, დავითმა შეჰფიცა ერთგულებაზე და აშანათად გაუგზავნა სამის წლის შვილი კონსტანტინეც, რომელიც სოლომონ მეფემ რუსეთში მუსხერის ციხეში დაატუნა. ამის შემდეგაც

არ დასცხრა მაინც დავითი; ქიშპოზა არ შოისპო. მან აღა-  
შფოთა გრიგოლ დადიანი და ომინი შეება იურეთს.

სოლომონმა დაამარცხა დადიანი, ჭააქცია იგი აფხაზე-  
თისკენ და მის ადგილას გაბატონა უმცროსი ძმა მესი მანუ-  
ჩარ, ხოლო თვით დავით კი გაიქცა ახალციხეს.

არ გავიდა დიდი ხანი და სოლომონს კვლავ წინააღმდეგა  
გრიგოლ დადიანი აჭხაზთა, გურულოთა და ლეკთა დახმარე-  
ბით. შეერთებული ჯარი მოადგა კოტატიის \*), მაგრამ, და-  
მარცხებულნი სოლომონის მიერ, გაიფანტნენ წხ დროებით  
ზაყუნჩდნენ. გადაყენებული დაჯი მეთექვ, მომწყვდეული ახალ-  
ციხეში, იმედს არა ჰკარგავდა თურქთა დახმარებით ტახტი  
დაებრუნებინა. რუსეთმა კი თავის ბედს წერას მ ანდო იმე-  
რეთის საქმეები. ირაკლი II დახმარებას არ აკლგბდა სოლო-  
მონს და მოაშველა კიდევ ბატონიშვილი ალექსანდრე არ-  
ტილერიით. იმერეთში საომრად სამზადისს ბოლო მოჰლო-  
დნელად მოელო. 1795 წ. თებერვალში გარდაიცვალა ანანო-  
ციხეს ყვავილით დაავადყოფებული მეფე დავითი. ამის შვილი  
კონსტანტინე დარჩა მხედლად სოლომონს, ხოლო სმის ცო-  
ლმა ანანამ თავი შეაფარა ირაკლი მეფის მფარველობას. სო-  
ლომონ მეფე, ირაკლის შუამავლობით, შეურთგდა გრიგოლ  
დადიანს და დაუბრუნა მას სადადიანო. ქრთობის ვასამტყუ-  
რებლად სოლომონმა შეიროთ ცოლად დადიანის დაი, ხოლო  
გრიგოლ დადიანმა დაიწერა ჯვარი ირაკლი მეფის შვილის-  
შვილზე, ნინო გიორგის ასულზე და ამ ნათესავეური კავშირის  
დაკერით ისარგებლა სოლომონმა მეფემ იმერეთის სამეფოს  
საქმეების მოსაწყობად და მშვიდობიანობის დასამყარებლად.  
იმავე წელს (1790), როდესაც სოლომონ II გავიდა ალა-  
ხტზე, იგი შეეკრა ხელწერილით — ტრაქტატით მეფე ირაკლის  
და გურია-სამეგრელოს ბატონებს. ამ ტრაქტატის ძალით, იწა-

\*) Дубровинт. Исторія войны и владычество русск.  
на Кавказѣ, т. III и IV.

კლი II, სოლომონ II, დადიანი გრიგოლ და გურიელი სიმონ აღიარებდნენ ერთობას გარეშე მტერთა წინააღმდეგ, ჰპირდებოდნენ ერთმანეთს დახმარებას მშვიდობიანობის დასამყარებლად, აღუთქვამდნენ ზრუნვას ოჯახის კეთილდღეობისათვის. რაკი სასურველი განწყობილება დაიჭირა მონათესავე მეფე-ბატონებთან, სოლომონმა ახლა მოინდომა რუსეთთანაც კავშირით დამეგობრება. ამ მიზნით მან გაგზავნა 1791 წ. პეტერბურგს ელჩად ცნობილი მგოსანი ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), რომელმაც ტფილისიდან გამოდევნის შექმდეგ მასთან შეაფარა თავი. ბესიკს დაევალო გამოსთხოვოს რუსეთის მთავრობას იმგვარი ტრაქტატის ხელშეკრულება, რომელიც ეკატერინე მეორემ დაუდო ქართლ-კახეთის მეფეს ირაკლის 1783 წ.; გარდა ამისა, სოლომონის ელჩს უნდა ერჩია რუსეთისათვის დაეწესებინათ საკონსულო თანამდებობა ახალციხეს, ბათუმსა და გურიაში; დაერწმუნებინა რუსის მთავრობა, რომ მისთვის დიდად სასარგებლო იყო ნავთსადგურის გამართვა ფოთში, ბათუმში და ანაკლიაში (ოდიშში). ამასთანავე ბესიკს უნდა განემარტა აფხაზეთის ოსმალთა ბრძკვალეებისაგან განთავისუფლების აუცილებლობა, რათა ამ სამთავროში კვლავ აღორძინებულიყო ქრისტიანობა და რუსეთისადმი ერთგულება.

ხელშეკრულობამ \*), რომელიც დაიდო ქართველთ მეფეთა და ბატონთა შორის, დაავალა მეფე სოლომონს დახმარება გაეწია ირაკლისთვის, როდესაც რუსეთთან დაახლოვებით საქართველოზე ედ გარისხებული სპარსეთის შაჰი ამაჰმად-ხანი დაეცა 1795 წ. ტფილისს. სოლომონი კარგად ჰხედავს, რომ ქართლის დაპყრობა და შესუსტება იმერეთისთვისაც საფრთხეა, და ამიტომ იგი 2000 კაცით გამოეშურა თავის პაპასთან, ირაკლიმეფესთან, მტერთან გასამკლავებლად.

\*) Цагарели. Документы, относящиеся до истории Грузии, т. II, вып. I.

სოლომონი გაჰყვა ირაკლის ერევნისაკენ სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, მაგრამ ჩქარა უკანვე დაბრუნდნენ. როცა შაჰი მოადგა ტფილისს, ომის წინ გამარჯვების უიმედონი ჯარის სიმციროს გამო, იმერეთის რაზმი გამობრუნდა თავის წინაშე-ძლოლით—ზურაბ წერეთლითურთ. ამ სასტიკს შეტაკებას ქართველთ და სპარსთა შორის რუსეთი შორიდან უყურებდა, თუმცა 1783 წ. ტრაქტატის ძალით მეფე ირაკლისა და იმპერატრიცა ეკატერინეს შორის, რუსეთი ვალდებული იყო დახმარებოდა აღმოეჩინა. არამც თუ თავით რუსეთის მთავრობამ მოთხოვნილი ირაკლის მიერ 3000 კაცი, არ გამოუგზავნა და მხოლოდ ქაღალდების მიწერ-მოწერით კმაყოფილდებოდა, არამედ კავკასიის მთავარ-სარდალს, გრაფს გუდოვიჩს, პეტერბურგიდან აგონებდნენ კიდევ, რომ მაინც და მაინც მეფე სოლომონს ნუ წააქეზებ ირაკლის მხარეში ამოუდგეს დიდ განსაცდელის დღესაო. ამ საქციელით რუსეთს უნდოდა სტამბოლი არ მოედურებინა, რადგან იმერეთს ხონთქარი უყურებდა, როგორც თავის სამფლობელოს. ამიტომ გარსევან ქავჭავაძეს პეტერბურგის გარეშე საქმეთა კოლეგიას ურჩევს ტფილისის სპარსელების-მიერ აღების შემდეგ იმერეთს ნუ ააშფოთებთ და მოძრაობაში ნუ მოიყვანთ, თორემ ოსმალეთი მაშინვე ჯარს მიუხვეს და დაიკებს იმ სიმაგრეებს, რომელიც ქუჩუკაინარჯის პირობის ძალით იმერეთს დაუთმოო.

მართლაც, უკვე 10 ოქტომბერს 1796 წ. გენერალი ზუბოვი სწერს ირაკლი მეფის ელჩს თავ. გარსევან ქავჭავაძეს, რომ, პოლკოვნიკის სეროხნევის ცნობით, ოსმალეთი აპირებენ ჯარის შესევას იმერეთში, რამე სოლომონ მეფე გადააყენონ და ტახტზე დასვან განსვენებულის დავით, მეფის შვილი. ეს ხრიკები არ გამართლდა და სოლომონი დარჩა მეფედ. იმისი ხასიათი და სიმტკიცე მაშინ გამოჩნდა, როცა ქართლ-კახეთის ჰედი გადაწყდა. ირაკლი მეფის შვილმა გიორგიმ დიდხანს ვერ იმეფა, 1801 წ. განუტევა მან სული და საქართველოს ისტორიის ჩარხიც სხვანაირად დატრიალდა, ტახტს

მემკვიდრედ უკვე დამტკიცებული იყო დავით ბატონიშვილი, პირმშო გიორგი მე-XII, მაგრამ რაღაც ყალბად შედგენილ, ვითომ ირაკლის მიერ, ანდერძის ძალით, დავითს ტახტს წამოედება ბატონიშვილი იულონი, ძმა გიორგი მეფისა. ქართლ-კახეთი ორ დასად გაყო: ერთი ნაწილი თხოულობდა დავითს, მეორე — იულონს. ამ უთანხმოებით სარგებლობდნენ მტერ-მოყვარენი და შინაურს განხეთქილებას ამწვავებდნენ. ამ ქვეყნის დაზღუბველს ძმათა ზრძოლაში გახვიეს სოლომონ მეფეც. ბატონიშვილებმა ვახტანგმა და მირიანმა მიიმხრეს სოლომონი და მიაწერინეს იმპერატორ პავლესთან წერილი თხოვნით, რომ ქართლ-კახეთის ტახტი მიეცეს იულონს. ეს უთანხმოება ბიძასა და ძმისწულს შორის გათავდაპით, რომ რუსეთმა ორივეს გამოსწერა ტახტი, უკან ჩაპოყენა დავითიც და იულონიც და საქართველო თავის სამფლობელოდ განოაცხადა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას შემდეგ ჯერი მიდგა იმერეთზედ. რუსეთის მთავრობა კდილობა ჩარეულიყო იმერეთის შინაურს საქმეებშიდან რჩევით თუ ცბიერებით სოლომონის სამეფოც დაექირა. შექმხვევაც ეძლეოდა ეტვირთნა უზენაესი როლი და ჩაგრულთა მფარველობასა და მშვიდობიანობის მცველისა! რუსის ჯარი იმოსებოდა შინაური განქუჩილების დროს მფარველ-ანგელოზის სამოსლით. როცა სოლომონ მეფემ მოზნდომა დავით მეფის ქუჩივის დედოფლის ანნას შეპყრობა ხეზ ნისხევში, კაპიტანმა ბარტენევმა იმერთა რაზმი გაჰთანტა და დედოფალი განსაცდელს გადა რჩინა. დაინახა-რა ანნამ თაქსი გასაქირი მდგომარეობა, გამოსწია ტფილისისკენ და 1801 წ. სწავა მფარველობა გენერალს კნორინგს. შეწყწნარეს დედოფლის ჩივილი და ნება მისცეს პეტერბურგში წასვლისა უმაღლესის კალათის ქვეშე დასამკვიდრებლად. ამასთანავე, განგებ დანაშნულის მოხელის სოკოლოვის პირით მოსთხოვეს სოლომონს, რომ ბატონიშვილი კონსტანტინეც გაეწთავისუფლებინა და გაეზნენა რუსეთს.

სოლომონმა ამის მაგივრად მოითხოვა, რომ რუსის ჯარი დახმარებოდა მას გრ. დადიანთან გასამკლავებლად. ამგვარად, ქართლ-კახეთის ბატონიშვილებს საქმეში ჩაბჭვა და ბრძოლა გრიგოლ დადიანთან ხდებოდა რუსეთის მთავრობას მხრივ შეტაკების საბუთად სოლომონ მცფესთან. ეს ორნაირი დამოკიდებულება მეზობელ სამფლობელოებთან გახდა იმერეთის დაცემის მიზეზად.

სოლომონ შეფე თუმცა ტ. ხტზე ავიდა გრიგოლ დადიანის დახმარებათ, მაინც მას არ ენდობოდა და უმცროსი ძმისთვის, მანუჩარისთვის, უფრო უცუქადა გული \*). სოლომონისა და ახალციხელი შერიფ-ფაშას დახმარებით მანუჩარი ეურჩებოდა გრიგოლ დადიანს. მაგრამ როცა შერიფ-ფაშა ახალციხიდან განდევნეს, გრიგოლ დადიანმა ძალა მოიკრძა აფთაზთა შემწეობით და შეწუხება ბევრა აჩვენა სოლომონ მეფეს. ასე გაგრძელდა საქმე 1802 წლამდის, როცა სოლომონ მეფემ გაიმძღვარა მანუჩარი და საქვერულოს თავად-ახნაურნი ლეჩხუმის დასაქერად. სოლომონმა გაიმარჯვა იმდენად, რომ გრიგოლ დადიანს შერჩა მხოლოდ ორი ციხე — მური და ჩვეისი. ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში გრიგოლ დადიანმა, მთავარ-მართებლის თავ. ციციშვილის შუამდგომლობით, მიჰმართა რუსეთს და ითხოვა მისგან მფარველობა. რუსეთმა სათხოვარი შეუსრულა: 1803 წ. სამეგრელო რუსის ხელმწიფის ფრთას მოეფარა, თვით გრიგოლ დადიანი წმ. ალექსანდრეს ორდენით იქმნა დაჯილდოვებული და რუსის ჯარისკ. გაუგზავნეს ორგულთა შესაბოქელად. სოლო-

\*) ბატონიშვილი დავით (მასალაზე საქართველოს ისტორიისათვის 1740-1840 წწ., ტფ. 1906, გვ. 56) ამბობს: წელსა 1799 ვინაიდგან მეფე იმერეთა მარადის აცდლობდა, რათა დასხაროს და გარდაადლოს დადიანი გრიგოლ ამისთვის კვალად გარდაბირა მეფემ ქაიხოსრო გელოვანი, რომურავე ლეჩხუმისა და დიანის მიდევანა თვისთან გელოვანი და დალატით მოკლა იგი და წარუგზავნა თავი მეფესა იმერეთს.

მონმა ხმა გაიკმინდა და დროთა ერთარგებას მიმდინაერობას  
ყური წაუგდო.

შუღლი და განხეთქილება სამეგრელოსთან ამით უნდა  
მოსპობილიყო. მაგრამ ერთსულობა და ნათესაობა ქართლ-  
კახეთის სასახლესთან სოლომონ მეფეს ავალეებდა ბატონიშვი-  
ლების საქმისთვის თვალი ედგენებინა, და რამდენადაც შეეძ-  
ლო, დახმარება აღმოეჩინა. ეს საქციელიც კი, რუსეთის მთაფ-  
რობის შეხედვით, ლაღატი იყო, და ლაღატი კი ბოხოულობდა  
სასჯელს უღპობელსა და სასტიკს.

სოლომონ II კარგად ხედავდა, რა განსაცდელში იყო,  
როცა უარჰყო რუსთ ხელმწიფის ბძანება და კონსტანტინე  
ბატონიშვილი, თანახმად სოკოლოვის წინადადებისა, არ გაან-  
თავისუფლა მუხურის ციხიდან. დაახლოვებულნი მეფესთან  
პირნი, როგორც ქაიხოსრო წერეთელი, ურჩევდა მას დადი-  
ანთან ომის გაგრძელებას, იქნება იმიტომაც, რომ ამ სარ-  
დალს იმედი ჰქონდა დაეჭირა სამეგრელოსაგან ომით წარ-  
თმეული მამულები. გარდა ამისა, სოლომონის დედას დედ,  
დედოფალი დარეჯან, მეუღლე ირაკლისა, აგონებდა იმერე-  
თის მეფეს არ შეეწყენარა რუსეთის მოთხოვნილება კონსტან-  
ტინე ბატონიშვილის განთავისუფლების შესახებ, რადგან  
რუსის მთავრობა განიზრახავდა დატყვევებული მეკვიდრის  
გამეფებას იმერეთში. ამავე აზრის ჩამგონებელნი იყვნენ ირა-  
კლის შვილები იულონ, ალექსანდრე და ფარნაოზ, რომელ-  
თაც თავშესაფარად იმერეთი აირჩეს და იქედან აქებებდნენ  
ჯაანყებულს ქართლ-კახეთს.

სპარსეთიც ბანს აძლევდა შშათ და სოლომონს აფრთხი-  
ლებდა — რუსის მთავრობას არ დაემორჩილოო. შაჰაბაბა-ხანი  
სწერდა მას, რომ საქართველო შეადგენს მის სამფლობელოს  
ნიწილს და ამიტომ, თუმცა გიორგი მეფემ რუსის ჯარით ჩა-  
ყენა ტფილისში, მაინც სპარსეთი არ დაუთმობს რუსეთს, და  
ავზანის რაზმს იულონის დასახმარებლად და გასამეფებლად.  
სოლომონსაც იულონის მხარე ეჭირა და ულოდნ სპარსეთის  
მხრივ დახმარების შედეგს.

რაკი ეს მიდრეკილება სოლომონის შექნიმნა კლესის მხრივ საქართველოში მთავარ-მართებლად დანიშნულმა გენერალმა ციცივილიმა, მიზეზი მიეცა ჩარეულიყო როგორც სამეგრელოს საქმეების შროვნობაში, აგრეთვე თვით სოლომონის დასატუქსავად იმის ორგულრობისთვის რუსეთის წინაშე. რადგანაც სამეგრელო რუსეთის მფარველობის ქვეშ\*) იყო, ამიტომ თავადმა ციცივილიმა მოისურვა დადიანის და სოლომონის შეტაკებაში მონაწილეობა მიეღო. ხონთქარმა ხელი მოუმართა ამ საქმეში ჩასარევად. მართალია, სამეგრელო ოსმალოს უზენაესს უფლებას ემორჩილებოდა, მაგრამ რუსეთთან მისი დაახლოვება სტამბოლს არ აწუხებდა, ხოლო ახალციხის დათმობას ხონთქარი არ შეაწყნარებდა. რაკი რუსეთსა და ოსმალეთს შუაშიწერ-მოწერით ამგვარად შეთანხმება მოხდა სამეგრელო-ახალციხის შესახებ, გენერალმა ციცივილიმა შეადგინა სამეგრელოს შემოერთების პირობის გეგმა და გაუგზავნა გრიგოლ დადიანს: მან მოიწონა დადებული პირობა და მოითხოვა მხოლოდ სწრაფად დახმარება სოლომონის წინააღმდეგ. მოლაპარაკება და დახმარება კი არც ასე ადვილად აღმოჩნდა. სოლომონი არ აძლევდა დადიანის და ციცივილის შუაგაცებს იმერეთზედ მისულ-მოსვლის ნებას. მაინც ბოლოს შახერხდა სამეგრელოს სურვილის ასრულება და 4 დეკემბერს 1803 წ. გრიგოლ დადიანმა ფიცი დასდო რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე.

სამეგრელოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იმერეთი

\*) დავით ბატონიშვილი ასე მოგვითხრობს (მასალები, გვ. 53): მეფე იმერთა სოლომონ შარადის სტყვევნიდით აღდგნა, და ლეჩხუმსა და სდევნიდა დადიანს გრიგოლს, ამად უბალო ქნილმან დადიანმან შეატანა თავი თვისი მფარველობისა ქვეშე რუსეთისასა და დაუწყო ციცივილისა მსმენელი ამისი. ციცივილი ფრიად მხიარულ იქმნა, ვინაიფიქნა სწადა და ციცივილი იმერთა მეფისა და დაპყრობა იმერეთისა, ამან ყოველივე თხოვნა აღუსრულა. გამოვიდა ყირიმით ბელეცკის პოლკი, მოკედნენ ხელის პირს და აღაშენეს ციხე ყულევს და დადგნენ მუნ.

მოექცა ორს წყალს შუა: ერთის მხრივ ქართლი და მეორეს მხრივ — დადიანის სამფლობელო გადავიდნენ რუსთა უზენაესს გამყოფაში და ასეთივე დღე მოელოდა იმერეთსაც. სოლომონი კარგად გრძნობდა განსაცდელს, მაგრამ გრიგოლ დადიანთან მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებლად მიაჩნდა. ამის მიზეზად გახდა დედოფალი დარეჯანი, ირაკლის მეუღლე. რაკა გრიგოლ დადიანმა შეირთო ქართლ-კახეთის მეფის ვიოზგი მე-XII ქალი ნინო, დარეჯანი გადაუღვა სამეგრელოს და მოწყალეების თვალი განსაკუთრებით სოლომონ მეფეს, თავის შვილას-შვილს, მიაპყრო. დადიანისა და მეფის შორის უსიამოვნობის გაღაზანებას ხელს უშართავდა ლეჩხუმი (ლივრციით 80 ვერსა სიგძითა და 40 სიგანითა), რომელიც ხან იმერეთისა და სამეგრელოს მთავრებს ეჭირათ ხოლმე. სოლომონ II მოინდომა ლეჩხუმის დასაკუთრება, და რადგან დადიანი სუსტი გამოდგა თავის ძალ-ღონით გამკლავებოდა იმერეთის მეფეს, მიენდო რუსეთს თავ. ციციშვილის შუამავლობით. სამეგრელოში რუსიას მთავრობის შესვლამ მოახლოვა იმერეთის სამეფოს დაცემაც. მაშინდელი აწეწილ-დაწეწილი საქმეები და საერთო დეღვა საქართველოში საბჭოთა ძალევედა გენერალს ციციშვილს სოლომონი ნიშანში აქედლო და მის დამორჩილების სურვილით წაქეზებულიყო.

სხვა-და-სხვა გზათ დაუწყო სოლომონს შევიწროება საქართველოს მთავარ-მართებელმა: დავდაპირველად მან მოიბოჯოვა, ბრონეჟსკის შუაკაცობით, რომ იმერეთის მეფეს გაენთავისუფლებინა დატყვევებული ბატონიშვილი კონსტანტინე. მეორეს მხრივ იგი თხოულობდა, რომ იმერეთში თავშეფარებულნი ბატონიშვილები იულონ და ფარნაოზ ირაკლის ძენი გადაეცა რუსის მთავრობისათვის. მართალია, იმერეთისაფვის სამძიმო შეიქმნა ქართლიდან გამოქცეული ბატონიშვილების შენახვა; ხალხი შევიწროვდა ახალი გარდასახადის დადებით, რომელიც ქართლ-კახეთის ტახტსა მეძიე-ბელთათვის დაიდვა, მაინც სოლომონ II ნათესავერი გრძნო-

ბა ვერ ჩაიკლა გულში და თავშესაფერი გაუჩინა დევნილს მეფის შვილებს. ამ გარემოებამ ჩაათქრა სოლომონ მეფე და შეტადრე გრიგოლ დადიანის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამ აიძულა თითონაც ეთხოვა რუსის ხელმწიფისაგან უზენაესი გამგეობა იმ პირობით, რომ რუსის ჯარი დახმარებოდა მას დადიანის დასამორჩილებლად. სოლომონი დასთანხმდა კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლებას ათის წლის ტყვეობის შემდეგ, ბრონევსკის მეცადენეობით. მანგრამ იულონი და ფარნაოზი კი ვერ დაიყოლია ნებაყოფლობით წასულიყვნენ პეტერბურგს, ძალისხმარება კი მათზე არ მოისურვა.

ამ მოლაპარაკებასთან ერთად შეუდგა სოლომონ მეფე იმერეთის საქმეების მოწყობას რუსეთთან შესაერთებლად. მან გაგზავნა პეტერბურგს სოლომონ ლეონიძე მფარველობის სათხოვნელად. რაკი ძალადატანებულმა სოლომონ II განთავისუფლა ტყვეობიდან ბატონიშვილი კონსტანტინე იმ პირობით, რომ იგი იმერეთიდან გასულიყო, იძულებული ექმნა რუსეთს მფარველობის ქვეშე შესულიყო, რომ აცილებინა თავიდან კონსტანტინეს გამეფება ჩრდილოეთის ძალის დახმარებით. ამით აჩხსნება შეეროების ტრაქტატში იმ პირობის შეტანა, რომლითაც სოლომონ გამოითხოვდა უმაღლეს დამტკიცებას იმერეთის ტახტზე როგორც თავის, აგრეთვე თავის ჩამომავლობისასაც: ხელშეკრულებაში მოხსენებული იყო, რომ მხოლოდ მეფის უშვილობის გამო შესაძლო ყოფილიყო მემკვიდრედ ბატონიშვილ კონსტანტინეს გამოცხადება.

სოლომონ მეფე მოწადინებულ იყო რაკი საქმე ძალისა დატანდა გრიგოლ დადიანისთვისაც კი გაესწრო და იმაზე აღრე შეპკროდა რუსეთს პირობის დადებით; ამავე დროს საიმედოდ აბრკოლებდა გენერალ ციციშვილისა და საშეგრელოს მთავრის დაახლოვებას და არც მასთან უკუდგინდა

სცხრებოდა. თავ. ციციშვილი აფრთხილებდა მეფეს, მაგრამ დადიანისადმი სიმძულვარე იმდენად შეუდრეკელად ამოქმედებდა, რომ დადიანის შუაქაცვიც-კდ მოაკვლევინა \*). ეს გარემოება აძლევდა რუსის მთავარ-მართველს კანონიერს საბუთს გაეგზავნა, თანახმად პეტერბურგიდან მოწერილ ბრძანებისა, ჯარი იმერეთის მეფის დასატუქსავად.

26 ოქტომბერს 1803 წ. გამოვიდა უმაღლესი ბრძანება სოლომონის წინააღმდეგ საქმის დაწყებისა, მიზეზად ჩამოვლილია სხვა-და-სხვა დანაშაული, რომელიც ბრალდებოდა იმერეთის მეფეს. იგი არა სპობდა მისვლა-მოსვლას ხონთქართან და მან ვერაგულად მოაკვლევინა სამეგრელოს მთავრის კაცი. ამიტომ იმპერატორი ალექსანდრე I აცნობებდა თავ. ციციშვილს, რომ დაწყებული მოლაპარაკება სოლომონის ელჩთან — ლეონიძესთან — მოსპობილ იქმნა. ამასთანავე ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცველად იმარეულობისაგან, რომელიც ძლიერდებოდა იმერეთში, საჭაროდ და აუცილებლად დაუნახავთ იმერეთის დაქერა რუსის ჯარით, მით უმეტეს, რომ სამეგრელო, უკვე იმპერატორს მფარველობაში შესული, თხოულობს დახმარებას თავის დაუდევარი მეზობლის წინააღმდეგ. პეტერბურგის მთავრობა ბოლოს აცნობებდა ციციშვილს, რომ მისთვის მიუნდვიათ გადაწყვეტა, იმერეთი დაიჭიროს პირველად, თუ სამეგრელო.

გენერალი ციციშვილი სწორედ ამ ნებართვას ელოდა სოლომონის მოსახრელად. მაგრამ იმერეთში შესვლა მაინც სწრაფად ვერ გაბედა, რადგან ჩრდილოეთ კავკასიიდან მოელოდა ტფილისში ორს პოლკს. ესენი მოვიდნენ მხოლოდ ნოემბერში 1803 წ., როდესაც თავ. ციციშვილს მოუხდა განჯაზე გალაშქრება. რამდენისამე თავის შემდეგ კავკასიის მთავარ-მარ-

\*) ამ მოციქულის გვარი იყო კვინიხიძე. ამ დანაშაულობისთვის ვორონცოვი სწავს ციციშვილს (15 სექტ. 1803 წ.), იმერეთი ახლავე ჯარით უნდა დაეჭიროთო. АКТЫ Кавказс. археогр. ком. II, № 714.

თებელი, პეტერბურგიდან სრულის უფლებით შემოსილი სა-  
მოქმედოდ თავისი სურვილისამებრ, შეუდგა იმერეთის დაპ-  
ყრობას. გაგზავნა რა რაზმი სურამისაკენ, თავ. ციციშვილი  
აცნობებდა სარდალს ქაიხოსრო წერეთელს, რომ ქარიშ-  
ხალი მოელის იმერეთს ჩრდილოეთიდან; სოლომონს შეუძ-  
ლიან აცდინოს ეს განსაცდელი სამეფოს, თუ თავს მოიდ-  
რეკს. მაშინ საქმე გათავდება მშვიდობიანობით და იმერეთს  
გამოუბრწყინდება დიდებული მზე. თავ. ციციშვილს სურდა  
მოლაპარაკებით დაეყოლიებინა სოლომონ მეფე, რათა აც-  
დინა ომი, რომელიც მოითხოვდა დროს და ჯარს, მთავარ-  
მართებელს კი აწუხებდა ერევნის ხანი და მისს მოხრას იმე-  
რეთთან შეტაკება დააგვიანებდა.

სოლომონ მეფეც ცოტა მოიხარა, რაკი გრენადერის  
პოლკი იმერეთის საზღვრებს გაუსწორდა. ვითომ განჯის  
აღების მისალოცად, მეფემ გაუგზავნა თავად ციციშვილს  
ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე თანაშლებლე-  
ბით და თან წერილიც აახლა, სადაც ითხოვდა რუსის ქვე-  
შევრდომობას იმ პირობით, რომ დადიანისაგან წართმეული  
ლენჩუმი იმერეთისთვის შემოეერთებინათ. ციციშვილი ამ პი-  
რობაზე არა სთანხმდებოდა და მოლაპარაკება მოისპო. მთა-  
ვარ-მართებელი ამბობდა, რომ იგი ნებას არ მიცემს რუსის  
ქვეშევრდომის—გრ. დადიანისთვის—ლენჩუმი გამოეწიროს;  
ხოლო მეფის წარმომადგენელნი ვერ აძლევდნენ გადაწყვე-  
ტილს პასუხს, რადგან არ იყვნენ აღჭურველნი უფლებით  
ლენჩუმი დაეთმოთ. ციციშვილმა მისცა 12 დღე ვადა მოსა-  
ფიქრებლად, და საქმის მოსაწყობლად თავის მხრივ გაგზავნა  
ქუთაისს პორუჩიკი—კამერგერი გრაფი მ. ს. ვორონცოვი.  
მეფემ პატივის-ცემით მიიღო ვორონცოვი, მაგრამ გამოგ-  
ზავნილს პირობას ხელი არ მოაწერა.

რაკი დიპლომატიურის მოლაპარაკებით არა გამოვიდა რა,  
თავ. ციციშვილმა შიშპართა იმერთა მოსყიდვას. ოქრო-ვერც-  
ხლის ავანგარდმა ჩქარა გველენა წიობოვა. მოთავედ ციცი-

შვილმა დანიშნა გიორგი აბაშიძე, სარდალ ქაიხოსრო წყ-  
რეთლის სიმამრი. ამ 60 წლის მოხუცის გამჭირახობას და  
ორი თთვის მოუსვენარ მისვლა-მოსვლას ქ. გორსა და სო-  
ლომონის რეზიდენციის შორის, უნდა მიეწეროს ის გარემო-  
ება, რომ გავლენიან პირთ შეიცვალეს აზრი რუსის ქვე-  
წევრ დომობაზე და აგონებდნენ ჩეფეს აეცილებინა სამე-  
ფოისათვის მოვლინებული განსაცდელი. სოლომონმა ამ  
მდგომარეობაში მოისურვა პირადად მოლაპარაკება მთავარ-  
მართებელთან. თავ. ციციშვილმა ერთი ეგერთა როტა გაგ-  
ზავნა ვახანს, აართლის სოფელს, იმერეთის საზღვარზე. სო-  
ლომონი დიდის ამალით წამოვიდა და ჩამოხტა სოფ. ლე-  
ღვანში. 19 აპრილს 1804 წ. შეხვდნენ ერთმანეთს დაბა  
ლაზნაურში. სოლომონმა კვლავ მოითხოვა პირობად ლეჩ-  
ხუმის იმერეთთან შემოერთება. ციციშვილმა შეწყვიტა მო-  
ლაპარაკება და გამოუცხადა მეფეს, რომ იგი იძულებულია  
სხვაგვარი შეხვედრა იქონიოს სოლომონთან, ესე იგი ომის  
ველზე. მეორე დღეს ციციშვილმა გაგზავნა ჯარი იმერეთის  
უახლოეს სოფლებში მებატონეთა და გლეხთა რუსეთის ერთ-  
გულეობაზე დასაფიცებლად. ბევრმა მართლაც იფიცა. ამ  
შემთხვევამ შეარყია სოლომონი და კიდევ გამოუგზავნა ცი-  
ციშვილს თავის მაქლობელი მრჩეველნი მოსალაპარაკებლად.  
მეფე თანხმობას აცხადებდა ხელი მოეწერა ტრაქტატზე, სა-  
დაც ჩამოთვლილია სათხოვარი მუხლები, იმ პირობით მხო-  
ლოდ, რომ მუხლს ლეჩხუმის დაბრუნებაზე სამეგრელოს  
მთავრისთვის ციციშვილი ნუ მოიყვანდა აღსრულებაში, ვიდრე  
თვით ხელმწიფემ არ განიხილოს მეფის უფლება ამ დაქე-  
რილს მამულზე. ციციშვილი ხელწერილით დასთანხმდა ამ  
პირობის დამატებაზე და დაუტოვა სოლომონს ზღვებული  
ლეჩხუმის ციხე-სოფლები უმაღლეს განკარგულებამდე. ამის  
შემდეგ 25 აპრილს 1804 წ. სოლომონ და ციციშვილი მე-  
ორედ შეხვდნენ ერთმანეთს. მეფემ მიიღო ფიცი თავის დი-  
დებულებით და მოაწერა ხელი სათხოვარს მუხლებს. მთავარ-

შართველმა აღმასით შემკობილი ალექსანდრე ნეველის ორდენი მიართვა. ასე გადაწყდა 25 აპრილს 1804 წ. იმერეთის ზედის ჰირველი ნაბიჯი.

თავ. ციციშვილმა სასიხარულო მოხსენება გაგზავნა პეტერბურგს: იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ოლქად გადიქცაო და საქართველო, 1390 წ. ალექსანდრე I მეფისაგან გაყოფილი, შეერთებულ იქნაო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მიერო. გაგზავნილი აქტი ხელმწიფემ მოაწერა 4 ივლისს 1804 წ. და მეფის სახელზე გამოიცა წყალობის სიგელი, სადაც ნათქვამია: „ვისმინე-რა თხოვნა თქვენი და თქვენის ქვეშევრდომ ხალხისა შესახებ მიღებისა ჩვენს ხელმწიფებასა ქვეშე და საუკუნო ქვეშევრდომად ჩვენი იმპერიისა, — რაისთვისაც თქვენ უპირველესის თავადებით იმერეთის სამეფოსა ფიციც ჩვენსა და ჩვენის მეკვიდრეების წინაშე მძიღეთ, უუმოწყალესად ვინებეთ და დაგამტკიცეთ, ჩვენო საყვარელო ერთგულო მეფე იმერეთისაგ სოლომონ, ამ თქვენს ხარისხში, რომელიც ჩვენ-მიერ ამ ბოქებულას სიგელის ძალით თქვენი მემკვიდრენიც მარად ჟამ ჩვენგნით ვალდებულნი არიან მიიღონ და ჩვენი ბრძანება დასრულონ. მოგანდობთ რა იმერეთის ხალხის გამგეობას სიმშვიდითა და სიმართლით, დაგიმტკიცებთ სრულის ძალით ყველა თქვენ სათხოვარს მუხლებს და დიდებულად გიცხადებთ და ჩვენი იმპერატორობითი სიტყვით გპირდებით, თქვენ და თქვენი იმერეთის ხალხი, ვითარცა ჩვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი, და ყველა თქვენი მომავალი მემკვიდრე დავიცვათ თქვენის მტრისაგან, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ და თქვენი მემკვიდრენი ერთგულები იქნებით და პირიანად აღსრულებნაში თქვენის მოვალეობისა დარჩებით შეურყვევლნი“.

ქვემოთ მოგვყავს სათხოვარი მუხლები სოლომონ მეფისა, რომელნიც უმაღლესად დამტკიცებულ იქნენ. ახლა კი მოკლედ განვიხილოთ, რამ აიძულა მეფე იმერეთი რუსეთის მფარველობისთვის მიენდო.

სოლომონ II, როგორც თანამედროვენი მოწმობენ, იყო კვიანი, გამჭრიახი და შორსმხედველი კაცი. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამ დაანახვა სოლომონს, რომ, დღეს თუ ხვალ, აუცილებლად იგივე ეწვეოდა იმერეთსაც. მისი თავმოყვარეობა და დიდების სურვილი შეეტაკა ისტორიულს ისეთს ვითარებას, რომ მოქმედების გეგმა უნდა შეეცვალა. როცა სოლომონი პირველად ტახტზე ავიდა, მან მოისურვა იმერეთის გაცოცხლება და განდიდება. იგი ოცნებობდა დაკარგული მამულების შემოერთებაზე, განდგომილ მთავრების დამორჩილებაზე დამთელ დასავლეთის საქართველოს ერთს სამეფოდ გადაქცევაზე. ამ განზრახვას წინააღმდეგ სამეგრელოს მთავარი დადიანი და ამიტომაც მოუხდათ დაუძინებელი მტრობა და გაუთავებელი ომიანობა.

სოლომონს გამარჯვება არ აკლდა—დადიანს ციხე-სოფლები წაართვა და დიდად შეავიწროვა, თითქმის მთელი სადადიანო დაიჭირა და მთავარი ფოთისა და აჭარის საზღვრებში იმალებოდა \*). გენერალი ლაზარევიც, რომელიც 1801 წ. ტფილისში რუსის სამხედრო კომისარად იყო, ჩააფიქრა იმერეთის მეფის გაძლიერებამ და პასუხი მოსთხოვა, რა პიზნით ამრავლებდა ჯარს. მეფემ დაამზვიდა ლაზარევი და აცნობა, რომ მისი სამზადისი დადიანის წინააღმდეგ არის მჭმართული. თუმცა 1801 წ. ქართლ-კახეთი შეუერთდა რუსეთს, მაინც იმერეთის დაჭერას რუსის მთავარ-მართებელი ვერა ბედავდა, რადგან სოლომონს შეეძლო დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა გაწვრთნილი ჯარით და ოსმალის დახმარებით, რომლის უზენაესს მფარველობას იმერეთი ზნეობით ტვირთულობდა.

სოლომონ მეფე კარგად ზედავდა განსაცდელს. იგი რრ ცეცხლს შუა იყო. ერთის მხრივ მხარს აძლევდა ბატონიშვილს

\*) Рапортъ подполковника Симоновича къ ген. Лазареву отъ 18 дек. 1802 г. Акты К. А. К., II, № 683.

ალექსანდრე ირაკლის ძეს, რომელსაც სპარსთა დახმარებით განეზრახა რუსების განდევნა საქართველოდან; შეორეს მხრივ იმერეთის მეფე იძულებული იყო რუსეთთან კარგი განწყობილება დაეჭირა და მოთხოვნილებებს მიხედვით მიეღო იმპერატორის მფარველობაც იმ პირობით, რომ სამეფო ხარისხით შეენარჩუნებინა და შემკვიდრეებისთვისაც გადაეცა. რუსეთისთვის კი იმერეთის დაჭერა დიდად სასარგებლო იურ იმ მხრივ, რომ გზა ეხსნებოდა მას შავი ზღვისკენ, და ამიტომაც გენერალს კნორრინგს პეტერბურგიდან ამ სავანზე საიდუმლოთ კიდევ აგონებდნენ. მაინც ხონთქრის ქრძალვით რუსეთი ვერა ჰბედავდა იმერეთის ძალით დაჭერას. ამიტომ თავ. ციციშვილი დაეკითხა რუსეთის ელჩს სტამბოლში იტალინსკის, — როგორ შეხედავს ოსმალეთის მთავრობა იმპერატორის სურვილს — იმერეთი, სამეგრელო და გურია ჯარით დაიჭირო? ოსმალეთმა პროტესტი არ გამოაცხადა და რუსეთს სამოქმედო ასპარეზი გაუხსნა. სამეგრელოს შეერთებაზე ციციშვილს მიწერ-მოწერა უკვე დაწყებული ჰქონდა. რუსთა დახმარებით დადიანს უნდოდა ლეჩხუმი შეენარჩუნებინა. სოლომონმა განიზრახა დაასწროს დადიანს რუსულებთან შეთანხმება და თვით შეეჭრას ტრაქტატით იმ პირობით, რომ ლეჩხუმი იმერეთის ტახტს დარჩეს. სათხოვარი მუხლები შეადგინა შეფემ და გაატანა თავის მდივანბეგს — სოლომონ ლეონიძეს. ამავე დროს განავრძო ომი დადიანთან და შეუკრა გზა მას ციციშვილთან მისასვლელ-მოსასვლელად. მაშინაც, როცა დადიანი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, სოლომონ მეფე არც სცხრებოდა: წაართვა ცხხე ტაშაკონა და მოლაპარაკება დაიწყო ხონოქართან. სოლომონის ამგვარი საქციელი აცნობა ციციშვილმა პეტერბურგს და ამიტომაც ლეონიძეს\*)

\*) დავით ბატონიშვილი (მასალაში, გვ. 79) სწერს: მდივანბეგი სოლომონ ლეონიძე კარგა ყმა მეფისა ირაკლისაჲ რომელიც გარდასრულიყო... და იყუდებოდა მეფისა სოლომონისა თანა, იყუდრიად განსწავლული და გონიერ ვითარცა ქართულისა, აგრეთვე რუსულიცა და გამოცდილ ფრიად საქმეთა შინა დროსა ირაკლი მეფისა.

არ აღირსეს იმპერატორის აუდიენცია და უპასუხოდ გამო-  
ისტუმრეს. ხოლო ციციშვილმა აცნობა სარდალს ქაიხო-  
სრო წერეთელს, რომ, რუსთა ხელშეწყობის ბრძანებით, იგი  
შემუსრავს სოლომონს, თუ უკანასკნელი არ დაპორჩილდება  
ნებაყოფლობით. მართლაც, მორჩა რა განჯის აღებას, ცი-  
ციშვილმა მოაყენა იმერეთს გრენადერის პოლკი. რადგან  
სამღვდელოებამ და თავად-აზნაურობამ ითხოვეს ქრისტაანთა  
სიხლის ღვრიდან დახსნა, ციციშვილი შეუდგა მოლაპარაკებას.  
ტფილისში გაემგზავრნენ ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია  
წულუკიძე ციციშვილთან განჯის აღების მისალოცად და  
რუსის მფარველობაში შესვლის სურვილის გამოსაცხადებლად,  
იმ პირობით კი, რომ ლეჩხუმი სოლომონს დარჩენოდა. ცი-  
ციშვილმა ამ საგნის შესახებ უარი განაცხადა, იმ მიზეზით,  
რომ ტრაქტატით ლეჩხუმი დასაკუთრებულია დადიანის მიერ;  
მაშინ მოციქულებმა ითხოვეს დესპანი პირადად სოლო-  
მონთან მოსალაპარაკებლად. ციციშვილმა, როგორც მოვახ-  
სენეთ, გაგზავნა გრაფი ვორონცოვი ქუთაისს, მაგრამ პი-  
რადმა მოლაპარაკებამაც უშედეგოდ ჩაიარა.

მოგეხსენებათ, რომ მაშინ თავ. ციციშვილმა გაიმძღვარა  
ოქრო-ვერცხლის ავანგარდი მოსასყიდად და გაიმარჯვა კი-  
დეც. ამასთანავე, ლეონიძესაც, რომელიც შეესწრო გზად პე-  
ტერბურგიდან ტფილისში, ციციშვილმა გაუზიარა აზრი,  
რომ სოლომონი იძულებულია რუსის მთავრობას პირობებს  
დაემორჩილოს და მოსალაპარაკებლად პირადი ნახვაც მოი-  
სურვა. 19 აპრილს 1804 წ. ელაზნაურში თავ. ციციშვილი  
და სოლომონ შეფე შეხვდნენ ერთმანეთს. რაკი ლეჩხუმს არ  
უთმობდა მეფე, მთავარ-მარტყებელმა შესწყვიტა მოლაპარაკება  
და უბრძანა პოდპოლკოვნიკს ერისთავს ერთი როტა ჯარით  
იმერეთის მახლობელი სოფელი დაეჭირა და ფიცი ჩამოერთ-  
მია რუსეთის ერთგულებაზე. მეფემ მაშინ ისურვა მოლაპარა-  
კების განახლება და პირადი ნახვა ციციშვილისა. 25 აპრილს  
1804 წ. უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს და „სათხოვარი

მუხლები<sup>2</sup> ორივე მხარემ შეიწყნარა. მეფემ შეჭფიცა რუსის ხელმწიფის ერთკულებაზე, ხოლო ციციშვილმა მიართვა ალექსანდრე ნეველის აღმასებით შემკობილი ორდენი \*).

ოსმალეთის მთავრობამ სრული გრულოვანობა გამოიჩინა სამეგრელოსა და იმერეთის მიმართ, როცა აცნობეს მათი შეერთება რუსეთთან, და რუსეთის ელჩს იტალინსკის არცკიჩამოუგდეს ლაპარაკი ამ საგანზე. მხოლოდ ფოთის შესახებ საქმე ცოტათი გამწვავდა იმერეთის დაჭერა თავ. ციციშვილს იმიტომ უნდოდა, რომ თავისუფალი გზა გახსნოდა რუსეთს საქართველოსთან მისასვლელად შავი ზღვის ნავთსადგურებთან და რიონით. მთელის სამეგრელოს შემოერთებას ფოთის შეტენას ამჯობინებდა მთავარ-მართველი თავის მოხსენებაში ხელმწიფისადმი 27 ივნისს 1803 წ., ხოლო ფოთის დაჭერა იმპერატორმა ალექსანდრე I არ მოინდომა, რადგან ამ ციხეში იმ დროს ოსმალოს 50 კაცი მცველი ჰყავდა. თუმცა, კაინარჯის ტრაქტატით, ოსმალეთს უფლება წაერთვა ფოთის ციხის დაჭერისა, მაინც რუსეთის გარეშე საქმეთა სპინისტროცდილობდა ხონთქრის უსიამოვნება არაფრით გაელიზიანებია მშვიდობიანად და ჩუმ-ჩუმად მოინდომეს ფოთის დასაკუთრება. თავად ჩარტორისკის აზრით, რომელიც მან აცნობა ციციშვილს 20 მარტი 1804 წ., შესაძლოა ამ საქმის მოწყობა შემდგომ ხრიკით: რადგან ყირიმიდან ფხანთან ფოთში სამეგრელოსთვის სურსათს, თავ. ციციშვილმა გაგზავნოს არჩეული რაზმი 50 კაცისა აფიკრის მეთაურობით, რომელმაც მიართვას კომენდანტს საჩუქარი და მოიპოვოს მცხოვრებთა ყურადღება კარგის განწყობილებით და გამოუცხადოს, რომ გამოგზავნილია იგი ფოთში ყირიმის სურსათის გასასტუმრებლად სამეგრელოში. ოსმალონი ხელნელა შეეჩვევიან ამ რაზმს და დარჩება იგი რუსეთის კოპისარად, ხოლო შემდეგ გარემოებათა მიხედვით, შევიქნებით შეურყვევლი ბატონები

\*) სათხოვარი პუნქტები ნახე წიგნის დასასრულს.

ფოთისა. ან შეიძლება ფოთის დაქერა მეორე-ნაირი საშუალებითაო: დადიანმა შეისყიდოს ციხის თავი იმ პირობით, რომ გააპარონ თურქთა რაზმი, ვითომ კომანდირით უკმაყოფილო, და მეგრელებმა, — ნახავენ რა ფოთს, მცველებს მოკლებულს, — დაიჭირონ იგი, ჩვენ კი გავაშავებთ ამ ციხეს ჩვენის გარნიზონით და გამოვუცხადებთ ფაშას, რომ ფოთის დაქერას შევეშველეთ მეგრელებს სამეგრელოსა და იმერეთის დასაცველად სხვა-და-სხვა მძარცველ-მტაცებელთაგანაო.

ციციშვილი ერთად-ერთ საშუალებად სთვლიდა ფოთის ძალით დაქერას. სცადა მაინც სურსათის მისაღებად მოხელის ლიტვინოვის ფოთში გაგზავნა, მაგრამ ტავანროგიდან მოსული გემები ოსმალეთის კომენდანტმა ნაპირზედაც არ მიუშვა და უკან გააბრუნა. შესყიდვა ამგვარის კაცისა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს სიმტკიცე ციხის თავისა მიაწერეს სოლომონ შეფეს, რომელსაც ხელს არ აძლევდა რუსის ჯარი დაბანაკებულიყო სამეგრელოს ახლოს ზღვის პირზე. ოსმალეთის მოძულეებაც რუსებს არ უნდოდათ, ამიტომ, ერთის მხრივ, ხელი მიჰყვეს შავი ზღვის პირად შესაფერ ნავთსადგურის ძებნას და, მეორეს მხრივ, მიჰმართეს თავიანთ ელჩს სტამბოლში ნება გამოეთხოვა ფოთში რუსის საქონლის მოტანისა საქართველოში გასაგზავნად. ნავთსადგურად აირჩიეს ხოპის შესართავში (ფოთიდან ჩრდილოეთით) უხეირო სიმაგრე რედუტ-კალე, სადაც დასადგურდა III ბელევის მუშეკეტერის პოლკი.

ამ პოლკს ჩქარა მოუხდა პოლიტიკურს საქმეში ჩარეულიყო. სამეგრელოში შთავარი დადიანი დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 24 ოქტომბერს 1804 წ. და სოლომონს ბრალსა სდებდნენ იმის სტკვიდრში. მთავრის გემ-კვიდრეებად გამოცხადდნენ მისი ძმები მანუჩარ და ტარიელი, რადგან ძე იმისი ლევან ამანათად ჰყავდა აფხაზეთის მთავარს კელეშ-ბეის. შანუჩარ და ტარიელი, რა თქმა უნდა, შეებრძობლებოდნენ ერთმანეთს სამეგრელოს ტახტის დასაქერად. ამიტომ ლიტვინოვმა ერთი ბატალიონი გაგზავნა და პირობა

ჩამოართვა სამეგრელოს წარჩინებულს თავადებს, რომ გრიგოლ დადიანის უფროსს შვილს არ უღალატებდნენ. თავ. ციციშვილმა მოიწონა ლიტვინოვის ეს განკარგულება, რომელმაც მანუჩარის და ტარიელის გაიძვერაობას ფრთები შეაკვეცა, და უმაღლესად (26 იანვ. 1805 წ.) გამოითხოვა ინვენსტიტურა ახალი მთავრისთვის, ხოლო დროებით სამეგრელოს მმართველად, ლევანის სრულს წლოვანობას მოსვლამდე, დაინიშნა დედა მისი ბატონიშვილი ნინო, მეფის გიორგი XII ასული. თანაშემწედ ნინოს დაუნიშნეს ოთხი წარჩინებული ზირი. რაკი კოლექსი-ბეი ლევანს არ ანთავისუფლებდა, ამიტომ ციციშვილმა უბრძანა გენერალს რიკვოფს ძალა ეხმარა აფხაზეთის მთავრის მოსაგრეხად. გენერალმა მაშინ აიღო აფხაზეთის საზღვარზე ანაკლიის ციხე და იძულებულ ჰყო კოლექსი-ბეი, ლევან დადიანი ჰუნებლად გაენთავისუფლებინა. ამიტომ რიკვოფმაც მეტად სცნო სოხუმისკენ გალაშქრება. ანაკლიის აღებამ შეაწუხა თავ. ციციშვილი: ეს ციხე ოსმალოს გარნიზონით იყო დაჭერილი და ეშინოდა უსიამოვნობა არ ჩამოვარდნილიყო სტამბოლსა და პეტერბურგს შუა. რიკვოფს ებრძანა სწრაფად დაეცალა ციხე და ხონთქართან ბოდში მოეხადნათ ზოულოდნელად შეგობარ სახელმწიფოს შეწყობების გამო.

9 ივლისს 1805 წ. ბანძაში ანალმა სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა, თანდასწრებით თავის ბიძის მანუჩარისა, აფხაზეთა მთავრების ლევან და მანუჩარ შერვაშიძეებრს და ოდიშის თავადებისა, დაწესებულნი ფიცით მიიღო რუსეთის ერთგულებაზე. ლიტვინოვმა მართვა მას სიგელი, დროშა და წმ. ანნას პირველი ხარისხის ორდენი და ხმალი. აფხაზეთის თავადმა მანუჩარ და ლევან შერვაშიძეებმაც იფრცეს, როგორც ბატონებმა იმამაშულისა, რამელაც ძველადგან ეკუთვნოდა სადადიანოშ.

სამეგრელოს მთავრები ამაშ შემდეგ შეიქმნენ რუსეთის ერთგულნი. მეფე სოლომონი კი რუსთ ხელმწიფის ერთგუ-

ლებაზე შეფიცვით 25 აპრ. 1804 წ. იმედობდა ლეჩხუმის დაქე-  
რას. რაკი ეს იმედი გაუცრუვდა, გული ეთანადრებოდა რუსის  
მთავრობაზე. თავ. ციციშვილმა შენიშნა მას ორგულობა;  
შეფემაც ექვი აიღო, რომ მთავარ-მართებელს განზრახვა აქვს  
მას იმერეთის ტახტი გამოსწიროს. სოლომონ ცდილობს მო-  
მავალა განსაცდელი თავიდან აიცილოს. იგი ხელში ჩაიგ-  
დებს კონსტანტინე ბატონიშვილს, თავის მოქიშპეს და ტახ-  
ტის შემკვიდრეს, რომელსაც თავ. ციციშვილი მფარველობას  
არ აკლებდა. იმერეთის მეფე ამავე აზრით აგონებდა კოლეშ-ბეის  
არ დაეთმო გენერალ რიკგოფისათვის ლევან დადიანი. იმე-  
რეთის მეფე ეწინააღმდეგებოდა ქუთაისში ბელვესკის პოლკის  
შესვლას; მან უარყო თავ. ციციშვილის წინადადება გაეგზავნა  
პეტერბურგში დესპანები მადლობის გამოსაცხადებლად, რომ  
რუსეთმა მიიღო იმერეთი თავის მფარველობის ქვეშ. იგი არ  
სწყვეტავდა კავშირს ახალციხის ფაშასთან. ეს აღნუსხული  
საქციელი სოლომონ მეფისა სახავდა მას რუსის მთავრობის  
თვალში ხელმწიფის მოღალატედ. მოღალატეს კი დასჯა შეესა-  
ბამებოდა, და თავ. ციციშვილიც არ დაახანებდა პასუხე გაეცა  
სოლომონისთვის, რომ სიკვდილს არ ესწრო მისთვის. ექვსი  
წელიწადი გაუძლო იმერეთმა რუსეთის ლტოლვას—მოესპო  
ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი ნაწილი ძველი ივერიისა.  
ქართლ-კახეთი და სამეგრელო უკვე ეკუთვნოდნენ რუსეთს.  
გურია, როგორც ნაწილი იმერეთის სამეფოსი, 25 აპრილს  
1804 წ. სოლომონსა და ხელმწიფეს შორის დადებულ პი-  
რობის თანხმად, ეკულებოდათ რუსთა სამფლობელოდ. ამის შე-  
სახებ ცნობაც მიიღო თავ. ციციშვილისაგან მამია გურიელმა  
29 მაისის თარიღით 1804 წ.: „რადგან იმერეთი შეუერთდა რუ-  
სეთს, ამიერიდან გურიაც, როგორც მისგან დამოკიდებული,  
რუსეთის მთავრობას ექვემდებარება“. ყველანი გარეგნულად  
დამორჩილდნენ თავიანთ სვეს, მხოლოდ სოლომონ შეეცადა  
თავისი ტახტი განემტკიცებინა. ამ მიზნით ერთ და იმავე დროს  
სოლომონი რუსეთთანაც იჭერდა საქმეს და ოსმალეთშიც

გზავნიდა წერილებს და ითხოვდა დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ. როცა ხონთქარმა უარი შემოუთვალა, სოლომონი მაინც არ დასცხრა. იმის ორპირობა ყველასთვის თვალსაჩინო იყო, ერთგულება მისი არავისა სწამდა. აი ამიტომ, როცა თავ. ციციშვილის სიკვდილის ამბავი იმერეთში მოვიდა, გენერალმა რიკგოფმა ჯარით დაიჭირა ქუთაისი და დაბა მარანი. მართლაც, სოლომონ მეფემ მოისურვა ესარგებლა მთავარ-მართებლის მოკვლით იმერეთის დამოუკიდებლობის აღსადგენად. მან უარი განაცხადა ჰეტერბურგში დეპუტატების გაგზავნაზე და მოინდომა ერთი სანდო კაცის გასტუმრება ელიჩის უფლებით; წაახდინა გზა სამეგრელოსკენ მიმავალი, დააფიცა ბევრს თავადს თავის ერთგულებაზე და აპირებდა ქუთაისის ძალით აღებას. აღექსანდრე ბატონიშვილი აქეზებდა მეფეს რუსთა-წინააღმდეგ მოქმედებაში და აიშედებდა ახალციხის ფაშის დახმარებით. მთელი იმერეთი ღელავდა, რუსის ჯარი კი უღონო და მცირე იყო დაეწყნარებინა ხალხი სურსათის შემოკლებამ ხომ მთლად შეაწუხა გააღმასებული მხედართ-მთავარი. სოლომონი ჰპირდებოდა საგზლის მიწოდებას, თუ რუსის ჯარს ქუთაისიდან გაიყვანდნენ. ამ პირობას კი ვერ შეასრულებდა გენერალი რიკგოფი, რადგან განგებ მოაყენეს იმერეთს ქართლიდან რაზმები სოლომონის დასატუქსავად. ჯერჯერობით კი შეუძლებელი იყო სოლომონის დასჯა, რადგან მოძრაობა თითქმის მთელს საქართველოს მოედო. ყველგან ლეკები თარეშობდნენ; ბაბა-ხანი, სპარსეთის შაჰი, თოფ-იარაღს ისხავდა განჯის ასაღებად; ხევსურებმა გამოდენეს ბოქაული და მთავრობას შეებრძოლნენ; დამორჩილებულ სახანოების თათრებიც არ იყვნენ რუსის ერთგულნი. ამ დროს დაინიშნა მთავარ-მართებლად გენერალი გრაფი გუდოვიჩი, მოკლულ (1806 წ.) თავ. ციციშვილის მოადგილედ. გუდოვიჩს დაავალეს საქართველოს და კავკასიის დამშვიდება.

ახლად მოსულმა მთავარ-მართებელმა ყურადღება მიაქ-

ცია იმერეთის მეფესაც. რუსეთმა მცირე აზიაში ომიანობის შემდეგ ისარგებლა ოსმალეთთან ჩამოგდებულ მშვიდობიანობით, რომ იმერეთის მეფის კავშირი ხონთქართან მოსპობილიყო, მაგრამ ამავე მშვიდობიანობის ჩამოგდების მიხედვით გაავრცელეს ხმა, ახალციხიდან მოტანილი, რომ იმერეთს რუსეთი უბრუნებს ხონთქარს. სოლომონ მეფემაც თავის მახლობელთა ჩაგონებით, გამოაცხადა, რომ იგი სთვლის იმერეთს განთავისუფლებულად რუსეთის უზენაესის გამგეობისაგან. სოლომონმა მოსთხოვა გენერალ რიკვოფს, რომ რუსის ჯარი გაეყვანა ქუთაისიდან. გრაფი გულოვიჩი არ დასთანხმდა და არწმუნებდა მეფეს, რომ ჯარი მისი პიროვნობის დასაცველად უყენია ქუთაისში. მეფის ორგულობა რუსებისთვის ექვს გარეშე იყო, მეჯადრე—როცა მან მოიშორა თავიდან ხელმწიფის მომხრე სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი და დაიხლოვა როსტომ ნიჟარაძე. ზურაბ წერეთელს შეხვდა გავლენიანი როლი იმერეთის სამეფოს მოსპობის ისტორიაში. იგი იყო პატივის მოყვარე, შორსმკვრეტელი და მოანგარე დიპლომატი. იმან პეტერბურგში ყოფნის დროს სოლომონ მეფის ელჩად, გააცნო რუსეთი და იცოდა მისი ძალა. ამიტომ იგი შეიქმნა რუსებას მომხრე და ცდილობდა სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებას, რომ ახალი მთავრობის დახმარებით მეფის ადგილი თავით დაეჭირა. ამ ოცნებას განხორციელებაში რუსები, რასაკვირველია, ხელს არ გაუშართავდნენ, და ამიტომაც ზურაბ წერეთელი ხან თავის მეფის მხარეზე იყო და ხან რუსთ ხელმწიფის ერთგული მოხელე. მეორე მეფესთან დაახლოებული პირი, თავადი ლეონიძე, დაუძინებელი მტერი იყო რუსებასა. იგი სუყველაზე მეტად აგონებდა სოლომონს რუსებას ურჩობას და მთავარმართებლის ჯილდო-საჩუქრებს ზიზღით უარპყოფდა. ამგვარი პირების გავლენით სოლომონიც ირყეოდა რუსეთსა და ოსმალეთს შუა. თუმცა ხელმწიფეს ერთგულებაზე შეჰფიცა, მაინც ოსმალეთის დახმარების იმედით ოცნებობდა იმერეთის

დამოუკიდებლობის აღდგენაზე. გრაფი გულდოვიჩი კარგად ხედავდა, რომ სოლომონი „საიმედო ვასალი“ არ იყო და განიზრახა მეფის გადაყენება „იმერეთის დასამშვიდებლად“. მეფის გადაყენება მოუწონა გრაფს ზურაბ წერეთელმა, უკმაყოფილოდ დარჩენილმა სოფლად მას შემდეგ, რაც მეფემ იგი თავიდან მოიწყვიტა და როსტომ ნიჟარაძე დაიხლოვა. ზურაბი შორიდან თვალს ადევნიდა მეფის საქციელს და მის საიდუმლო განზრახვას ატყობინებდა რუსეთის მთავრობას. 1808 წლის დასაწყისს აცნობა გამოთხოვილს თავის სოფელში რუსის მთავრობის აფიცრებს, რომ სოლომონი აპირებს რუსების ქუთაისიდან განდევნას დაქირავებულ ლეკების დახმარებით. გადაკვრით ისიც შეატყობინა, რომ თუ მეფე არ შესცვლის თავის დამოკიდებულებას რუსის მთავრობასთან, მაშინ იგი გახდება მმართველად და განდევნის სოლომონს, გრაფ გულდოვიჩს არ უნდოდა ზამგვარ სასტიკის ზომის მიღება, და რაკი არც დარწმუნებული იყო ზურაბ წერეთლის გამეფების სარგებლობაში, ამიტომ მისწერა გენერალ რიკგოტს თვალი ედევნებინა სოლომონისთვის და მხოლოდ აშკარა ლაღატისათვის დაეჭირა და ტფილისში გაეგზავნა იგი. სოლომონ მეფე შეეფარა იმერეთის მივარდნილს ადგილებს და იქიდან დაუწყო რუსეთის მთავრობას უფრო გაბედვით ბრძოლა და წინააღმდეგობა.

მეფის მიდრეკილება ოსმალეთისკენ და არ შეწყნარება რუსის მთავრობისა 1808 წ. აიძულებს გრაფ გულდოვიჩს გააძლიეროს იმერეთში რუსის ჯარი, რომ საჭიროების დროს იხმაროს იგი სომოლონის წინააღმდეგ. ახალი ბატალიონის ქუთაისში მისვლამ შეაწუხა სოლომონ მეფე. დარწმუნებული იყო იგი, რომ ეს ჯარი გაგზავნილია ქუთაისში იმ მიზნით, რომ მეფე ტახტიდან გადმოეგდოთ. ამიტომ დაიხმარა მან ზურაბ წერეთელი და მისი პირით გადასცა მთავარმართებელს, რომ გულწრფელად ინანიებს თავის შეცდომებს და პპირდება რუსთ ხელმწიფეს ერთგულებას. მაგრამ როცა მას

მოსთხოვეს ამანათები ნიშნად მისი ერთგულებისა, იგი გავიდა მიყრუებულს ტყეში ახალციხის საზღვრად და იქიდან კვლავ მოითხოვა ლეჩხუმის დაბრუნება და რუსის ჯარის ქუთაისიდან გაყვანა.

აი, ამ დროს მოვიდა ვარციხეში მდიდარის საჩუქრებით (ფირმანი, ხმალი და ქულქი) ახალციხის ფაშის წარმომადგენელი (ხონთქრის წინადადებით) სოლომონთან, რომ იგი შევიდეს ოსმალის მფარველობის ქვეშე. გამხნეებელი ხონთქრის უკუზადლებით, მეფე საყვედურით სავსე წერილსა სწერს გენერალს რიკოფს, რამდენად მოსტყუვდა იგი დაპირებულს ხელმწიფის მოწყალეობაში: ლეჩხუმს არ უბრუნებენ, ქუთაისის სასახლე წაართვეს და თვით თავს აფარებს სოფლად და დაბად. „ამაზედ მეტი დამცირება-ლა იქნებაო?“.

ოთხი წლის გამოცდილებამ დაარწმუნა რუსის მთავრობა, რომ სოლომონის მოტეხა შეიძლება მხოლოდ გაბედულის მოქმედებით. ამიტომ იმპერატორმა ალექსანდრე I, თანახმად გრაფის გუდოვიჩის აზრისა, უბრძანა მთავარმართებელს გადაეყენებინა სოლომონ მეფე ტახტიდან და ოჯახობით რუსეთში გაეგზავნა. ხოლო იმერეთში, სამეფო წესის მაგივრად, დაენიშნა „დროებითი მართველობა“ რუსეთის ერთგული თავადების მონაწილეობით და შტაბ-ოფიცერის თანადასწრებით. ამ გეგმის აღსრულება ადვილი არ იყო. საჭიროდ მიიჩნიეს ზურაბ წერეთლის დახმარება, რადგან იგი რუსების ერთგულებაში გამოცდილ კაცად მიაჩნდათ. მას უბოძეს პოლკოვნიკის ჩინი და წელიწადში 1200 მან. პენცია დაუნიშნეს. ამასთანავე აღუთქვეს საიდუმლოდ პირველი ადგილი „დროებითი მართველობის“ გამგეობაში. ეს დაპირება არ აკმაყოფილებდა პატივმოყვარე ზურაბს, რომელიც იმერეთის გვირგვინზე ოცნებობდა: მან პირმოთენე კრძალულებით ზიილო იმპერატორის რესკრიპტი, აკოცა რამდენჯერმე, მაგრამ საქმე ისე წაიყვანა, რომ უფრო სოლომონს ეწეოდა, ვიდრე რუსებს. რვეთ ტახტზე ასვლის იმედი უცრუვდებოდა, ისევ ირჩია სოლომონისთვის დახმარება გაეწია.

რესაკვირვებლად, მეფის ძლიერ განდევნა სუყველას ემჯობინებოდა, მაგრამ რაკი გუდროვიჩს თავისუფალი ჯარი ცოტა ჰყავდა და მეტი ყურადღება მიქცეული ჰქონდა სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებისაკენ, ამიტომ ვისიმე დახმარება შეიქმნა საჭირო სოლომონის დასაქერად. ამ აზრის განსახორციელებლად გრაფმა გუდროვიჩმა, გენერალის რიგოფის საკვდილის შემდეგ, დანიშნა იმერეთში დაყენებულის რუსის ჯარის კომანდირად გენერალი ორბელიანი, მკოდნე იმ მხარისა და დაკავშირებული მასთან ნათესავ-ნაცნობობით. ორბელიანს უნდა ეხმარა საილუმლო ხრიკები და არა ძალა სოლომონის შესაბოქად. ზურაბ წერეთლის სამსახური ამ საქმეში მოსალოდნელი არ იყო, რადგან ორბელიანთა და წერეთლიანთ გვარში ერთმანეთისადმი უსიამოვნება და მტრობა სუფევდა. ზურაბ წერეთელი მართლაც და თამამად ამოუდგა გვერდში სოლომონს და იცავდა მას ოსმალეთის დახმარების იმედით და თვით იმერეთის ტყიანი ბუნების დაცვა-ფარვის წყალობით.

მოვიდა ქოთუ არა ქუთაისში, თავს ორბელიანმა აცნობა ტყე-ტყე მოსიარულე მეფეს, რომ მას სურს პირადად ნახვა და გრაფის გუდროვიჩის წერილის გადაცემა. ექვიანი სოლომონ დიდხანს ამ მოწოდებას გარს უვლიდა, ბოლოს კი შეხვდნენ ერთმანეთს ყვირილის წყლის ნაპირას. სამი დღე გაგრობლდა მათი მოლაპარაკება და მეოთხე დღეს ორბელიანს მისცა მეფემ ნება გადასულიყო წყლის იმ ნაპირას, სადაც თვით იდგა ყვირილი და აღარ ჰყოფდა მათ, ბაასი ხდებოდა პირდაპირ, მაგრამ უშედეგოდ და დაუსრულებლივ. სოლომონი უარს ამბობდა ქუთაისში დაბრუნებაზე, ვიდრე არ რუსის გარნიზონი იდგებოდა, ხოლო რაც შეეხება პეტერბურგში დესპანების ვაგზავნას, იგი ამ მოთხოვნის პირობაზე თანხმობდა ლეჩხუბის დაბრუნებას და ახალი ტრეკტატის დადებას. თუ ამას არ შემისრულებთ, რუსებს ხელმწიფისთვის სამსახური მე არ შემიძლიანო.

აი, ამგვარს გარემოებაში იყო იმერეთის მდგომარეობა, როცა გრაფის გუდოვიჩის მაგივრად დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლად გენერალი ტორმასოვი. სოლომონ მეფემ გენ. ტორმასოვს აახლა ზურაბ წერეთელი, რათა ამან გააცნოს რუსის მთავრობას მეფის სურვილი და პრეტენზიები. ტორმასოვიც მოწადინებული იყო იმერეთში მშვიდობიანობა დაწყარებულიყო, მაგრამ სოლომონის პირობებს იგი უარჰყოფდა და გამოუცხადა ზურაბს, რომ მეფის განდევნა იმერეთიდან უმაღლესად ნაბრძანებიაო. ზურაბ წერეთელი ტორმასოვთან მოლაპარაკებამ იმაშიაც დაარწმუნა, რომ მის გაქვებას ოცნებაც რუსთა დახმარებით სამუდამოდ დაკარგულია. წერეთელს ისევ სოლომონის ბატონობა ერჩივნა, ამიტომ რუსებს ახლა კი გვერდი აუქცია. ზურაბმა ურჩია ტორმასოვს მიემართნა იმერეთის სამღვდელოებისა და თავად-ახნაურობისათვის, რათა იგინი შეერთებულიყვნენ იმერეთის კათილ-დღეობის მისწრაფებით, ჩაეგონებინათ სოლომონისათვის უმაღლესი ბრძანება შეესრულებინა და იმპერატორის წყნარი ქვეშევრდომი გამხდარყო. ამ მოწოდებას, წერეთლის აზრით, დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მეფეზე. ეს წინადადება მიიღო ტორმასოვმა და უბრძანა ორბელიანს მოწოდება გამოეცხადებინათ იმ შემთხვევაში, თუ სოლომონ მეფე არ შეასრულებდა იმ მოთხოვნილებას, რომელიც მთავარმართებელმა კერძოდ მის სახელზედ მიწერილს წერილში დაბეჯითებით აღნიშნა.

გავიდა სოლომონის მიერ დაპირებული ათი დღე, მაგრამ იგი ჰასუსხს მაინც არ იძლეოდა. მაშინ ორბელიანმა გამოაცხადა ტორმასოვის მოწოდება. მაგრამ შთაბეჭდილება ამ მოწოდებისა არ შეეფერებოდა ტორმასოვის მოლოდინს. სოლომონის მრჩევლებმა, და მათ შორას ზურაბ წერეთელმაც, ჩააწვეთეს მეფეს ყურში, რომ გამოცხადებულის მოწოდება პროკლამაციით მისს გამგეობას ედება ბოლო და რუსეთის მთავრობა პირდაპირ მიჰმართავს ერს, ამიტომ, რომ მეფედ მას აღარა სცნობს მთავარმართებელი. აღელვებულმა და შეუ-

რაცხყოფილმა სოლომონმა მოიხმო ტყეში იმერთა თავადნი და შეიარაღებული ხალხი და მიჰპართა კითხვით: სურთ თუ არა მათ დარჩეს იგი მეფედ, და თუ სურთ, მოითმენენ იმ შეწირვობასა და დამციროებას, რომელსაც მათ რუსები აყენებდენ? ხალხმა ერთხმად გამოუცხადა მას თანაგრძნობა და ერთგულება. თანამხლებელთა რიცხვმა უცებ ექვსი ათასს კაცადის აიწია. ტორმასოვმა თავის მოწოდების მოულოდნელი შედეგი ვერაფრით ვერ ახსნა. ორბელიანს საყვედურს უცხადებს, რომ მან ხალხს ვერ აუხსნა, რომ მისი წინადადება სოლომონ მეფისა და თვით ერის სასარგებლოდ იყო განზრახული, რომ უმაღლესი წყალობა არ მოჰკლებოდათ მათ. სწყინდა ტორმასოვს აგრეთვე ისიც, რომ ზურაბ წერეთელმა მისის რჩევით მიმართულს მოწოდებას არ მისცა სამღვდელთაში და თავად-აზნაურობაში ქეშმარიტი განმარტება. ორპირობა წერეთლისა თვალსაჩინო შეიქმნა ტორმასოვისათვისაც. ამიტომ მთავარმართებელმა მოსთხოვა მას წერილობითი აღთქმა, რომ დაეხმარებოდა მეფის იმერეთიდან განდევნაში. წერეთლის მიკუბულმა პასუხმა დაარწმუნა გენ. ტორმასოვი \*), რომ იგი გადაუდგა რუსებს. რადგან არც საკმარი ჯარი ჰყავდა, არც დამხმარებელი პირონი, გენ. ტორმასოვმა მიმართა ისევ „ქუთილგონიერს“ ჩაგონებას. სოლომონი ყურს არ იბერტყავდა და გააბა მოლაპარაკება ოსმალეთთან. ისარგებლა რა იმ გარამოებებით, რომ რუსის ჯარი ფოთის ასაღებად იყო მიყენებული, მეფემ გასწია ახალციხის საზღვრისკენ, სადაც პირადად ინახულა რუსეთის დაუძინებელი მტერი ბატონიშვილი ალექსანდრე ირაკლის ძე.

ამავე დროს გაუგზავნა ახალციხის ფაშას სელიმს სიძე თვისი მალხაზ ანდრონიკაშვილი და თავადნი როსტომ ნიჭარაძე და რაქის ერისთავი, რათა მათ მოიმხრონ ფაშა სურთო ძალით

\*) Утверждение русскаго владычества на Кавказѣ, т. II. Тифлисъ, 1902 г.

განდევნონ რუსნი იმერეთიდან. აცნობებდა აგრეთვე არზრუმის სერასკირს შერიფ-თაშას დახმარება გაეწია ფოთის შევიწროვებულის. გარნიზონისთვის. ზოლო იმერეთში მეფის აგენტები — ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე და სხვანი აღდევნებდნენ ხალხს რუსთა წინააღმდეგ. სოფელს აფხელაურში მათ შეჰკრიბეს ოდიშელნი და ლეჩხუმელნი თავად-აზნაურნი და სამღვდლონი და დაათიცეს სოლომონის ერთგულებაზე, ჩამოართვეს პირობაც, რომ რუსის ჯარს არ მისცემენ წყალსა და პურს, არაფერს არ მიჰყლინ და თავიანთ სოფლებში არ შეუშვებენ.

ამგვარმა ხალხის მოძრაობამ ნაყოფი გამოიღო. 5-ს ივლისს 1809 წელს იმერლები დაეცნენ სოფელ კლუღუანში დონის ყაზახების კომანდას, რომელნიც მიემგზავრებოდნენ ყვირილიდან დაბა სურამს. სექტემბერში თოფ-იარაღიანი რაზმი როსტომ წერეთლისა და ლევან და დიმიტრი აბაშიძეების მოთავეობით ქართლში სოფ. ქვეებს დაესხა არტილერიის ტრანსპორტს, მიმავალს ტფილისიდან ფოთში.

გაიგორა მთავარმართებელმა, რომ ტრაპეზუნის სერასკირი შერიფ-თაშა წამოვიდა ფოთისაკენ, მიაშველა რუსის ჯარს, ფოთში ჩაყენებულს, ორი ბატალიონი გრენადერის პოლკისა სიმონოვიჩის უფროსობით. ამ პოლკოვნიკს ავალებდა ტორმასოვი შეიპყროს სოლომონი და გადასცეს მას, რა საშუალებითაც კი შეიძლებოდეს. სიმონოვიჩის მისაშველებლად გაგზავნეს ზურაბ წერეთლის სიძე თარხნიშვილიც, რომელიც ცნობილი იყო, როგორც რუსეთის ერთგული და გრაფის გუდოვიჩის საიდუმლოებაში ჩახედული. სიმონოვიჩს უნდა ემოქმედნა ზურაბ წერეთლისა და თარხნიშვილის. რჩევის თანახმად იმ საქმეში, რომელიც მათ დაეჯალათ „რუსეთის ვასალის, ბრძენი სოლომონის მოსახელის წინააღმდეგ“ ტორმასოვი თვით სოლომონსაც სწერდა, რომ სიმონოვიჩს დახმარებას ნუ მოაკლებო, მაგრამ მეფეს დახმარების მაგივრად, ცდილობდა იმერეთში მოგზაურობა მისთვის დაემძიმებინა.

რუსის ჯარი გამოვიდა 23 ოქტომბერს 1809 წ. სოფ. ალი-  
 დან და 5 ნოემბერს ძლივს მოაღწია ქუთაისის, რადგან გზები  
 და ხიდები დანგრეული და გაფუჭებული დახვდა. ნინეზავრში  
 ქაიხოსრო წერეთლის წინამძღვრობით დახვდათ შეიარაღე-  
 ბული რაზმი, მაგრამ დაცემა ვერ გაბედეს. შეისვენა სიმონო-  
 ვიჩმა ქუთაისში ხუთი დღე და გასწია ფოთისკენ და მივიდა  
 იქ 16 ნოემბერს. რადგან ამ დროისთვის ფოთი რუსებს უკვე  
 აეღოთ, ტორმასოვის ბრძანებით სიმონოვიჩი დაბრუნდა ქუ-  
 თაისს და დააბანაკა თავის ჯარის ერთი ნაწილი გორის მახ-  
 რაში, ხოლო მეორე ნაწილი—ზურაბ წერეთლის სოფლებში.

ამავე დროს, თანახმად თხოვნისა, გენერალი ორბელიანი  
 გადაყენებულ იქმნა რიონის ჯარის უფროსობიდან და დაი-  
 ნიშნა მის მაგივრად სიმონოვიჩი. ტორმასოვი ამის გამო სწე-  
 რდა სიმონოვიჩს, რომ რაკი სოლომონის დაქვეა გაძნულდა,  
 უკეთესი იქნება შეურიგდნენ მეფეს, მაგრამ შეზღუდონ იგი,  
 რაც შეიძლება, მეტად იგი უნდა დასახლდეს უსოუოდ ქუ-  
 თაისში, გაუგზავნოს ამანათები ტფილისს და განათავისუფ-  
 ლოს ბატონიშვილი კონსტანტინე ოჯახობით.

თუმცა ტორმასოვი ტრაქტატის ახალი მუხლებით შევ-  
 წებასაც ჰპირდებოდა, სოლომონი მაინც ამ მშვიდობიან მო-  
 ლაპარაკებით თავს არ იტყუებდა. ტორმასოვი კი მოთმინე-  
 ბიდან გამოდიოდა. მაშინ მან სიმონოვიჩს უბრძანა უმოკმედნენ  
 გაბედულად და შეუდრეკელად. ახალი უფროსი რუსის ჯა-  
 რისა, ორბელიანის მაგივრად დანიშნული, სასურველი იყო  
 ზურაბ წერეთლისათვის, და ამიტომ ტორმასოვი უფრო დიდ  
 იმედით უყურებდა მის მოქმედებებს. ზურაბს დახმარებდა ცა-  
 ინც კიდევ მოელოდა რუსის მთავრობა და ამიტომ მისს სურ-  
 ვილს პატივსაც სცემდნენ. რაკი ფოთიც აიღეს, რუსის მთავ-  
 რობას შეეძლო მეტი უკრავდებოდა და ძალა მრეკვიან სოლო-  
 მონის საქმისთვის, სოლომონ მეფე კი ცოცხა ჩმედ-გაცხადე-  
 ბული დარჩა ფლობთან დამარცხებული შერიფ-თაში წავიდა  
 ახალციხეს, განდევნა იქიდან სელიმ-თაშა და თავის ახალს ბე-

ნაზე განმტკიცების სურვილმა დაავიწყა იმერეთის მეფე. ამ შევიწროებულს გარემოებაში მეფე ცდილობდა გაზაფხულამდის როგორმე გაეძლო და შემდეგ კი აღიდებულის წყლებისა და გაშლულ ტყეების წყალობით მოახერხებდა ბრძოლის გაგრძელებას. ამავე მიზნით ზურაბ წერეთელი, შესაძლოა მეფის ჩაგონებით, სწერდა ტორმასოვს, — ჩვენი მეფე ცდილობს ერთგული ყმა იყვეს იმპერატორისა და გთხოვთ მოწყალე თვალთ შეხედოთ და სასოება მისცეთ, რომ მშვიდობიანად იმეფებს და იცხოვრებს“.

ტორმასოვმა წერეთელს ამ წერილზე მიუგო, რომ ოთხი წლის განმავლობაში მეფემ იმდენჯერ დაამტკიცა თავისი უპირობა დამძულვარება რუსეთისადმი, რომ მეტად დაუჯერებელია, ვითომ ახლა იგი სწორე გზაზე დგებოდეს და რუსეთის ერთგული ხდებოდეს; სოლომონის ბედი გადაწყვეტილიაო, საჭიროა იმერეთში მშვიდობიანობა დამყარდეს და მიკვირსო, — სწერს ზურაბს ტორმასოვი, — როცა ხელთ ვიგდეთ კარგი შემთხვევა უმაღლესი სურვილი შესრულებულ იქმნას, თქვენ მოწადინებული რადა ხართ, რომ სოლომონ დარჩეს მეფედაო? ზურაბ წერეთელი ორპირობას განაგრძელებდა. სიმონოვიჩს ურჩევდა სოლომონის დევნა უარყო, ტორმასოვს კი აჩქარებდა მეფის ძალით შეპყრობას. სოლომონ მეფე სარგებლობდა რუსის ამ გამოურკვეველი პოლიტიკით და საბრძოლველად ემზადებოდა. იანვარში 1810 წ. ტორმასოვს გამოუგზავნა წერილი სოფრონ მიტროპოლიტის ხელით და უმტკიცებდა, რომ რუსებმა დაარღვიეს ციციშვილის დროს მასთან შეკრული ტრაქტატი: ლეჩხუმს დაჰპირდნენ და არ მისცეს, ციხე დეხვირის მცველნი ამოუწყვიტეს და თვით ციხე დალიანს გადასცეს სტატსკი სოვეტნიკმა ლიტვინჩევმა აგლიჯა მეფის ბეჭედი ქუთათური ვაქრის დუქნიდან და საქონელი მისცა ვაქარს, რომელზედაც მეფე განრისხებული იყო. 120 კაცის მაგივრად (როგორც თავ. ციციშვილი დაჰპირდა) ჩააყენეს, საცა მოხვდათ მეფის დაუკითხავად მრავალი ქარი. წა-

ართვეს ქუთაისი და თვით მინგრეულს მის სასახლეში დგანან სალდათები თავიანთ საყვარლებით. არ დაინდვეს მისი სიძვეც, დაფით წულუკიძე, სცემეს და თავი გაუტენეს.

„მივიღე წერილი უპატრონო-საცემელ მაღალ აღმატებულე-ბისა თქვენისა, — სწერდა მეფე გენ. ტორმასოვს, — რომელსა შინა ცხადათ ჰყოფ მადლობასა მიცემისათვის ჩვენ მიერ პრო-ვიანტთა და შეწვევისათვის მგზავრობისა მხედრობათა თქვენ-თათვის. მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო! მერწმუნე მე, ვითა-რცა გვაიმა პეტროსანს და ვითარცა მეფესა ქრისტიანესა, რომელ დიდითა გულსმოდგინებითა მსურს, რათა ყოვლითა შეძლებითა ჩემითა და სამეფოსა ჩემისათა ვმსახურებდე მხედ-რობასა რუსეთისასა და უმეტესად უჩინაკნელითა ამით წე-რილითა თქვენითა, რომლითა მომეცა იმედოვნება, რათამცა სრულ იქმნას ყოველივე კეთილ-დაწყობილება მტკიცე და უცვალებელი შეკრულება საუკუნო ჩვენ შორის. კვალად გებრძანათ წერილსა შინა თქვენისა: პუნქტებისა და პირობის შეცვლა განონი არ არის და ჯერ არს, რათა ერთ გზის მი-ცემული პირობა წმინდათ და უცვალებლად დაიცვებოდესო. ბევრ გზით განეაცხადე წერილით თქვენდა მიმართ, რომ უწი-ნარეს თქვენსა მყოფთა დახსნეს ფიცი, პირობა და შეკრუ-ლობა, და არა დაიცვეს წმინდათ. უკეთუ დაიცვეს წმინდათ,

ა) სად არს სამკვიდრო სამოფლებელი ჩემი ლეჩხუმი, რომელი-თა შემოველ-მოფარეობასა ქვეშე და რომელსა ზედა საშინელითა ფი-ცითა მაქვს სელ-მოწერილობა და პირობა თავ. ციციანოვისა.

ბ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ, შემდგომად გვაქვს ციხე ერთი დეხვირი საშუალ ლეჩხუმისა, რომელსა შინა მოგვიკლეს მეციხოვენი შენ მყოფთა მისხლეთა; ვთხოვეთ მას ზედა სამართალი, და სწე-ლად მსამართლისა მოცემისა, წავგართვეს ციხეცა და მისცეს იგი და-ღიანს.

ბ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ — ქუთაისს ქალასა შინა ჩვენს დაბეჭდილი იყო ჩვენ მიერ ლეჩხი ვაჭრის ჩვენისა, წინააღმდეგობა

ჩვენდა სტატუსკის პოლიტიკაში მოკლად საშეფო ბეჭედა ჩვენა, გა-  
ტუნა დუქანი, გამაღო საქონელი და მასცა ჩვენ მიერ გაწეობილსა  
ვაჭარსა ჩვენსა.

დ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ — ციციანოვი გამოგვაცხადა აღწე-  
რილ პუნქტებთა შორის, რათა იღვეს საშეფოსა შინა ჩემსა მცირე  
ნაწილი მხედრობისა, რატა ერთა ან რვი კაცა, სადაცა შენებოს, და  
დაგვიყენა შიორი ერთა ან რვითა კაცითა. ხოლო აწ სადაც შე არა  
მნებავს, უკითხვად ჩემდა დგანან სიმრავლე მხედრობისა.

ე) უკეთუ დაცულ არს წმინდათ, — გვაქვს ხელმოწერილობა და  
პირობა უფლის ფერთმარშლის დუღოვინისა, რათა თვინიერ მკვდრის  
მაგიერის რეკრუტისა იმერეთს არა გარდმოვიდის საჭურველსანი სალ-  
დათი არცა ერთი, ხოლო აწ პოლიტიკა დაზამთრებულ არან.

ვ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ, — ქეთაისის საშეფოს სასახლესა და  
თვით საწოლსა შინა ჩემსა დაბალთა მხელეთა უსხდათ ხსება, წარ-  
მეუღნი თავადთა ჩემთა მუხლენი.

ზ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ, — წავგართვეს ქალაქიცა ჩვენა ქუ-  
თაისი, სადაც არდარა არს მეოფობა ჩვენა ესეოდენტა წელაწადთა.

წ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ, — დააქციეს საშეფო სასახლე ჩემი  
ქუთაისს, ვიდრე საფუძველამდე.

თ) უკეთუ დაიცვეს წმინდათ, — პირველა თავადა იმერეთისა  
წულუკიძე, თვით სიძე ჩემი დავით, სალდათებმა შეაპერეს ქუთაისს,  
ათრიეს, გალახეს, თავი გაუტახეს და სისხლათა შედებილა წარ-  
მოადგა ჩვენთანა; ვსთხოვეთ მასხედა სამართალა, რაჟელსა ზედაგვა-  
ხსენეს: თავ. წულუკიძეს, თუმცა დანაშაულა არა ჰქონია, მაგრამ სალ-  
დათებს ვერ ეცნათ, თორემ არ გალახავდნენო.

ი) უკეთუ დაიცვეს წმინდათ, — ესოდენტა წელაწადთა დგანან  
მხედრობანი რუსეთისანი საშეფოსა შინა ჩემსა, ვითარცა სახლსა შინა  
თვისსა, და გზრდებანი შეშათა, სახლათა ჩვენ მიერ მიცემულათ,  
პროვიანტი, ფურაქითა, ხარითა, ცხენითა, ურმათა, სასმელათა და  
საზრდელათა და წარვლან დღეთა ზამთრისა და ზაფხულისათა მშვი-  
დობით, გარნა ნაცვლად მადლობისა გვანებებენ და შეურაცხველენ  
თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა.

განვრცელებისათვის წერილისა—~~აქ~~ დაესწერ რუსეთის უსარგებლოდ მრავალთა სხვათა მწუხარებათა ჩემთა, გარნა ვკითხავ მაღალ აღმატებულებასა თქვენსა: მოწყალეო ხელმწიფე ჩემო! მიჰხედე ზემო აღწერილთა და მიბრძანეთ, სად არის დაცვა წმინდათ და უცვალებლად პირობასა და შეკრულობისა უწინარე თქვენსა მყოფთაგან?!. განა, მე ერთმორწმუნებისათვის და შიშისათვის ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩემისა აღვწერე კვალად იგივე პუნქტი, ციცაანოვისაგან აღწერილნი, თვანიერ შეუძლებელთა, ვინაიდგან დაწერა შეუძლებელისა არს უსაფუძვლო და მისწრაფულად დარღვევა, და ვინაიდგან მსურს საუკუნოდ უცვალებელი დგომა შესაძლებელსა შეკრულებასა შინა ჩემსა, აღვწერე პუნქტი ჩემნი და მოვარავი კეთილმსახურსა განხილვასა თქვენსა. ხოლო დებუტატთათვის მე ვკონებ რომელ თყოს კანონი ესრედ. რათამცა დებუტატი მეუასანი იყვნენ იგინი, რომელთა ზედა განისვენებს აზრი მჭუისა მათასა, გარნა პატარვასათვის თქვენისა იყოს დანიშნულთა ერთი თქვენ მიერ და სხვა გამოჩეულ ჩვენგან დაწარგზავნენ ზნალოთა ამათ შეკრულებათა ზედა, შემდგომად დამტკიცებისა უმაღლესითა ღრამატით...

დასასრულ გთხოვთ გულს მოდგინეთ, რათამცა სრულყოფად საუკუნოსა ამის კეთილ დაწყობილებისა და განცხადებად თქვენდა მიმართ კეთილ მისაღებელთა ფაქრთა ჩემთა, წარმოგზავნოთ ჩემდამთ უფალი პავლე მიგრლევეცი.

ყოველთა ამათ კეთილ დაწყობილებისა აზრთა და საზრველთა ჩემთა ზედა წარმოგზავნეთ მაღალ აღმატებულებისა თქვენისადმი ყოვლად უსამღვდელოესი უფალი ნიკოლაი წმინდელ მატრეპოლიტი სოფრინისწყურთხვადი ანაშტი რასტომ და უფალი პროტოპოპი გამაწხო ნიკოლაი, და გთხოვთ გულს მოდგინეთ, რათა მიღლოთ მამოძბრივითა კეთილ მზრუნველობითა და შეაწყნაროთ აზრნი, მათდამთ რწმუნებულნი ჩვენ მიერ“.

რამდენი წელიწადია რუსისა ჯარის სარგებლობს იმერ-

ლების სახლებით, პურიით, შეშით, და მადლობის მაგივრად, ლანძღვითა და მძულვარებით ამკობუნო. აი, რანაირად დაარღვიეს რუსებმა შერტების პირობა და მიაყენეს მეფესაც შეურაცხყოფა. რაც შეეხება გასაგზავნ დესპანებს, ეგ უფლება თვით მეფეს ეკუთვნისო, მაინც რახან მთავარ-მართებელს უნებებია, ერთი იყოს იმის მიერ დასახელებული პირი და დანარჩენებს მე ამოვირჩევ, ვიზედაც გული მერჩისო. ამანათები რა საჭიროა იმპერატორისთვის, და „ახალი მოვალეობის შუხლებს“ კი, როგორც შევიმუშავეთ, გიგზავნიო.

ასეთი იყო სოლომონის პრეტენზიები, როძლის დაკმაყოფილებაც შეუძლებლად დაინახეს. „მოლაღატეს“ ჩირქიც მოსცხეს, რადგან პირადად არ ისურვია ნოლაპარაკება და მივარდნილს ტყეში იმალებოდა.

სოლომონ მეფის სვე გადაწყვეტილი იყო, მის პირობებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ, შემუშავებულ იქმნა ზურაბ წერეთლის მოსახრებითა და სიმონოვიჩის მონაწილეობით გეგმა მეფის შეპყრობისა და ტახტიდგან გადაგდებისა. აღერსიანის მოპყრობითა და დაიმცდებით, რომ ლეჩხუმისა და დაქცეული ქუთაისის ნაზლაურს აუყენებდნენ, ცდილობდნენ, მეფე როგორმე ქუთაისში შეეტყუებინათ, გაეგზავნათ დესპანები პეტერბურგში, ამანათად მიეცათ ბატონიშვილი კონსტანტინე და წარჩინებულნი თავადნი და ამის შემდეგ შესაფერი დრო ენახათ, რომ დაეჭირათ სოლომონ და გაეგზავნათ იგი ტფილისს.

სოლომონ ფრთხილმდ იქცეოდა. იგი ხედავდა რუსების სამზადისს და მათი ჯარისკაცადლიერებას ახალციხიდან მოსალოდნელ განსაცდელის ასაცდენად. კი არა, როგორც მას არ შემუნებდნენ, არამედ მის წინააღმდეგ. ტორმასოვი უარყოფდა სოლომონის მიერ ახალი პირობების შეკვერის სურვილს და უცხადებდა წერილით, რომ ვერ გაბედავს იმპერატორი შეაწუხოს ამგვარის თხოვნით.

ახალი ტრაქტატის შეკვრაზე მეფეს იმედი მხოუსპეს და

მიიღეს ზომები მის შესაპროზოდ. ქუთაისში გაპგზაენეს ქართლიდან თავადები ელიზბარ ერისთავი და ამირაჯიბი, რომ მათის იქაური ნათესავების დახმარებით პოლოკონიკ სიმონოვიჩს მისცენ გზა წყნადგინოს პარტია რუსეთის მომხრე პირთაგან. შეეცადნენ მიემხროთ თავიანთკენ გურულნი და მეგრელები და აეჯანყებინათ რაჭაც იმ პირობით, რომ იგი შემდეგ ზურაბ წერეთლისათვის დაეთმოთ. მეტადრეფავ. ლეონიძის მიმხრობას ურჩევდა ტორმასოვი სიმონოვიჩს, რადგან „ეგ თავადი შვიდი მეფის მოლაპატეა და ფულის გულისათვის ყველაფერს მოიქმედებსო“. სიმონოვიჩის დასახმარებლად გამზადებული იყო აგრეთვე ჯარი გორში და სურამში. ამ ჯარის უფროსებს, შიმავალს იმერეთში, გზა-გზა ხალხი უნდა დაეფიცებინათ რუსის ერთგულებაზე.

თუმცა ტორმასოვმა გადასწყვიტა ეხმარა ძალა სოლომონის დასამორჩილებლად, მაინც ცდილობდა მეფეს ნებაყოფლობით რუსთა მოთხოვნილება აღესრულებინა. ამიტომ უბრძანა სიმონოვიჩს მეფის დანგრეული სასახლე მთავრობის ხარჯით განეახლებინა და მოსალაპარაკებლად ტფილისს გაეგზავნა იმერეთში გავლენიან მიტროპოლიტი გენათელი, იმპერატორის მომხრე. ტორმასოვმა ერთხელ კიდევ სცადა წერილით ჩაგონება და მეფის მორჯულება. იგი სწერდა, რომ ფილა იმპერატორის მოთმინებისა აღივსო და მრისხანებად შეიცვალაო. „ნაბრძანები მაქვსო, თუ მეფე სოლომონი კვლავ გაქირვეულდება და მორჩილებას არ გამოაცხადებს, ძალით ჩამოაცლიან მას სამეფოს“. ამიტომ უკანასკნელად ცდილობს ტორმასოვი აღსასრულებლად პირობებდ წარუდგინოს მეფეს, რომ მის საკეთილდღეოდ მიექცეს იმპერატორის ყუჭადლება.

პირობები შემდეგ იყო:

1) წარუდგინოს სიმონოვიჩს სამის დღის განმავლობაში პეტერბურგში დესპნებად გასაგზავნად ბატონიშვილი კონსტანტინე, სიძე მეფისა მალხაზ ანდრონიკაშვილი, თავადნი: სოლომონ ლეონიძე, სენხია წულუკიძე, ქახოსრა, წერეთელი

და როსტომ ნიჟარაძე. 2) გადაჭიდეს დაუყოვნებლოვ საცხოვრებლად ქუთაისს; 3) გაგზავნოს დესპანთა ხელით უმაღლესი თხოვნა მადლობის გამოხსაცხადებლად, რომ იმპერატორმა სამუდამოდ მიიღო იმერეთი თავის ქვეშევრდომად, მოინანიოს თავისი საქციელი და აღუთქვას მშვიდობიანი ერთგულება. მაშინაო, — ბრძანებს ტორმასოვი, — შეგრჩებათ იმერეთის მართვა იმ უფლებათ, რომელიც ტრაქტატით დათმობალი გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხმლით დავიმორჩილებ გაუგონარს, განვდევნი სამეფოდან და მოვაწყობ ერთგულ იმერთა საქმესაო. ამას უმატებდა საყვედურს, რომ ხუთი წელიწადია, რაც ერთგულობის ტრაქტატით შეეკრა მეფე რუსეთს, მაგრამ მაინც სპარსელებთან, გაქცეულ ბატონიშვილ ალექსანდრესთან, ახალციხის ფაშასთან და ტრაპიზონის სერასკირთან კავშირს არა სპობდა რუსთა საენებლად; ყაზახთა სადგური ააკლებინა და ერთი ყაზახიც მოაკვლევინა, გზას უკრავდა სიმონოვიჩს ფოთისაკენ და სხვ.

სიმონოვიჩს სამის დღის ვადა უნდა მიეცა მეფისათვის ტორმასოვის მოთხოვნის ასასრულებლად, და თუ არ მოიხრიდა ქედს, წაეყვანა ჯარი იმერეთში და გამოეცხადებინა მთავარ-მართებლის პროკლამაცია. ამ პროკლამაციაში ჩამოთვლილია ზემო აღნიშნულნი მეფის დანაშაულობანი, რომლისთვისაც უმაღლესად ებრძანა მეფის იმერეთის სამეფოს მართვისაგან გაძევება, როგორც იმპერატორის ცხადი მტრისა, ტრაქტატის დამრღვევისა და ხუცის გამტებისა. ამიტომ მთავარ-მართებელი მიმართავდა სამღვდელოებს, თავად-აზნაურობასა და ერს შეეფიცათ იმპერატორისთვის ერთგულებაზე და უარეყოთ სოლომონ მეფე და ყოველი მასთან დამოკიდებულება, რათა აეცდინათ მოსალოდნელი უბედურება. პროკლამაცია თავდებოდა იმიტ, რომ ინიშნებოდა „დროებითი იმერეთის მმართველობა“ იმერთა წარჩინებულ თავად-აზნაურობისაგან რუსის მოწველის თავმჯდომარეობით, და ივანი, თანახმად თავანთ სვინიღლისა და ხალხის ჩვეულებათა, შეუდგებოდა მშვიდობიანად და მოწყალეობით მართვასაო.

ეს წერილი და პროკლამაცია ტორმასოვისა გაეგზავნა სიმონოვიჩს, ვიდრე მას მოუვიდოდა მეფისაგან თხოვნა, ეახლებინა მოსალაპარაკებლად მისთვის იმერეთში ნადვორნი: სოვეტნიკი მოგალევსკი. გენ. ტორმასოვმა ამიტომ უბრძანა სიმონოვიჩს პროკლამაციის გამოცხადებისა შეყენება, ვიდრე მოგალევსკისთან მოლაპარაკება არ გათავდებოდა. მოგალევსკისკი ტორმასოვმა გაატანა მეფესთან წერილი, რომელშიაც არ იწყნარებდა ახალი ხელშეკრულების პუნქტებს. მოგალევსკი ინახულა აღელვებულმა მეფემ ვარციხეში. იგი ყოყმანობდა, მიეღო მოგალევსკის წინადადება, თუ—ლეონიძისა და ქაიხოსრო წერეთლის რჩევით—უარეყო. მოგალევსკი ოფიციალურს პასუხს თხოულობდა: ან ჰო, ან არა, და შეთახმებაზე ლაპარაკს არ აგრძელებდა, რადგან ამის უფლება არა ჰქონდა მიცემული. დღე და ღამე გაუთავებელს ბაასში ჯავიდა და ბოლოს მოგალევსკიმ გამოუცხადა, რომ, მეფის სურვილისამებრ, თვით არ შეუძლიან გენ. ტორმასოვის მოთხოვნას რაიმე დაუკლოს, მაგრამ კურიერს გაგზავნის ტფილისს, იქნება მთავარ-მართებელმა „პატივი რამე სცეს“ სოლომოვს.

ი, როგორ აგვიწერს მოგალევსკი მეფესთან მოლაპარაკებას ვარციხეში (ნახე ბ-ნ ხუსკივაძის წიგნი): „სოფ. ვარციხე ძლიერ ცუდ ადგილას მდებარეობს. სანამ მეფის სასახლემდის მივიდოდით, ორ ძლიერ ჩქარ მდინარეში უნდა გავსულიყავით—რიონსა და უჭირილაში. ამ მდინარეებზედ ხიდები არ იყო და განგებ ჩვენთვის გაწყობილ ნაჭუბიხ გავედით. ცოტა ხნის შემდეგ პირდაპირ წარვუდექით მეფეს და გადავეცით თქვენი წერილები, რომლის მიღებაზედ მეფე სულ სხვა ფერზედ დადგა ჩამომართვა წერილები, მაგრამ ჩემთანვე არ გაუხსნია. მოკლე მუსაიფის შემდეგ მე დატუჯარი თავი და გავედი იმ ოთახში, რომელთაგანგებ ჩემთვის იყო მომზადებული. აქ გამიშალეს სუტუა და თავ. ს. ლეონიძისთან ერთად სადილად დამსვენს. სადილად, ჩვენს გარდა, სხვა თავადებიც იხსნდნენ. სულ ორი საათის დამსხდარნი არ ვიქნებოდით, რომ

მოგვივიდა მეფისაგან კაცი და გავეჩანე იმ წამს. შევედრ მეფესთან. მეფეს წაეკითხა თქვენი \*) წერილები და ჩვეულებრივის კლიმანჭურის კილოთი დამიწყო მუსაიფი და ამ მუსაიფიდგან გამოირკვა, რომ მეფეს რუსეთის მთავრობამ წაართვა ლეჩხუმის მახრა, გაუოხრა სამეფო, დაუქცია ქუთაისში სასახლე (ეს სასახლე მე თვითონ ვნახე, მაგრამ იმას არამც თუ სასახლის სახელი არ ეწოდება, არამედ უბრალო სახლის სახელიც ღიღია მისთვის), შეავიწროვა აქ დაყენებულმა რუსის ჯარმა და სხვანი... ამაზედ მე ვუპასუხე, რომ ამგვარის საჩივრებით თქვენ შეგიძლიანთ მიჰმართოთ პირდაპირ მისს იმპერატ. უდიდებულესობას და სთხოვოთ დეპუტაციის პირით დაგიბრუნოთ ლეჩხუმის მახრა, როგორც თქვენი საკუთრება, თუკი ამის დასამტკიცებლად რაიმე საბუთები მოგეპოვებათ ხელში-მეთქი. ამაზედ მეფემ ვერაფერი მიპასუხა და გაჩერდა. თავ. სოლომონ ლეონიძემ ისარგებლა ამ შემთხვევით და დამიწყო ჩამოთვლა ყველა იმ მიზეზებისა, რომლის გამოც იმერეთის სამეფო დამცირდა და დაბეჩავდა. ლეონიძეს კიდევ ბევრი რამ უნდოდა ელაპარაკნა, მაგრამ შევაწყვეტინე ლაპარაკი, ვსთხოვე მეფეს გულახდით ემუსაიფნა ჩემთან, რადგან მე მისის თხოვნითა და მთავარ-მართებლის მინდობილობით ვიყავი მასთან გაგზავნილი. ლეონიძემ უცებ შესწყვიტა ლაპარაკი; მეფემ-კი პირდაპირ მითხრა, — მე მსურს, რომ ლეჩხუმის მახრა, რომელზედაც თავადის ციციანოვისაგან მოცემული ხელთაწერი საბუთი მაქვს (ეს საბუთი აქვე მაჩვენა), უკანვე დამიბრუნდეს და, მეორე, იმერეთის სამეფოდგან რუსის ჯარი გაყვანილ იქმნეს, რადგან ეს ორი მუხლი აბც ერთი მე არ მიმიღია და არც ხელი მომიწერილა. როდესაც ამაზედ ვუპასუხე მეფეს, რომ ეს ორივე მუხლი ჩართულია მის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში-მეთქი, მან აიღო ჯვარი და დაიფიცა, რომ ეს სულ ციციანოვის ხრიკები იქნებაო: მე

\*) ე. ი. გენ. ტორმასოვისა.

მის მიერ ხელ-მოწერილი საბუთი მომცა და ხელ-შეკრულო-  
ბაში ცალკე შეატანაო; მაშ თავ. ციციანოვმა გასტება ფიცი  
და ხელშეკრულობის ძალაც მას დაურღვევიაო. ჯარის შესა-  
ხებ მე მოვახსენე მეფეს, რომ რუსეთს დიდი ზარალი აქვს აქ  
ჯარის დაყენებით, რადგან ჩვენი ჯარი აქაურს ვერც სურ-  
სათს შეეთვისა და ვერც ჰაერს, იხოცებიან საწყლებო, მაგ-  
რამ რა ჰქნას რუსეთმა, რომ, სანამ თათრები ომს არ გააუ-  
ვებენ, იმერეთის სამეფო უნდა დაიცივას თათრებისაგან და ჯა-  
რიც ამიტომ სდგას-მეთქი. როდესაც თათრებთან ომი გათავ-  
დება და იმერეთშიაც აღარ იქნება საშიშო ცხოვრება, მაშინ  
ჯარსაც გავიყვანთ და დავტოვებთ მხოლოდ იმდენს, რაჲდე-  
ნიც საჭირო იქნება თქვენ დასაცველად-მეთქი. ამაზედ მე-  
ფემ მიპასუხა, რომ ეს სრულებით საჭირო არ არის თქვენის  
მხრივანო: მე იმდენად ღონიერი ვარ, რომ არამც თუ თათრე-  
ბისა, არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსი არ მეშინიან და ყო-  
ველთვის იმედი მაქვს, რომ რუსეთის ჯარის დაუხმარებლად  
დავსძლევ მათ, მაგრამ აქ სულ სხვა აზრი აქვს რუსეთს, და  
არა ის, რასაც თქვენ მეუბნებითო. თუ ეს ორი ჩემი თხოვნა იქ-  
ნება შეწყნარებული, მაშინ დეპუტაციას გავგზავნი და მორ-  
ჩილებასაც გამოვუცხადებ რუსეთის სახელმწიფოსაო. აქ კიდევ  
ჩაერიან მუსაიფში თავ. ს. ლეონიძე, მაგრამ მაშინვე შევაჩერე  
და ვსთხოვე, რომ ნება მოეცა მეფესთან მარტო მუსაიფისა,  
რადგან, მონღოლობის ძალით, ყოველივე საიდუმლოდ უნდა  
გადავსცე მეფეს და ამისათვის თქვენი აქ ყოფნა ხელის შემ-  
შლელი იქნება ამ შემთხვევაში-მეთქი. აქ-კი უნებლიეთ შე-  
ჩერდა გესლით სავსე ენა თავ. ლეონიძისა, ენა-ჩაკმენდილი  
გავიდა გარედ და თავ. ქაიხოსრო წერეთელიც თან წაიყვანა.  
დავრჩით მარტო მე და მეფე. მე გულახდილად და მოური-  
დებლად მოვახსენე მეფეს, რომ თქვენის მეფობის დღე დათ-  
ვლილია, მათი იმპერატ. უდიდებულ. დიდად განრისხებულია  
თქვენზედ და, თუ ქედის მოხრითა და შეცდომების შეწანიებით  
არ მიმართავთ ხელმწიფეს, იმ შემთხვევაში თქვენი ხსნა არსა-

იღან არ იქნება მცთქი. ამაზე მკრთხა:— მითხარით, რითი გან-  
 ვარისხე ასე რუსეთის ხელმწიფეო? ამის პასუხად ჩამოვთვალე-  
 ყველა ის საქციელი მეთისა, რომლითაც ხუთის წლის გან-  
 მაგლობაში ჩვენს ჯარს მოსვენებას არ აძლევდა. ამ მუსაიფის  
 დროს თუმცა ძლიერ აღელვებული იყო, მაგრამ მაინც არ  
 გამაწყვეტინა მუსაიფი და მისმენდა.

— გავათაფე ლაპარაკი. მეფეს ხმა არ ამოუღია. მეც გავ-  
 ჩუმი და ასე დუმლით გავატარეთ რამდენიმე წამი. შემ-  
 დეგ მეფემ აღელვებით მითხრა: „მე არც ერთს თქვენ ჩამოთ-  
 ვლილ დანაშაულობას არა ვკისრულობ, რადგან ისეთის კბ-  
 ცების ნაღაპარაკებია, რომლებსაც სურთ ჩემის სამეფოს ხე-  
 ლში ჩავდება და ჩემი თავიდან მოშორება, მაგრამ ღმერთი  
 დიდია; იცოდეთ“!...

— მეფეო, — ვუპასუხე მე, — აბა ვინ ზრის დანაშაული იმაში,  
 რომ ქუთაისის ახლო დაეცნენ ჩვენს ჯარს და გაძარცვეს,  
 მოგვიკლეს ერთი კაზაკი, დაუხვდნენ სიმონოვიჩის ჯარს, შე-  
 უკრეს გზები და არ გაუშვეს დანიშნულს ადგილას?.. აქ კი  
 მეფე დამშვიდდა და წყნარის სახით მკითხა: — კარგი, დავანე-  
 ბოთო ყველაფერს თავი; მირჩიეთ, როგორ მოვიქცეო?

— აი, როგორ; ამ სამის დღის განმავლობაში გავზავნეთ  
 დაუტაცია, მოაწერეთ ხელი ხელშეკრულობას, შეჭვიცეთ,  
 რომ მტკიცედ დაიცვათ ყველა იქ აღნიშნულს მუხლს; გად-  
 მოდით და დაბინადით ქ. ქუთაისის სასახლეში და გაანთა-  
 ვისუფლეთ ბატონიშვილი კონსტანტინე მუხურის ციხიდან.  
 — ამ სიტყვებმა ძლიერ შეაშინა მეფე, ხმა ჩაკმენდილი იდგა  
 და მიუჭრებდა.

— მე კიდევ უფრო საშინო ამბავი უნდა მოთხროთ მეთქი, —  
 დაფუძრე ჩემს მუსაიფეს. მისმა იმპერატ. უდიდებულესობამ  
 ველარ მოთმინა ამდენი თქვენ დატყუება და განასწყვიტა  
 წაგერთვას თქვენ ძალით სამეფო და დაძვარდეს იმერეთში  
 მშვიდობიანობა. ამ აზრით ჩვენი ჯარი უკვე მზად არის. სურ-  
 რამში სდგას ერთი ნაწილი და შეორსვე ქუთაისის გარემოება.

გურია და მეგრელია ჩვენსკენ არიან და როგორც-კი ვაჯ-  
ნობებთ, შეუერთდებიან ჩვენს ჯარს და ჩვენთან ერთად იბ-  
რძობენ. მაშ რაღა დაგრჩენიათ, თუ არ შენჯინება და ქე-  
ლის მოდრეკა. ისიც სულ ცოტა ხანში, თორემ თქვენთან  
კვლავ მუსაიფს აღარ აპირებენ-მეთქი.

რანაირად იმოქმედს ამ ამბავმა მეფეზედ, მე არ შემი-  
ნოვნავს, რადგან სულ სამი საათი გაგრძელდა ჩვენი მუსაიფი,  
შედამდა და მეფეს კი სანთლის მოტანა არ უბრძანებია. ჩვენ  
ბნელაში ვიჯექით და ვლავარაკობდით. მეფის პირისახეს შე-  
ვერ ვუყურებდი, მხოლოდ ერთმანეთის ხმა-ღა გვესმოდა. შემ-  
დეგ მიბრძანა: გადახდევთ სახვალნირად ეს საქმე და ხვალ ყვე-  
ლაფერს გეტყვიო. მე მრვაესენე, თუ ხვალ დილას პასუხი  
სრ მივიღე თქვენგან, მე ერთის ღამის მეტი დარჩენა თქვენ-  
თან არ შემიძლიან და, თუ რამე ცუდი დაგემაართოთ, თქვენ-  
სავე თავს დააბრალებთ-მეთქი. გამოვეთხოვეთ ერმანეთს და წა-  
ვედ-წაშოვედით თავ-თავის ზოთახებში. ამასთანავე ისიც მოვახ-  
სენე მეფეს, რომ რუსეთის მთავრობა დიდ ჯამაგირს დაგ-  
ნიშნავთ და ხელმწიფეც არ მოგაკლებთ თავის მოწყალებასა  
და ყურადღებას-მეთქი, მაგრამ არც ერთი შორ მიიღო, მხო-  
ლოდ მიიხრა, — მომცენ იმერეთში მეფობის ნება, გაიყვანონ  
იმერეთიდან თავისი ჯარი, მეტი მათგან მე არაფერი მოწყა-  
ლება არც მინდა და არც ველიო.

შესანაშინავი ის მომენტი იყო, როდესაც მეფეს მოვახ-  
სენე — საცხოვრებლად ქუთაისში გადმობრძანდით-მეთქი. ეს  
ამბავი მსე ეტუხრავა და გაუკვირდა, რომ ორჯერ-სამჯერ მკი-  
ტხა: „რაო, რაო? რას მეუბნებით? რას შირჩევთ?!“ გადავიღე  
საცხოვრებლად იქ, სადაც რუსის ჯარის სდგასო? და როდეს-  
საც მოვახსენე: „დიად, დიად-მეთქი“, — მმითხრა: „არა, ეს შე-  
უძლებელია, დიად, ყოვლიად შეუძლებელია! ვსწყუხვარ, რა-  
ცოცხ მთხოვთ მამს, რაც სრატორის გზით ვა შემიძლია ვეწა-  
რწლონი“. ამასთან დაუმატა, რომ თუ მართლად ხელმწიფე იმპე-  
რატორს, კონტრაქტს აკანსა და თუ გონივრულ საქმიანობას აწე-  
ბს, 4

რატორს ასე ეძულვარ და არა სურს, რომ მე იმერეთის მეფედ ვითვლებოდე, მომწეროს ეს ბარათით და მაშინ მე თვითონ დავანებებ თავს ჩემს სამეფოს და გავშორდებიო. ამას შემდეგ მე გამოვეთხოვე და ჩემს ოთახში წავედი. აქ თავს. ლეონიძემ განკარგულება მოახდინა და ვახშამი მოგვართვეს; ვახშამად თვითონ თავს. ს. ლეონიძეც დარჩა ჩემთან. ვახშამზედ საქმის შესახებ არ ჩამოუგდია ლაპარაკი, მაგრამ გავრით გამაგებია, რომ მეფე ძლიერ შეწუხებულია, ძლიერ ეძინება ამ საქმის გადაწყვეტა და მთელი ღამე არ უძინიაო. მეორე დღეს შევიტყვე, რომ მეფეს წუხელის ვახშამიც არ უჭამია, თუმცა-კი ჩვეულებრივად ყოველთვის ვახშამობდაო... ვახშმის შემდეგ წავიდა თავს. ს. ლეონიძე და თან ვაპყვა მას მთელი გროვა მეფის მოსამსახურეებისა, რომლებიც არიან უსაქმურად და მუქთად სკამენ პურს. დაგრჩი მარტო. გავგზავნე საიდუმლოდ კაცი თ. ზურაბ წერეთელთან და ვსთხოვე შემოსულიყო ჩემთან, მაგრამ თავადი შინ არ იყო, რადგან იმ ღამეს მეფეს დაებარებინა და მასთან შესულიყო. მის მაგიერ თავს. ქაიხოსრო წერეთელი შემოვიდა ჩემთან და მთელი ღამე საიდუმლოდ მელაპარაკა. თ. ქაიხოსრო წერეთელი სხვა ტანისამოსით იყო ჩაცმული და თითქო საიდუმლოდ მეფისაგან გამოგზავნილი...

თავს. ქაიხოსრო წერეთელსაც დიდი გავლენა აქვს მეფეზედ, იმასაც დიდად ენდობა მეფე. მუსაიფის დროს ვუთხარი თავად ქაიხოსროს, რომ მეფისთვის ერჩია რამე, ჩაეგონებია მორჩილება, რადგან მოკლე დროში დიდი უბედურება მოვლის სამეფოს — იმერეთს; ვუთხარი, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა ამგვარის თქვენის ღვაწლისათვის დიდად დაგაჯილდოვებს თქვენ, როგორც ფულით, ისე ხარისხით და ადგილ-მამულით-მეთქი. თავს. ქაიხოსრო წერეთელი დამპირდა ყოველის ჩემის თხოვნის და წინადადების აღსრულებას და საიდუმლოდვე წავიდა. ამასთან მიტხრა, რომ დილას, სანამ ინათებდეს, შემოვალ და ამბავს გაცნობებო, მაგ-

რამ არამც თუ მარტო ამაში მომატყუა, არამედ მეორედღეს, როდესაც მეფემ რჩევა გაათავა და ამ რჩევის შედეგის გამო-საცხადებლად ჩემთან გამოგზავნილ არქივისკოპოზს სოფრო-ნიოს, დეკანოზს ნიკოლოზს, თავად სოლომონ ლეონიძეს და თავ. სენია წულუკიძეს მოჰყვა თან, შემოვიდა და დაიწყო ისეთის კილოთი და ენით ლაპარაკი, რომ თითქოს მე პირ-ველად მხელავდა და არც რაიმე მოლაპარაკება ჰქონდა ჩემ-თან. დახმარების მაგიერ პირველი დამშლელი და მეფის მჩრე-ველი ის შეიქნა.

გვითხრა, რომ მეფეს მხოლოდ ერთი თქვენი წინადა-დება შეუძლიან მიიღოს, დანარჩენი კი არც ერთიო. მეფე თანახმა არის გაგზავნოს მხოლოდ დეპუტაცია, სხვა მუხლები დარჩება ისევ შეუცვლელადაო. ამაზედ მე ვკითხე თავ. ლე-ონიძეს, რომ ნუ-თუ ყველაფერი ეს, რაც თავადმა მიაგზო, მართალია-მეთქი, და იმანაც დამიმოწმა, რომ ეს ყველაფერი წამდვილი და მართალიაო. მაშინ მე ვსთხოვე მოეხსენებინათ მეფისთვის, რომ მე მინახულოს, გამოვეთხოვები და ამ პასუხს გადავსცემ ჩემს გამოგზავნელს-მეთქი. აქ-კი დაფაცურდნენ თავადები: გაიქცნენ მეფისთან, გადასცეს ჩემი პასუხი და ხელ-ახლავ დაბრუნდნენ ჩემთან, მითხრეს, რომ მეფე ძევ-ლად გზავნის გენათელს და ქუთათელს მიტროპოლიტსაო, რომლებიც ყოველგვარ პირობას მისცემენ მეფის მაგიერა-დაო. რაც შეეხება ბატონიშვილის კონსტანტინეს განთავის-უფლებას და ძევლად გაგზავნას, ეს არასფრის გზით არ მო-ხერხდებაო, რადგანაც ბატონიშვილი კონსტანტინე ძლიერ უყვარს ხალხს და განთავისუფლებული რომ ჰნახოს, მეფე-ზედ მეტი სიმძლავრე იმას მიეცემაო. ამასთან, მთხოვა, მეფემ, რომ გენათელთანა და ქუთათელთან ერთად წავსულვიყავით და კარგი აზრი წარმედგინა როგორც მის შესახებ, ისე მი-სის სამეფოს შესახებაც. მე ყველაფერს შევასრულე, ქუთა-ისშიაც გადმოვალ სანცხოვრებლად და დეპუტაციასაც გა-გზავნიო; მხოლოდ ბატონიშვილს კონსტანტინეს ვერ გავანთა-

ვისუფლებო. ქუთაისშიაც მხოლოდ მაშინ გადმოვალ, როცა დაბრუნდება დეპუტაცია და წერილობითს საბუთს მომიტანს ხელმწიფისაგან, რომ იმერეთის მეფედ დამტოვა მისმა იმპერატორებთან უდიდებულესობამ და ამასთან უზრუნველ-მყოფს რუსეთის ჯარისაგანაო“. ერთის სიტყვით, როგორც მეფის სიტყვებიდგან, ისე მისი სასახლეს თავადების სოტყვა-რჩევიდგან ის აზრი გამოვიტანე, რომ მატყუებდნენ და ტყუილად დროს მაკარგვინებდნენ, თორემ არც ერთი სიტყვა იმათი მართალი არ იყო. მე გამოვეთხოვე მეფეს და დავაპირე ქუთაისშივე დაბრუნება, მაგრამ მეფემ მირჩია კიდევ დავრჩენილვიყავი მასთან სოფ. ვარციხეში. მე მაინც აღარ მოვიცადე და წამოვედი. გზაში გამომყვნენ თავადები და დამპირდნენ მეფის დახმარებას, მაგრამ აღბად იმათაც ისე სჯეროდათ ჩემი სიტყვები, როგორც მე მათი. ქუთაისში დაებრუნდი, გადავეცი ყველაფერი სვიმონოვიჩის, რომელმაც იმ წამსვე აცნობა მამია გურიელს და მეგრელიის დედოფალს—დამზადებული ჯარები გამოეყვანათ და სამი დღის შემდეგ პირდაპირ ომი გამოეცხადებინათ. მე დარწმუნებული ვიყავი, ამგვარი მოძრაობა შიშის თავ-ზარს დასცემდა მეფეს და მორჩილების გრძობებს აუშლიდა. თავ. ზურაბ წერეთელზედ ის უნდა გაცნობოთ, რომ ერთხელ სვიმონოვიჩის მოწოდებით უნდა მოსულყო ქუთაისში და ეგნახე მე, მაგრამ არ მოსულა. წამოსვლის დროს დავუბარე საიდუმლოდ, რომ მეფე დაეტოვებინა და ჩემთან ქუთაისში ჩამოსულიყო და კიდევაც შეასრულა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვიზოვნე დრო, რომ მოველაპარაკო ხვალ ან ზევ გავალთ მდ. რიონსა და ყვირილაში და დავეცემით ვარციხეს, მადაც გაშავრებულია მეფე თავის ჯარით, თავ. სოლომონ ლეონიძეზედ ყოველსავესუფროს დაწვრილებით შემდეგს წერილში გაცნობებთ, რადგან იგი ყველა თავნდას ვადააქარბებს ეშვაკობოთაც და ქუთაისშიც ერთადერთი კარის ცაცია, რომელიც ამავრებსაწმეფეს, თორემ ამდენ ხანს მეფე ყველაფერში დაგვმოჩრილდებოდა.

ეს-ეს არის მოვიდა ჩვენს ჯარში ს. ვარციხიდან გელათის მონასტრის არქიმანდრიტი, რომელმაც გადმოგვცა, რომ მეფისაგან გამუგზავნილი ვარო, შეინანია მეფემ ყველაფერი და გთხოვთ შებრალებასაო, მაგრამ ეს ყველაფერი სიცრუეა, მაშინვე გავგზავნე ჯაშუში და მოგვიტანა შემდეგი ამბავი: 19 ამ თვეს მეფემ გაგზავნა ახალციხის შერიფ-თაშასთან თ.თ. ქაფხაძე, სვიმონი და ბერი წულუკიძეები და სთხოვა მას დახმარება ჩვენის ჯარის წინააღმდეგ; მე დარწმუნებული ვარ შერიფ-თაშა ამ თხოვნას კიდევაც შეასრულებს.

მოგალევსკიმ გაგზავნა სოლომონის თხოვნა ტორმასოვთან და დაუმატა თავის მხრივ, რომ ახლოა გაზაფხული დადგა, წყლები აღიღდნენ და ხეები გაიშალნენ. მეფე თუმცა ერთგულებას აცხადებს, მაინც სანდო არ არის, რადგან, როგორც კაცი სუსტი ჭკუითა და აზროვნობით, ყველას გავლენის ქვეშ არის. ამიტომ შესაძლოა მან უარყოს თავის ნათქვამი და საჭიროა მოემზადნენ გაბედული მოქმედებისთვისო. ეს აზრი მან გაუზიარა პოლკოვნიკ სიმონოვიჩსაც, რომელმაც გაგზავნა კაცები სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან, აგრეთვე სურამს პოლკოვნიკ სტალითან, რძმ იმერეთისკენ წამოეყვანათ ჯარი და გზა-გზა ხალხი ერთგულებაზე დაეფიცებინათ. ბრძანების თანახმად, 20 თებერვალს იმერეთს მოადგნენ სოფელ აღიდან საჩხერესა და სვირს გამუგზავნილი რაზმი მაიორის პრუბილოვისა და სურამიდან რაზმი მაიორის რეუტისა. ამ რაზმში იყო თვით ტორმასოვიც. 20 თებერვალი დანაშნული ჭკიანდათ უკანასკნელ ვალად, როდესაც მეფეს პასუხი უნდა შეეტყობინებინა, ამ დღისთვის გადასდეს მთავარ მართებლის პროკლამაციის გამოცხადებაც. მიტროპოლიტი ქუთათელი; ზუსტად წერეთელი, მრავალნი თავად-აზნაურნი გამოცხადდნენ პრუბილოვთან და მოისმინეს-რა პროკლამაცია, მისცეს ფიცი იმპერატორის ერთგულებაზე. მეფემ გაიგო რუსის ჯარის მოახლოება და უნახლა მოგალევსკისთან მოლაპარაკება: გაჩნდა მისულმა-მარცხლმა ქ. ქუთაისსა და ვარციხეს შუა. მეფეს მოსცა

დიოდა ცნობა, რომ ხალხი ფიცს აძლევს რუსებს, დანიშნული ვადაც ახლოვდებოდა და ამიტომ განიცდიდა დიდს სულიერს მწუხარებას. 19 თებერვალს გადასწვეიტა მისულიყო ქუთაისში და რუსების წინადადება მთლად მიელო, მაგრამ ამ დროს გაჩნდნენ ბატონიშვილი კონსტანტინე და თ. ლეონიძე, რომელთა გავლენითაც გაგზავნა უარი დამორჩილებაზე.

ასე დადგა 20 თებერვალი და პროკლამაციაც გამოცხადდა ქუთაისის ეკლესიებში. სიმონოვიჩმა დიდის ამბით დააფიცა ქუთათელები ერთგულებაზე. მცხოვრებლები გულგრილად შეხედნენ ამ ცერემონიას და დაბრუნდნენ ეკლესიიდან ყველიერის მხიარულად გასატარებლად. მეორე დღეს მოვიდა ქუთაისში გელათელი არქიმანდრიტი დავით, რომელმაც აცნობა სიმონოვიჩს, რომ მეფე ცრემლით ინანიებს თავის მოქმედებას და ითხოვს მიტოვებასო. მოგალევესკიმ ეს ამბავი სარწმუნოდ რა მიიღო, რადგან გამცემლებმა შეატყობინეს, რომ 19-ს თებერვალს მეფემ კაცი გაგზავნა შერიფ-ფაშა ახალციხელთან ლეკების სათხოვნელად რუსების საწინააღმდეგოდ. ექვს გარეშეაო, — სწერდა მოგალევესკი ტორმასოვს, — რომ მეფე განიცდის ტრადიკულს მდგომარეობას, სწუხს და გრძნობს, რომ ორს წყალს შუა სდგასო. ერთნი ურჩევდნენ მეფეს დამორჩილებას, მეორენი აქეზებდნენ შესაბამოლებლად. ზურაბ წერეთელი იმათ რიცხვში იყო, რომელთაც განეზრახათ ტორმასოვის მოღბობა და იმერეთის სამეფოს დღეთა გაგრძელება. ამ აზრით ზურაბმა 22 თებერვალს წერილით აცნობა ტორმასოვს, რომ იმერეთის დაქერა გადაედო ზამთრისთვის, რადგანაც ამ გაზაფხულობით ბევრნაირი დაბრკოლება მოელის ჯარსო. ახლა დაკმაყოფილდით მეფის ხელწერილითა და ამანათებით და ნუ მოითხოვთ თვით სოლომონი მოვიდეს ქუთაისს. ამასთანავე გთხოვთო, მეფეს ჩუ წაართმევთ სამეფოს, მიუტევთ, როგორც ჯერ არს კეთილისა და მოწყალე იმპერატორის მხრფვაო. ტორმასოვმა მიუგო ზურაბს, რომ სოლომონ ვალდებულია ადასრულოს ის, რაც იმპერატორისაგან ნაბჭანებია,

დადარჩება მფლობელად სამეფოსა ძლიერ ხელმწიფის მფარველობის ქვეშე. ტორმასოვის პასუხი დაწერილი იყო სურამს 25 თებერვალს, ხოლო 21 თებერვალს სიმონოვიჩს მოუვიდა კაცი, რომელმაც გამოუცხადა, რომ მეფე თანახმაა მიცემული ყველა პირობები ასრულოსო.

პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა ამის გამო აცნობა ტორმასოვს, რომ მეფეს მან უარი შეუთვალა, რადგან მას სამეფო უფლება უკვე აყრილი აქვს და იმერეთი რუსეთის იმპერატორის გამგეობაში გადავიდა. შესაძლოა კიდევ მეფის ბედი გასწორდეს, თუ იგი წავა ტფილისს და პირადად სთხოვს მთავარ-მართველს იშუამდგომალს იმპერატორთან მისი შეწყობა. ეს რჩევა გახდა იმის საბუთად, რომ 24 თებერვალს ქუთაისში მოვიდნენ მიტროპოლიტი გენათელი და თავადის სენია წულუკიძე მეფეს წერილით, სადაც ითხოვდა: 1) მისი უშუამავალნი წაეყვანათ ტორმასოვთან, რათა გამოეგზავნათ მეფისთვის პირადი მოლაპარაკების ნებართვა სოფ. ვახანში, და 2) გენათელის მობრუნებამდე შეეჩერებინათ ერთგულებაზე დაფიცება. უკანასკნელი თხოვნა მაშინვე უარჰყვეს, ხოლო გენათელი და სენია წულუკიძე ყახახთა თანხლებით წავიდნენ სურამს გენ. ტორმასოვთან, მაგრამ გზიდან დაბრუნდნენ, რადგან ტორმასოვი ტფილისში წასულიყო. მთავარ-მართველმა ნება დართო მეფეს პირადი ნახვისა იმ შემთხვევაში, თუ იმპერატორის ბრძანება აღსრულებული იქნება: მაშინ ან შეეხვედნენ ქუთაისში, ან-და საცა დამინიშნავს, იქ შევხვდებით ერთმანეთსო.

ამ მოლაპარაკების დროს რუსის ჯარი ყოველი მხრიდან უახლოვდებოდა მეფის სადგურს. მცხოვრებლები გარბოდნენ ტყეში ან მაგრდებოდნენ ციხეში: თავ. ქაიხოსრო წერეთელმა დასტოვა ოჯახი მოდი-ნახეს ციხეში და აზოლდ შეებრძოლა პრიბილოვის რაზმს; გააქცია რა ქაიხოსრო, პრიბილოვი მიადგა „არწივის საბუდარს“ — მოდი-ნახეს, რომლის მცველად გამოვიდა ცოლი ქაიხოსროსი; ეკატერინე აბაშიძის ასული.

ძველად ეს ციხე მიუვალა იყო ახლა კი, ხუთი დღის შებრძოლების შემდეგ ქაიხოსროს ცოლი იძულებული იქმნა, სიხლის ღვრის ასაცდენადე კარზე გაეღო რუსებისთვის და ერთგულებაზე შეეფიცა!

იმ დროს, როცა იმერეთის აღმოსავლეთის ნაწილს აფიციებდნენ რუსეთის ერთგულებაზე, სიმონოვიჩის დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილები მოჰყავდა იმპერატორის ქვეშევრდომად. სამეგრელოდანაც ორი რაზმი წამოვიდა: მაიორების შჩელკაშევისა და გენდრიმოვიჩის წინამძღობლობით. პირველს მოსდევდა მილიცია მეგრელებისა — ლევან დადიანისა, და გურულთა — მამიას მოთავეობით. მჯრტის დასაწყისს 1810 წელს მხოლოდ სამხრეთ იმერეთს არ დაეფიცა რუსთა ერთგულებაზე და ემზადებოდა მეფის დასაცველად ბრძოლისათვის. მეფემ ჯერ 20 თებერვალსვე გაისტუმრა ცოლშვილი მთაში და თვით 4000 შეკაზმული კაცით ვარციხეში შეეფარა. მცხოვრებლები ნელნელა სტოვებდნენ მეფეს, მხოლოდ სამღვდლოება და თავდაზნაურობა ერთგულად იცავდნენ მას. მაშინ კი, როცა პროკლამაციით რუსებმა გამოუცხადეს, რომ ურჩს წაერთმევა სამუდამოდ მამული და ყმაო, სოლომონის მომხრეთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო.

პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა მოისაზრისბ, რათა მეფეს გზა შეუკრას ახალციხეს ან ოსეთში გასაქცევად, შემოართყას ალყა სოლომონს და ისე მივიდეს ვარციხეზე. ამ მიზნით პოლკოვნიკმა დაიჭირა ზგვანის ხევის გზაზე სოფ. ხანი, შეერთებული ახალციხესთან; მაიორმა კალატოზაშვილმა და შტაბსკაპიტანმა საგინაშვილმა დაიჭირეს რიონის და ყვირილის გაღმა ვისავალი ვარციხესთან, რომ მეფეს არ შესძლებოდა გაქცევა მუხურის ციხეში ან ოსებში. მაიორი რეუტი ყვირილას უნდა გასულიყო და მიესდგომოდა ვარციხეს. მოვალევესკიმ მიიმხრო რამდენიმე იმერელს და იმათის 17 ნავით გადავიდნენ რიონს ღუს-მარტს. საშინელის წვიმათქემით ისარგებლეს, რომ ჩუმად გადაპარულიყვნენ მეორე ნაპირას. დაიჭირეს რა ქყვიში.

მიადგნენ ვარციხეს. მეფე სოლომონი, დატოვებული მხლებლების მხრივ, გაიქცა სოფ. ბაღდადში.

სოლომონ მეფემ ბაღდადიდან მიაშურა საქარას და აქცამაგრდა ხანელებს დახმარებათ. მოულოდნელად სოფ. ხანში გაჩნდნენ რუსები. ლისანევიჩის წინამძღოლობით და მოსპო მეფეს შველის იმედობადგან გზა ახალციხისკენ, საიდანაც მოელოდა მსმალის ჯარს; უკვე შეკრული ჰქონდა. ვარციხე და ბაღდადი აიღეს. რაქა ფიქს აძლევდა იმპერატორს ერთგულებაზე, მხოლოდ ხუთი გვარის თავადნი და 40 აზნაური დარჩნენ მეფის მხარეზე. 9 მარტს 1810 წ. მოგალევსკი სწერდა ტარმასოვს, მოსალოდნელიაო, რომ სოლომონ მეფეს შერჩება მხოლოდ ბატონიშვილი კონსტანტინე და სოლომონ ლეონიძე; თვით თავ. ქაიხოსრო წერეთელიც კი აპირებსო გადადგომას. სიმონოვიჩი გაუდგა ხანის ხეობას, სადაც დამწყვდეულია მეფე და ამ ორ ღღეში გადაწყდება მისი ბედიო.

ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში მეფემ, მოკლებულმა საქაშალებას, რომ გაქვეუდიყო ახალციხეს, ან ერთ-ერთს იმციხეში (მუხურა, საპაიჭავო და ქყვიში), რომელიც იმერთა ხელში დარჩა, დაუწყო სიმონოვიჩს მოლაპარაკება. 8 მარტს სოფ. ზეინდარს მოვიდნენ მისი დესპანნი მიტროპოლიტი გენათელი და სეხნია წულუყიძე, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, რომ სოლომონი უარს იტყვის სამეფოს გამგეობაზე, თუ ხელწერილით დაჰპირდებიან, რომ იმერთაში დასტოვებენ და მისცემენ საცხოვრებლად მამულს, მისგანვე დასახელებულს. სიმონოვიჩმა უარი შეუთვალა და ურჩია მეფეს ენდოს ტარმასოვს, ეახლოს ტფილისს და დარჩეს იქ, ვიდრე იმპერატორს გადაწყვეტილება მოვიდოდეს. მეფე იძულებული იყო მიეღო ეს პირობა და მოჩსურვა სიმონოვიჩის და მოკალუკას პარადადნახვა. სიმონოვიჩმა და მოგალევსკიმ, სოლომონ მეფეს სურვილისამებრ, შეჰქუაქეს ჯვარსა დასახარებაზე, რომ მეფეს არ დაატყვევებენ და გზად სამეფო პატრეს არ მოაკლებენ. 12 მარტს მეფე რუსებს მიენდო და ითხოვა, რომ ტარმასოვთან

შეხვედრა დაუნიშნონ მას გორის ახლოს, სოფელში და არა ტფილისში.

15-ს მარტს სოლომონ მეფე, მოგალავსკის თანხლებით, წამოვიდა ცოლის მამულში, სოფ. საზანოში. როცა გამოიარა ზეკარზე, წამოასხა ხანის ხეობიდან თავისი მხლებელი იმერლები. ხოლო ამათ რიცხვში არ იყვნენ მეფის მრჩეველები—თ.თ. სოლომონ ლეონიძე და შალხაზ ანდრონიკაშვილი: იმათ მოასწრეს გაქცევა ახალციხეს, და ეს მათი ღალატი აღონებდა სიმონოვიჩს. სამღვდლოება და თავად-აზნაურობა ფიცს აძლევდა იმპერატორს ერთგულებაზე და მეფე ამას არ ეწინააღმდეგებოდა. იგი აშოშმინებდა იმერლებს იმით, რომ მთავარ-მართველს მინდვრად შეხედება, და თუ თხოვნა მისი არ ისმინეს, დაბრუნდება უკანჭე იმერეთში მთიან ადგილას გასამაგრებლად და მაშინ კი მათი დახმარება დასჭირდება. ამგვარი მოწოდება მეფემ გაუგზავნა ციხის მცველებს სპაიკავოსა და მუხურაში. ამიტომაც ბევრგან რუსებს არ ემორჩილებოდნენ, მეტადრე გაუძალიანდა ციხე მუხური, რომელიც აიღეს მხოლოდ აპრილში.

საზანოში მეფე დარჩა სამი დღე და იქიდან მოგალევს სკი, 500 შეიარაღებული იმერელი და რამდენიმე ყაზახი მოვიდნენ ბეკამს, სულ ნახევარ ვერსზე სურამიდან! აქ მოუვიდა მეფეს ცნობა, რომ ტორმასოვმა დაუნიშნა მას შესახვედრად გორი, რომელიც „გზად სდევსო ტფილისისაკენ, სადაც თქვენ უნდა ელოდოთ იმპერატორის მიერ თქვენის ბედის გადაწყვეტასაო“. როცა მოახლოვდნენ სოფ. დირბს, სოლომონმა შოითხოვა, რომ ტორმასოვმა პატივი სცეს და აქ ინახულოს იგი. მთავარ-მართველმა დაუთმო აქ ცოტა და დასთანხმდა შეხვედროდა სოფ. ვარიანში. მეფე სოლომონს გული კარგს არას აგრძნობინებდა და ამიტომ სცადა დირბიდან ოსებში გაპარვა. შეუმჩნეველვად მას თვალ-ყურს ადევნებდნენ და ყველგან გზას უკრავდნენ. რაკი გაქცევის სურვილი გამოაქვეყნა, მოგალევსკიმ გამოუცხადა მეფეს, რომ ამის შემდეგ რუსთა

მცველების ხელშია და დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ვაჭი-  
ანში.

28 მარტს სოლომონ მეფე, როგორც „სახელოვანი ტყვე“, მოვიდა ვარიანში. ტორმასოვმა გამოუცხადა მეფეს, რომ იგი თავის ბედის გადაწყვეტილებას უნდა ელოდოს ტფილისში. ერთის თვის წინად რომ მომხდარიყო ეს მათი შეხვედრა, სოლომონს, იქნება, შერჩენოდა ტახტი, ხოლო იმერეთს აცდენოდა სისხლის ღვრა, დანგრევა და აწიოკება. ახლა კი შებო-  
ჭილი მეფე მოიყვანეს გორში. მისი მხლებელნი დააფიცეს და უკან გაისტუმრეს, გარდა ასი კაცისა, რომელნიც დასტოვეს მეფესთან. ტფილისში მეფე დააყენეს სუმბათაშვილის სახლში და ღარაჯი დაუნიშნეს, რამაც ფრიად გააკვირვა იმერი თავად-ახნა- ურობა, სიმონოვიჩის დაპირებას მინდობილი. როცა მიტრო-  
პოლიტთა კრებამ მოითხოვა სოლომონის იმერეთში დაბრუ-  
ნება, მთავარ-მართველმა უპასუხა, რომ იმერეთი სამუდამოდ იმპერიასთან შეერთებულ იქნა და მეფის მართველობის მაგივრად ინაშნება „ღროებითი გამგეობარ“. აღელვების მი-  
ზეზის მოსასპობლად გენ. ტორმასოვმა უბრძანა სიმონოვიჩს მეფის ქვრივი (დედოფალი დარეჯანი, გიორგი ბატონიშვილის მეუღლე) შეიღებით სამეგრელოდან ტფილისში გამოეგზავნა რაც შეეხება თვით სოლომონს, გენ. ტორმასოვი თხოულობდა მისსა და ბატონიშვილის კონსტანტინეს რუსეთში გადასახლე-  
ბას, რადგან მეფისადმი ერთგულება მაინც მტკიცეა იმერეთში და მისი იქ ყოფნა საშიშიაო. მეფეს, იმის აზრით, დაენიშნე-  
ბოდა შესაფერი პენცია და საცხოვრებლად რუსის სოფელი. ტორმასოვი დიდად კმაყოფილი იყო, რომ ხუთი წლის გან-  
მავლობაში ურჩობით განთქმული მეფე ტყვედ ჰყავდა ტფი-  
ლისში. მადლობა გამოუცხადა მან ჯარს, დააჯილდოვებინა სიმონოვიჩი გენერლის ჩინით და დანიშნა იმერეთისა, სამეგ-  
რელოსა და გურიის საქმეების მმართველად და სარდლად იქ მდგომის რუსის ჯარებისა. მშვიდობიანობის ჩამოვარდნა იმე-  
რეთში მაინც არ მოხდა. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო,

რომ მეფე, თუმცა სასტიკი ზომები იყო მიღებული, 11 მაისს 1810 წ. გაიქცა ტფილისიდან და მიიშალა.

თავ. სუმბათაშვილის სახლში, სადაც სოლომონ მეფეს ინახავდნენ, მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა მხარეზე, ავლაბის ხიდის ახლოს. სახლი განმარტოებულად იდგა და გარს ერტყა მაღალი გალავანი ვიწრო გასავალი კარით. სახლის დარაჯობა ტორმასოვმა დაავალა მაიორს კომენს. ამან ბალიქკართან დააყენა ყურის მგდებელი. სუმბათაშვილის მოვალეობას შეადგენდა ყოველ-დღიურად იმ პირთა სიის შედგენა, რომელნიც მეფის სანახავად მოდიოდნენ, უნდა თვალი ეღვენებინა მეფის ავი განზრახულებისათვის და საღამოდან მოყოლებული გათენებამდის, მხლებელთა გარდა, არავინ გაეტარებინა სასახლეში. ქალაქის ბოქაულს ბარათაშვილს უბრძანეს დაენიშნა მეფის სამსახურისთვის ორი პოლიციელი და ღამით აგზავნიდნენ ბალის კართან სამს პოლიციელს, რომელნიც დარაჯს უსახელებდნენ მეფესთან შემსვლელს პირებს. მეფის მხლებელთა ცხენები მტკვრის გაღმა იყვნენ საძოვარზე და ბოქაულის დაუკითხავად გამრღმა ვერავინ გადმორეკავდა. მეფესთან შედიოდნენ ისინი, ვისაც ნება ჰქონდა აღებული. მეფეს განუწყვეტლივ ახლდა ერთი ოფიცერიც.

ამდენი გასაფრთხილებელი ზომების მიუხედავად, მეფე მაინც გაიპარა \*), ხელშეწყობილი ოფიციალურ პირთა მიერ, რომელთაც ვალად ედოთ მისი დაცვა მის გაქცევამდე. ბოქაულის დაუკითხავად 20 ცხენი გადმოიყვანეს მდინარე ვერაზე. წინა ღამეს როსტომ წერეთელმა და გრიგოლ ერისთავმა გადმოარეკინეს თავიანთ კაცებს ექვსი ცხენი და მოიყვანეს მუჩეთის ნანგრევთან, რომელიც ექვს ნაბიჯზე იყო გალავნის კარებთან. კაკუცა აბიშიძემ ბოქაულს ბარათაშვილს აუხსნა, რომ ცხენები სჭირდებათ მეფის კაცებს, რომელნიც იმერეთში

\*) ეს მოხდა, დავით ბატონიშვილის სიტყვით, 13 მაისს 1810 წ., ღამესა, რომელი თენდებოდა შუახატიკის დღესასწაულს.

მიდიანო, და უჩვენა ქალაქის ნაგლეჯი ბილეთის მაგდვრად, რომელიც, ტორმასოვის ბრძანებით, თავისუფალ გზას უხსნიდა იმით, ვინც იმერთაგანი ბრუნდება სამშობლოში. გაქცევის ღამეს ორმა პოლიციელმა თავლის ბანზედ დაიძინეს, მესამე მთელის ღამით მეჩეთში მოეწყო. დარაჯი დარჩა მარტოკა. სოლომონმა იმ ღამეს თავი მოიავათმყოფა და ადრე შევიდა დასაძინებლს ოთახში, ივანშმა ქაიხოსრო წერეთელთან, გაიხადა ტანისამოსი და დაწვა. თავ. წერეთელი გამოვიდა, ძოლოთ საათზე დაბრუნდა სოლომონთან და შეატყობინა, რომ ცხენები მზად არიანო. მოხუცმა მოსამსახურემ \*) მიართვა დამზადებული უბრალო ტანისამოსი, რომლის მაგივრად მომტანმა მელუქნემ ბეჟან მურასოვმა წაიღო მეფის ძვირფასი ტანთსაცმელი. მეფემ გადაიცვა კაბა, ნაცრით პირი მოისვარა, საღვინე აიღო ხელში (ბატონიშვილ-დავითის სიტყვით, წამოიკიდა ტიქქორა) და გავიდა ქაიხოსრო წერეთლის ოთახზე ბაღში. სოლომონმა ორს დარაჯს გაუარა და თამამად უბასუხა, რომ იგი მეფის მსახურია და მიდის მტკვარზე წყლის მოსატანად. ქუჩაში მას უცდიდა ერთი იმერელი რომელიც, ვითარცა საექვო, წინა დღეებში, კომენდანტის განკარგულებით, გადაყენებული იყო მეფის სახლის მცველობის მოვალეობისაგან. ამან გაატარა მეფე ქალაქით და მიიყვანა ვასავალთან, სადაც დარაჯმა გააჩერა, მაგრამ რაკი დინახა პოლიეცელი, სამსახურისთვის მიმავალი, გაატარა გლავნის გარედ. აქ დახვდნენ მეფეს ოთხი თავადი წერეთელი, მათ შორის ზურაბის შვილი, ძმანი ერისთავი, აბაშიძე, შ.შ. ცხენოსანი, და ამათის თანხლებით გადაუდგა სოლომონი კუბრიალეთის კერძო (გზას?) ტორმასოვიამ

\*) ეს მოსამსახურე მეფესთან შეზრდილი ახნაური იყო. მსხვერპლად დაიღუპა ქაიხოსრო წერეთელმა; მოსამსახურე მეფის ლავინში ჩაწვა და თავისი კაბა მეფეს მართვა. (კრებული 1872 წ. № 12, ილუზორიან ქართულის ნაამბობი).

დროს ტფილისში არ იყო: ყარაბახში მოლაპარაკება ჰქონდა სპარსელ მირზა ბეზიურკთან ზავის შესახებ. ამიტომ მეფის გაპარვის გამომძიებლების შემდეგ პირველი განკარგულება მოახდინა საქართველოს მმართველმა გენერალმა ახვერდოვმა და ტფილისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა როზენმა. ბორჩალოს მოურავს ებრძანა გზები შეჰკრას დმანისიდან ახალციხისკენ მიმავალი. სიმონოვიჩს მისწერეს ეცადოს მეფე დაიჭიროს, თუ იგი იმერეთში დაბრუნდეს. მაგრამ ამაოდ ჩაიბრა მიღებულმა ზომებმა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფის გაქცევამ იმპერატორ ალექსანდრე პირველზე. გარდა პოლიტიკურის მნიშვნელობისა, ეს საქციელი ამტკიცებდა „სოლომონის მიერ ორკეც შეურაცხყოფას მონარქის წყალობისას“ იმით, რომ ტფილისში მეფემ თავის ოთახში დასტოვა ორდენი ალექსანდრე ნეველისა, უმაღლესად ბოძებული 1804 წ.

იმპერატორმა გამოუგზავნა ტორმასოვს ბრძანება მისცეს სამხედრო სამართალში გენარალი როზენი, როგორც ტფილისის ჯარის დროებითი უფროსი კომანდირი; დანარჩენნი პირნი, ვისაც რაიმე მონაწილეობა აქვსო მიღებული მეფის გაქცევაში, სასტიკად და სწრაფად დასჯილ ყოფილიყვნენ. სამართალმა როზენი უდანაშაულო იცნო, ხოლო ტფილისის კომენდანტი კომენი ხუთის თვით დაიჭირეს და შემდეგ სამსახურიდანაც სამუდამოდ დაითხოვეს. პოლიციებისტერს ბარათაშვილს აზნაურობა აჰყარეს და სალდათად გაგზავნეს. მეფის გაქცევაში უმთავრეს მშველელ პოლიციელებს ავთანდილოვს, პენტელეევსა და ერივანსკის, აგრეთვე მედუქნე მურასოვს, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. მეფის მსახურს ტაბუკაშვილს და დალაქს სალამაძეს ჩამოხრჩობა ტორმასოვმა ციმბირში გაგზავნაზედ შეუცვალა. ასის-თავს ფალავნდიშვილს, რომელსაც ბრალდებოდა იმერთა ჯოგიდგან ცხენის გადმოყვანა მტკვრის გადმოღმა, გამოძიებამ ვერ დაუმტკიცა დანაშაული და „იმერთს შიანდო მისი საქმე“; ხოლო გენ. ტორმასოვმა სასამართლოს ამ რეზოლიუციას თავის ხელით მოაწერა: „დახვრიტეთ“!

ძვირად დაუჯდათ იმერლებს მეფის განთავისუფლება \*), მაგრამ უფრო მეტი მსხვერპლი მოელოდა მის შევიწროებულს სამეფოს.

ტორმასოვი დაბრუნდა საჩქაროდ ყარაბახიდან და შეეცადა იმერეთში არეულობა არ მომხდარიყო. სიმონოვიჩს ებრძანა ხანის და ზეგანის ხეობებს ადევნოს თვალი, დაიჭიროს ჯარით უსაქიროესი ადგილები და აუკვეთოს მეფეს იმერეთთან მისვლა-მოსვლა. ამ აზრით ფოთში დაატუსაღეს დედოფალი მარიაში, დაი მისი მიქელაძის მეუღლე და მალხაზ ანდრონიკაშვილის ცოლი. მეფესთან გაქცეულ თავადთა ოჯახობა დაატუსაღეს და მათი მამული სახაზინოდ ჩაირიცხა, რომ მით დაეჯილდოვებინათ რუსთა ერთგულნი. ტორმასოვმა მიჰმართა იმერ. მიტროპოლიტთა კრებას და ურჩევდა ამოდნუ ცდილობენ „ღვთის მოწინააღმდეგე მეფის დაბრუნებას.“

გავიდა რა თრიალეთს, სოლომონი შეხვდა ლეკთა მხედრობას მაჰმად-ბელადის წინამძღოლობით და მათის თანხლებით მშვიდობით მიაღწია ახალციხის საზღვარს და 13 მაისს მივიდა სოფელს კოტელს, სადაც ამ დროს იყო ბატონიშვილი ალექსანდრე. ამან იმერეთს გამოუგზავნა მოწოდება ერთგულება დაემტკიცებინათ ბაგრატიონთა სახლისთვის. თვით სოლომონმაც მიჰმართა წერილებით იმერლებს, ხოლო მიტროპოლიტებს გენათელს და სოფრონს სთხოვდა დახმარებას რუსის მთავრობასთან. აქავე დროს სთხოვდა ლოსიათხეველებს თავი გაეწირათ მის დასახსნელად, რომ არ დამართებოდა ისეთი დღე, როგორც ქართლებს, რომელნიც რუსთა გავლენით წითელ პარასკევს ხორცსა სჭამენ და ხორცი თ იწვიან. რუსები დაპირდნენ მათ ოქროებს, ახლა კი ღარიბსა და მიცვალებულზედაც

\*) სოლომონის გვჰცევის ამბავს ცოტა სხვაწიარად შოგვითხრობს გაბრიელ მადღვარი ათონელ ილარიონ ქართლელის: სიტყვით („კრებული“ 1872 წ., № X—XII). ბართაშვილმა თვით გადასცა ცხენი დაქანულ მეფეს, რომელსაც იგი შემოხვდა ქალაქს გარედ სოფლიდან მომავალი.

ყველას სამ-სამ მანეთს არომევენ, სახლებს უპატიურებენ და ამცირებენ. ასეთი დღე მოგვედით თქვენცაო, თუ დამივიწყებთ მე, თქვენს კეთილ მოყვარესაო. მიტროპოლიტს დოსითეოსს სწერდა, რომ მან ირჩია მათთან სიკვდილი, ვიდრე რუსეთში დედება, და ახლა თავზედ ხელი აეღო, რომ იმერეთში დაბრუნდეს. აუწერს-რა მომავალს განსაცდელს, მეფე სთხოვს დახმარებას ღვინითა და არაყით ამგვართვე ცდილობს მიიპყროს თანაგრძნობა იმერეთის თავად-ახნაურობისა და თვით ხურამ წერეთელსაც კი მიჰმართავს წერილით \*).

სხვათა შორის, დიდის გრძნობით სავსე წერილი მისწერა ქუთათელს დოსითეოსს იმავე წელს 17 მაისს:

... „მეფე სრულიად იმერთა სოლომონ უსაძლთოესს მარჯვენეს სესოგებით ამბორის ყოფას ზოგახსენებთ, — სწერდა მეფე მიტროპოლიტს. — მერმეთ, როდესაც გადაწყვეტიტ გული დავაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებდნენ, თქვენის მოშორებისა და იმერეთის საუკუნოდ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთს დიდებას — თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიკაცხლე და სიკვდილი ვირჩიე. ჩემი თავი გადავსდევე და ათს ამ თვეს, ღამის ორ საათს, ღვთის მოწყალეებით ქალაქიდგან გამოვიედი. ოთხნი წერეთელნი, ორნი ძმებდ ერისთავები და დაუშუშვილი მათის კაცებით, ოც და სამი ცხენიანი, აქ — ხალციხეში, მშვიდობით მოვედი. თქმად შეუძლებელია დიდთა და მცირეთაგან ერთობით ჩემის მისვლისათვის ამათი სიხარული.

„აწ თქვენგან და მთელად იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის, — მე თუ სხვა საშინაური რამ დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცრთ, რომ თქვენის პატრიარქისა და სწავარჯლისაგან არაოდეს ჩემი გული არ გამამღარა; აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის თავი გადავსდევე თქვენ-

\*) ნახე „იმერეთის მეფე სოლომონ შეორე“ თ. ხუციკვაძისა, გვ. 57—59, ყვირილა, 1903.

თან სიცოცხლისათვის. ამაზედაც ფიციით გარწმუნებთ, რომ თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც მე თქვენის მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი; მაგრამ ვიცი და თქვენც ჰხედავთ, რომ როგორც სხვა, თქვენი მეზობელნი, იმათ ხელში უნუგეშოდ კენესიან და დღე და დღე ოჯახის პატივიდგან მდაბლდებიან, სახლის და ცოლ-შვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზედ გულდასმული შეიქმნენ, მერე უმწარესი და ყოველს მეზობლებზედ უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ. დღეს რომ პატივსა სცემენ, ხვალ ყოველ ქვეყანისაგან იმერეთში უმეტესად დაკრძალულ ცოლ-შვილის პატიოსნებას უპატიოდ გახდიან. შეჰხედეთ საქართველოს, რომელიც პირველში ფიციითა და ოქროთი მოატყუეს და დღეს აღარც სიმდიდრე უხარიან და აღარც თავისი სახლი და სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით, რომ თავის ჩვეულებას თქვენთვის არ გამოცვლიან; არც თქვენს მამა-პაპას არ იცნობდნენ, არცა აქვსთ სიყვარული და გულის შეტკინება, რომელიც მე მაქვს, გიცნობთ და მიცნობთ.

„ეს არის დღე ერთგულებისა და ჩვენთვის დათხეულთა მამა-პაპათა თქვენთა სისხლთა განახლებისა, რომ განთავისუფლებისა თქვენისათვის გამოაცხადოთ ერთგულება თქვენი, რომლითაც აქამდე ყოველს ქვეყანაზედ იმერეთი ჩინებული ყოფილა მემკვიდრის მეფის ერთგულობაზედ და უმეტესად თქვენი ოჯახი და ზვით თქვენ ჩვენთვის თავდადებულნი ბრძანებულხართ. ნუ დაიდებთ საუკუნოდ საძრახისს საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლსავეთ, რომელნიც სულიერად დიდი პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ. გაისარჯეთ თქვენებურად, ოჯახი დიდი თუ მცირე, თქვენი მოკეთებულები, და თქვენი სამწყსო იმერეთში ყველანი

განამტკიცეთ და თქვენი ჩემზედ მამა-შვილური სიყვარული და შემძლებლობა დღეს გამოაცხადეთ. თუ დამაჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს აღარას დავეძებ, რომ ღვთისა და თქვენის შესაწუხებელი საქმე არ მოჰხდეს-რადა, როგორც თქვენგან პასუხი მომივა, ამად გული დააჯერეთ თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო, იცოდეთ“...

ამგვარივე წერილები მისწერა მეფემ სახლთ-ხუცესს თავ-ზურაბ წერეთელსა და სხვებს... მეფე დიდ მზადებაში იყო. მას იმედი არ დაჰკარგოდა, რომ იმერეთის ტახტი ოდესმე ისევ ხელში ჩაუვარდებოდა.

მეფის მოწოდების გასანიავებლად, სიმონოვიჩმა გამრ-უცხადა თავ-აზნაურობას და სამღვდლოებას პროკლამაცია, რომ მათ მოსპონ სოლომონთან კავშირი და დამოკიდებულება. მეფის წერილების მიმტანს ჰპირდებოდა ჯილდოს, ვისაც კი შენიშნავდა მეფესთან დაახლოვებას, უქადდა გაწვევლვას და ციმბირში განდევნას და მამულ-დედულის წართმევას ერთგულთა დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამ სასტიკ ზომებისა, დამოკიდებულობას მეფესთან იმერნი არა სპობდნენ. დეკნილმა მეფემ ხალხის თვალში მოიპოვა უფრო მეტი პატივისცემა და თანაფრძნობა. მისი წერილები მივარდნილს სოფლებშიაც უღვიძებდა ხალხს სურვილს მიეცათ მხარი ტანჯულ გვირგვინოსანისთვის. ხალხის მოძრაობას ისიც უწყობდა ხელს, რომ რუსის ახალი მმართველობა არ აკმაყოფილებდა მცხოვრებთა მოთხოვნილუბას, გამგეობა ისევ ძველს მოუტრავებს და ბოქაულებს დარჩათ.

იმერეთი არ დაწყნარდებოა, სწერდა სიმონოვიჩი, ვიდრე სოლომონი ისევ მეფედ არ იქნება, ხოლო სხვა პირის მეფობა ერს არა სურსო. რუსების მდგომარეობა ამიტომ შეიქმნა ფრიად საძნელო, მომხრე იმერეთში არავინა ჰყავდათ-ზურაბ წერეთელი, რღმლის იმედიც ჰქონდათ, შორიდან უყურებდა სეირს. სიმონოვიჩს არა ჰქონდა გავლენა იმერეთში და სახელი გაიტეხა მით, რომ ჯვარ-სახარებზე შეჰფიცა სოლო-

მონს ხელშეუხებლობა და ბოლოს კი მანში გააბა. შემდეგ ასე მოატყუა კიდევ მარია დედოფალი, რომელიც დაპირებული ტფილისის მაგივრად გაგზავნეს საცხოვრებლად რუსეთს. აღთქმული ჯილდოც დამსახურებულ პირებს ვერ გამოუტანა. ტორმასოვმა იწყინა ეს მოხსენება სიმონოვიჩისა: უარჰყოფდა, რომ მეფეს ტფილისში ტყვესავით ინახავდა და ამტკიცებდა, რომ არაფერში არ უპტყუნია სოლომონის წინაშე, რომელიც დამნაშავეა თავის მოუთმენლობით ბედის უკუღმა დატრიალებდაში.

სიმონოვიჩს მართვაში დასახმარებლად, ტორმასოვმა სთხოვა ქუთაისში გადასვლა თავად ზურაბ წერეთელს, მაგრამ ამან უარი შემოუთვალა და წავიდა საჩხერეს იმ მიზნით, რომ ქალს ჯვარსა ვწერ ლევან დადიანზეო. ზურაბმა აქაც, როგორც სიმონოვიჩი სამართლიანად იწერება მოხსენებაში, თავი დააღწია რუსებს გაჭირვებულს მდგომარეობაში და ორწირობითი საქციელით ექვი დაუბადა, რომ იგი მხარს უჭერს მეფეს ტახტის დაბრუნების ცდაში. მაინც, ზურაბიც რომ მიშველებოდა, მთავრობა იმერეთს ვერ დაამშვიდებდა, რადგანაც სამეფოს მოედო საერთო და სტიქიური აღელვება; გზები შეიკრა. სიმონოვიჩის კაცებს და გაგზავნილ მოხსენებას აჩერებდნენ. მეფის ბინას უშალავდნენ.

აჯანყებულნი შეადგენდნენ რაზმებს და დაუწყეს რუსებს დევნა. ქაიხოსრო აბაშიძის მოთავეობით მოქმედობდა რაზმი 2000 კაცამდის. სიმონოვიჩმა ამათ წინაღმდეგ გაგზავნა მაიორი კალატოზიშვილი ორი როტით ლოსიათხევისკენ. აჯანყებულთ ვიწრო ადგილას შეამწყვდინეს იგი, 50 მოჰკლეს და დასჭრეს, ამათ რიცხვში თვით კალატოზიშვილიც გამოასალმეს წუთიერად ფელს. ამისმა მოადგილემ ტიტოვმა დასძლია იმერლებს, — მოუკლა მათ ასი კაცი, მაგრამ კი ვერ გაჭვანტა: იგინი შეეფარნენ გამაგრებულს სტეფელს ზაქარას \*). ამ პირველი შეტა-

\*) ბატონიშვილი დავითი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: სცნეს რა იმერთა მეფისა აღსვლაი ახალციხეს, შეიქმნა მათ შორის აღრეულობა.

კების შედეგი ის იყო, რომ აღელვება მოედო მთელს მხარეს და შეჰკრა გზა აღმოსავლეთ საქართველოსთან. ეს გაჭირვებული მდგომარეობა აცნობა ტორმასოვს ზურაბ წერეთელმა. სიმონოვიჩი, სჩანს, საქმის ვითარებას გულახდილად ვერ ატყობინებდა მთავარ-მართებელს.

24 ივნისს ტორმასოვმა მიაშველა ქართლიდამ სიმონოვიჩს მაიორის კნიაჟევიჩის კომანდობით ორი როტა და ერთი ზარბაზანი. ამით შეხვდათ იმერთა რაზმი, მწარედ შეიბნენ, 20 კაცი მოუკლეს, 48 დაუჭრეს რუსებს, მაგრამ იმათ მაინც ქუთაისს მოაღწიეს. ამავე დროს კაპიტან სუხანოვის როტას დაეცნენ ბაღდადთან და დიდი ზარალი მისცეს. სათითაოდ ყაზახთა მოკვლაც გახშირდა. იმერეთი ზღვასავით დელავდა. სოლომონ მეფე ივნისის დამდეგს მოვიდა იმერეთს ახალციხიდან ლეკების და ოსმალოს რაზმით; რამდენიმე მოკლულ რუსის თავი მეფემ მადლობის ნიშნად სწრაფად გაუგზავნა შერიფ-ფაშას, რომელიც სოლომონს მამას ეძახდა და ხონთქრისათვისაც სთხოვდა რამდენისამე კაცის თავს ფეშქაშად. რაკი საქმე გამწვავდა, გენ. ტორმასოვმა საჩქაროდ გაგზავნა იმერეთს კიდევ ორი ბატალიონი გენერლის ორბელიანის უფროსობით. სიმონოვიჩისა და ორბელიანის დამოკიდებულება ტორმასოვმა ვერ განსაზღვრა და ამით ჩამოაგდო მათ შუა შეუთანხმებელი მოქმედება.

ტორმასოვმა დაავალა ორბელიანს (ამას ბატონიშვილი დავით უწოდებს დიმიტრი ყაფლანიშვილად, — კაცი უმეცარი და „მზგავსი პირუტყვისაო“), მიემხრო სამეგრელოს და გურიის მთავრებიც იმერთა წინააღმდეგ; აჯანყებულთა შესახებ გასცა სასტიკი განკარგულება: ზოგი ციხეში დაამწყვდით, საციმ-

---

და ადგილ-ადგილ ამბოხი, უმეტეს ზემო მხარსა შინა, რომლისა ამბოხის თავი იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე საქარველი. მაშინ ღიანარალმან სვიმონოვიჩიმან წარგზავნა მაიორი კალატოზიშვილი 200 სალდათითა და ზარბაზნებითა. მოვიდა იგი ზაქარას. წარმოიშვა ბრძოლაი, იძლიენენ რუსნი. („მასალები“, გვ. 20).

ბიროთ დანიშნულნიო და ზოგიც ჩამოახრჩეთ, თუ საჭიროება ამას მოითხოვდესო. რაც შეეხება თვით მეფეს, უნდა გამცემი პირი ეპოვნათ ახალციხეში და თვალი ედევნებინათ ყოველი მისი ნაბიჯისთვის. როცა ორბელიანის ჯარმა 29 ივნისს 1810 მოაღწია სურამს, შეიტყო, რომ ამას იქით წასვლა შეუძლებელია, რადგან გზა დაჭერილია აჯანყებულთა მიერ, რომელნიც გამაგრებულნი არიანო ლეკთა და ოსმალთა შემწეობით. იმ აზრით, რომ გაჰყოს მწინააღმდეგეთა რიცხვი, ორბელიანმა განიზრახა ორი გზით შესულიყო იმერეთში. ერთი ბატალიონი და ორი ზარბაზანი ჩააბარა მაიორს ტიხოცკის ალის გზით კარტოხდზე და ჩალუანზე წასასვლელად, თითონ მეორე ბატალიონით ვახანის ხევს შეუდგა. გზად მას შემოუერთდა ოთხი როტა მაიორის პრიბილოვის კომანდობით. ტიხოცკიმ მიაღწია კარტოხს, თუმცა მწარე შეტაკება ვერ აიცდინა.

სისხლის ღვრა და შეუწყალებელი ბრძოლა მოხდა ალის ხეობაში. ოთხი დღე განუწყვეტელი სროლა იყო. რუსის ჯარი დიდად შევიწროვდა. დამარცხებაც არ ასცდებოდათ, რომ სურამიდან მშველელი რაზმი არ მოსწრებოდათ. 11 ივლისს დასვენებული ორი როტა ბორჯომის გზით შემოუერთდა ტიხოცკის რაზმს. ელაზნაურიდან მოვიდა თვით ორბელიანიც. დამპალოს ველზე 10 როტა რუსის ჯარი და ოთხი ზარბაზანი დაუხვდათ აჯანყებულებს. ოთხი ვერსის სივრცეზე მდინარე ძირულამდის ეცნენ ერთმანეთს მოპირის-პირენი. ხიდს იქით ერთი-ერთმანეთზე მოსდევდა იმერთა შიერ გამაგრებული ადგილები. ჯარის გატარება აქ შეუძლებელი იყო, ამიტომ ორბელიანი დაბრუნდა უკან სურამს იმ აზრით, რომ ვახანის ხეობით შესულიყო იმერეთს.

ორბელიანმა დაჰკარგა ამ ბრძოლაში 117 კაცი მოკლული და დაჭრილი, ხოლო იმერლებმა ამაზედ მეტი: მოკლულთა რიცხვში ერია აჯანყების მოთავეც—აზნაური გოდობრელიძე. ალის ხეობაში რუსების დამარცხებამ გაამხნევა მოძრაობის ბელადნი. მალხაზ ანდრონიკაშვილი და როსტომ წე-

რეთელი ულოცავდნენ მეფეს მტერზე „გამარჯვებას“. ტორმასოვი კი საშინლად გააფიცხა ამ შესახარავმა ამბავმა. საშინლად გაუწყრა იგი თავ. ორბელიანს იმაზე, რომ მან ჯარი ორად გაჰყო და ამით შეასუსტა თავის მისატანი ძალა. მეორე შეცდომად ის ჩაუთვალა, რომ არ შეიტყო რიგიანად, როგორ ჰქონდათ იმერლებს შეკრული და გამაგრებული აღის გზა. ამ გაუგებრობის შედეგი იყო მაიორ ტიხოცკის ჯარის ხეობაში დარჩენა უწყალოდ და უბუროდ, შემდეგ მსხვერპლად გახდომა მიმალულთა თოფის ტყვიისა. ორბელიანი თავს იმართლებდა იმით, რომ მტერს მოელოდა იგი ვახანის გზით და არა აღის ხეობით. შეეცადა აგრეთვე ტიხოცკის მოქმედებაც გაეთეთრებინა და მისი განწირული სიძამაცე მთავარ-მართებლისთვის გადაეშალა. მოწინააღმდეგის დასათრგუნავად ტორმასოვს ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნდა სწრაფი დაცემა. ორბელიანიც ამიტომ სთხოვს ახალს ჯარს აღის ხეობისკენ, რომ იმერნი მიიტყუოს ამ მხარეზე და თვით დაეცეს ვახანის ხეობით. ტორმასოვი, გაბრაზებული ორბელიანის თხოვნაზე, სწერდა, რომ რვა ბატალიონი, რომელიც მასა ჰყავს, საკმარისია, რომ მტრის ბრბო გაარღვიოს და დაამარცხოვს იგი. რადგან ორბელიანის მოქმედებით გენ. ტორმასოვი უკმაყოფილო იყო, ამიტომ უფროსობა ჯარებისა, რომელნიც იმერეთში იყვნენ გაგზავნილნი, გადასცა გენერალს როზენს.

ტორმასოვმა უბრძანა როზენს დაუყოვნებლივ წავიდეს სურამში, ჩაიბაროს ორბელიანისაგან მთავარ-მართებლის ინსტრუქციები და ფული და გაეშუროს იმ ადგილას, სადაც აჯანყებულთა შეკრებულებაა. მოწერილობით, ორბელიანს უნდა მოეცაღნა როზენისთვის სურამში, მაგრამ ქალაღდმა აქ ვერ მოუსწრო და იგი გასულიყო იმერეთისკენ ვახანის გზით. შვიდს ვერსზე სურამიდან რუსის ჯარს შეხვდა აჯანყებულთა რაზმი; ბრძოლის შემდეგ რუსებმა მიაღწიეს სოფ. ნებოძირს და მეორედ დღეს გავიდნენ მოლითის წყალს და დაუახლოვდნენ ზედუბანს. აქ მოუვიდა ორბელიანს ტორმასოვის ბრძანება როზენს

ნისთვის მოეცაღნა სურამში. მაგრამ ორბელიანმა არჩია აჩქარებული ნაბიჯით გაეწია და 20 ივლისს ჩავიდა ლელვანს. აქ გაიგო, რომ რუსების კომანდა ჩხერში მეტად გაჭირვებულია და ამიტომაც ორბელიანი გაეშურა მის გამოსახსნელად. გარნიზონს შეადგენდა 27 კაცი პოდპორუჩიკის შენშინ მეორის კომანდობით. თუმცა გარნიზონს სურსათი და წყალი შემოაკლდა და გარს ერტყა იმერთა რაზმი, მაინც არ დანებდა და უარი განაცხადა ციხიდან გამოსვლაზე. ციხეში სხვა გასაჭირს დაედო ავადმყოფობაც და ხმაც გავრცელდა, რომ ალის ხეობიდან რუსების ჯარი უკან დაბრუნდაო. ამ გაჭირვებიდან დაიხსნა ორბელიანმა, რომელსაც ციხიდან გაპარულმა ჯარის კაცმა აცნობა შენშინის მდგომარეობა. 22 ივლისს ორბელიანმა 3000 მეთამბოხენი ჩხერის ციხესთან დაამარცხა და გაჟვანტა. იმპერატორმა შენშინი და ჯარის კაცნი, ჩხერში დამწყვდეულნი, უხვად დააჯილდოვა. ჩხერის ომში მოჰკლეს დიმიტრი აბაშიძე.

ამ ჩხერთან მოეწია თავ. ორბელიანს გენერალი როზენიც, რომელსაც ჯარი დახვდა დიდს არეულობაში. როზენი გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო: ერთის მხრივ, მან არ იცოდა ადგილის მდგომარეობა და მოწინააღმდეგეთა რიცხვი, მეორეს მხრივ — ორბელიანის ჯარი დახვდა დაქანცული და უსურსათო. დიდის მოფიქრების შემდეგ, როზენმა არჩია გაეპო მეთამბოხეთა რაზმი და ცდილიყო ქ. ქუთაისს შესულიყო. ქაიხოსრო წერეთელი გავიდა რაზმით ყვირილის წყალს და შეეცადა ჩიტურზე როზენი არ გაეშვა ქ. ქუთაისისკენ. ამ ბრძოლაში მოჰკლეს ოსმალთა უფროსი სულეიმან-ბეი, იმერთაგან 200 კაცი და დანარჩენნი ქაიხოსროს წინამძღვრობით მიეშურნენ სოფ. მალლაკს\*), მეფე სოლომონთან. დიდო სიხარული გამოიწვიო მთავრობის ჯარში იმამბავმა, რომ 25 ივლისს შე-

\*) დავწილებით ეს დმი აწერილი აქვს ბატონიშვილს დავითს („მასალები“, გვ. 90—92).

ტაკების დროს განგმირულ იქმნა „მტერი რუსეთისა“ ქაიხოსრო აბაშიძე. მიუახლოვდა რა როზენი ქ. ქუთაისს 29 ივლისს, გაჰფანტა მემამოხეთა რაზმი და შევიდა ქალაქში. როზენმა გაგზავნა სიმონოვიჩი რიონის მარჯვენა ნაპირით სოლომონ მეფის შესაპყრობლად. სიმონოვიჩის მოახლოებაზე სოლომონმა დაანება თავი მალლაკს. ამავე დროს. მაიორ პრიბილოვის ხუთი როტა და 50 ყაზახი გაგზავნა როზენმა გელათისკენ. სოფ. რიონთან შეხვდა იგი რაზმს, რომელსაც წინ უძღოდა თვით მეფე. ბრძოლა გაცხარდა 4 აგვისტოს დილიდანვე ვიწრო ადგილში. საღამოთი პრიბილოვს მოეშველა ქ. ქუთაისიდან ორი როტა კიდევ. ღამით ჩუმად მიეპარნენ იმ ადგილს, სადაც შეკრებული იყო მეფის რაზმი, და გაფანტეს იგი. მეფე გაიქცა ნალარევში. სიმონოვიჩი და პრიბილოვი ერთად დაედევნენ მას და გელათთან გამაგრებული მემამოხენი გააქციეს. მეფე ახლა შეეფარა სოფ. გოგს. აქედან გაგზავნა რუსების ბანაკში მიტროპოლიტი დავით პირობის დასადებად: თუ იმპერატორი აპატიებს საქციელს და საცხოვრებლად ბინას იმერეთში დაუნიშნავს, იგი უარს იტყვის მეფობაზე და ოსმალთა წინააღმდეგ სამსახურით თავის წინანდელს მოქმედებას დაავიწყებინებს. ამ წინადადებას ყურადღება არ მიაქციეს და მიაწერეს მეფის ვერაგობას. ამასთანავე მისდევდნენ ფეხ-დაფეხ და 17 აგვისტოს გაჰფანტეს იმერლები გოგს, შემდეგ გაანთავისუფლეს გარნიზონი, დამწყვდეული სოფ. ჩხერში, და გაჰფანტეს რაზმი იმერთა და თურქთა სოფ. ბაღდადთან.

ენკენისთვის დამდეგს იმერეთი აღელვებულ რაზმთაგან გაიწმინდა. სოლომონ მეფე, თანამოზიარეთა მცირედის რიცხვით, გაჩერდა ხანის ხეობაში ოსმალეთიდან მომავალ ჯარის იმედით. ტორმასოვმა არ უცოდა, რა ხდებოდა იმერეთში, რადგან მისი კურიერები დატყვევებულნი იყვნენ აღისა და ვახანის გზაზე. ერთის მხრივ იმერლებმა სამსახური გაუწიეს მთავარ-მართებელს, — რომ მის ქაღალდებს დანიშნულებსა მებრ არ მიაღწევინეს, — იმით, რომ ტორმასოვის ზოგს ბრძანებას შე-

ექლო ორბელიანსა და სიმონოვიჩის შუა-შუღლი ჩამოეგდო და ერთუფლობის მაგივრად რუსთა სავნებლად ორუფლობა დამყარებულიყო. მხოლოდ სექტემბერში მიუვიდა როზენს ოთხჯერ ამაოდ მიწერილი და გზაში იმერთა მიერ დაკერილი ბრძანება, რომლის ძალითაც როზენს კომანდობა უნდა გადაეცა ორბელიანისთვის და თვით დაბრუნებულიყო ტფილისს. ამ განკარგულებას მოუსწრო პეტერბურგიდან უმაღლესმა ბრძანებამ, რომ როზენი განთავისუფლებულ იქმნა სამართალში პასუხის-გებისაგან. ამიტომ ტორმასოვმა მიულოცა მას კეთილად მისი საქმის დაბოლოვება და დაავალა იმერთში უფროსად დარჩენა. მაგრამ გვიანდა იყო: როზენი ტფილისთან იყო მოახლოებული, ხოლო მის მოადგილედ იმერთა დასამშვიდებლად დარჩა სიმონოვიჩი, რადგან ორბელიანმა, ვითომ-და ავთომყოფობის გამო, უარი სთქვა იმერთში რუსის ჯარის უფროსობაზე.

ადღევებული ქვეყნის დასამშვიდებლად, ტორმასოვის აზრით, საჭირო იყო იმერთა რაზმების დამარცხება კი არა — თვით მეფის დამორჩილება. ამ მიზნის მისაღწევად სიმონოვიჩს ურჩევდა იგი ეხმარა საშუალებად მხვეილი, ოქრო, ძალა და ყოველივე ხრიკი. ბრძანება ამგვარის შინაარსისა არა ერთხელ ჩაუვარდა სოლომონს ხელში და ამიტომაც იგი ექვის თვალით უყურებდა სუყველას, მშვიდობიანად ვერსად გაჩერებულიყო, ელანდებოდნენ გამცემლები და ორგულნი. იგი ერთს ადგილას არა დგებოდა, ბინას იცვლიდა ისეთის სისწრაფით, რომ სიმონოვიჩის ცდა — მოესწრო სადმე მეფისთვის, ამაოდ რჩებოდა. მეფე გამაგრდა ხანის ხეობაში; შესავალი ამ ხეობაში შეჰკრეს, დაბურული ტყე იცავდა მეფის სადგურს, რომელსაც 1500 კაცი ახლდა. სიმონოვიჩმა მაინც გაბედა მისი შეპყრობა: მაიორის უშაკოვის მოთავეობით რუსის კომანდადაცა ხანის ხეობას, მაინგრია შესავალი და გაჰთანტა მეფის მცველნი. თვით მეფე კი მაინც ხელში ვერ ჩაიგდეს და გაეპარათ: 25 ენკენისთვის მომხრეთა მცირედის რიცხვით იგი გაიქცა ახალციხისკენ. ასე გა-

თავდა ეს მეორე აღელვება იმერეთში რუსებმა დაჭკარგეს ამ ბრძოლაში 20 აფიცერი და 392 სალდათი მოკლული და დაჭრილი. ტორმასოვმა მანიფესტით გამოაცხადა იმერეთის შეერთება რუსეთთან და აშურებდა სიმონოვიჩის სწრაფად მოეწყო იმერეთში გამგეობა, მსგავსად ქართლისა.

ამავე დროს ტორმასოვი ზრუნავს განდევნოს იმერეთიდან სამეფო სახლის წევრნი, რომელთაც შეეძლოთ ხალხზე ცუდი გავლენით ემოქმედნათ. სოლომონ მეფის ცოლი მარამ კაციას ასული, დაი მისი მარია (მაია), მეუღლე მელქისედექ ანრდონიკაშვილისა, და ქალი სოლომონ პირველისა დარეჯანი გაეზავნეს ვორონეჟს. დანარჩენნი წევრნი გადაიყვანეს საცხოვრებლად ტფილისში და, მათ შორის, ჭკუანაკლები ბატონიშვილი დავითიც, რომლის დარჩენა ქ. ქუთაისში ტორმასოვმა არ შეიწყნარა, იმ აზრით, რომ იმერლები მიუღდგებიანო მას და მიეცემათ აღელვების მიზეზი. გენ. ტორმასოვი აპირებდა აღელვების მოთავენი თავად-აზნაურთაგანნი გაეგზავნა ციმბირში, ხოლო მანვე პირნი გადაესახლებინა იმერეთიდან. მაგრამ ამ განკარგულებას წინააღუდგა სიმონოვიჩი: ასეთი დასჯა ნაყრფეს ვერ გამოიღებს და შემოერთებული ხალხის ნდობას დაეკარგავთო; ოჯახის მამის გაციმბარება აღძრავს მის შვილთა შორის უკმაყოფილებას და მანვე მოქმედების სურვილს გამოიწვევსო. ტორმასოვი დაეთანხმა სიმონოვიჩის წინადადებას და აპატივა ყველას, და ისინიც კი გაანთავისუფლა, რომელნიც შეეფეს გაჰყვნენ და ოთხის დღის განმავლობაში დაბრუნდებოდნენ იმერეთში. ვინც ამ ვადით არ ისარგებლებდა, მათი მამული სახელმწიფოდ დაიდებოდა და პატრონები სახელმწიფო მოღალატედ იქნებოდნენ გამოცხადებულნი. ერთი ნაწილი ჯარისა დაანარჩუნოს იმერეთს მშვიდობიანობის დასაცველად, ხოლო მეორე კი გაიგზავნა ახალციხისკენ, რომლის საზღვარზეც ტორმასოვი იდგა შეიარაღებული და საბრძოლველად გამზადებული.

მეფე სოლომონ გაიქცა ახალციხეს, რომ ოსმალთა მო-

შველცე ჯარით დაბრუნებულიყო იმერეთს. ახალციხის ქალაქი ჩირალდნით გაანათეს, როცა მეფე იქ მივიდა. ხაზინიდან ფაშას ეძლეოდა ფული \*) მეფის დასახვედრად. მაგრამ რაკი რუსის ჯარი ახალციხის საფაშოში შევიდა, მეფე წავიდა ერევანს. ახალციხეში დარჩენილნი თავადნი, და მათ შორის ზურაბ წერეთლის შვილი სვიმონიც, არა სპობდნენ კავშირს მეფესთან და დაბრუნების იმედს აძლევდნენ. რაკი სპარსეთმა ვერაფერი თანაგრძნობა ვერ გამოუცხადა სოლომონს, იგი დაბრუნდა ახალციხეს და აქედან დირბის არქიმანდრიტის ბენედიქტეს ხელით გამოუგზავნა ტორმასოვს წერილი, რომლითაც სთხოვდა, — მეფის ოჯახი და იმერეთში დარჩენილი ნიეთები ახალციხეში გამოესტუმრებინა. ამავე შინაარსის წერილი ტორმასოვს მოუვიდა თავ. ლეონიძისაგანაც. ამ წერილების მომტანმა პირადად გადასცა მთავარ-მართებელს, რომ სოლომონი თანახმაა დირბში მოვიდეს, თუ ტფილისიდან გაქცევისთვის არ დასჯიან და სრულიად ეპატივება იმპერატორისაგან წინანდელი საქციელი. ტორმასოვმა გამოუცხადა, ის უბედურება, რომელიც სოლომონს ეწვია, დაატყდა მას თავისივე ბრალითო. რაც შეეხება ნიეთებს, მათ მოსაპოვებლად მიიღო ზომა. იმერეთში დაბრუნებაზე ტორმასოვმა თავ. ლეონიძეს კი გადაკიბვით რაღაც მისწერა და გადაწყვეტილი აზრი არ გააგებინა. ამ წერილებს მთავარ-მართებელმა დაადევნა პოლკოვნიკი ბელეცოვი და არქიმანდრიტი ბენედიქტე, რომელნიც წავიდნენ ახალციხეს, რომ მეფეს ჩააგონონ საქართველოში დაბრუნება. ბელეცოვი პირადი ნახვის დროს მას უნდა დაჰპირებოდა იმპერატორის წყალობას და წარსული მოქმედების დავიწყებას. ბენედიქტეს დაავალა მეფე მართალს გზაზე დაეყენებინა და გადაეცა მისთვის წერილი, სადაც იგი უწონებს სოლომონს სინანულს და არწმუნებს, რომ იგი მოუტანს მას ბედნიერებას. მთავარ-მართებელი არწმუნებდა, რომ მდ-

\*) „კრებული“ 1872 წ., № IX—XII, გვ. 29

იღებს იგი სოლომონს ღირსეული პატივით და, თუ არ ისურვებს დარაჯს, მის სახლის გარს არც ერთ სალდათს არ დააყენებს. სოლომონმა მაინც არ დაიჯერა ტორმასოვის დაპირება და აღთქმა.

დატოვებული იმ პირთა მომეტებული ნაწილისაგან, რომელიც მას გაჰყვა იმერეთიდან, დაობლებული თავ. სოლ. ლეონიძეს სიკვდილის შემდეგ (ახალციხეში), მეფე სოლომონი გამოვიდოდა ერთი საფაშოდან მეორეში და ეძიებდა ბედნიერების ვარსკვლავს. ახალციხიდან იგი წავიდა აზრუმს, სადაც სულთანმა დაუნიშნა მუდმივი ბინა. ხოლო შეწუხებული აზრუმელი ფაშის მიერ, ტორმასოვის ჩავონებით, მეფე, შვიდი წლის ტანჯვის შემდეგ, 1812 წ. გამოიპარა ტრაპეზონს ღამით. აქაურმა ფაშამ ოსმან-ხაზინადარ-ოღლმ, რომელიც ქართველ თავადთაგანი იყო, კაი პატივით მიიღო, მაგრამ ბედმან არ არგუნა მაინც სამშობლოში დაბრუნება და სამკვიდრო სამეფოს დაბრუნება. 7 თებერვალს 1815 წ., იმერეთიდან ძალიან შორს, ოსმალეთის ქალაქს ტრაპეზონს, განუტევა მან ტანჯული სული 42 წლისამ. დაიმარხა იქაურს ბერძენთა ეკლესიის გალავანში, სადაც უბრალო ძეგლზე ქართულად აწერია: „საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩუიე.

ჰსაჯენ, უფალო, მაენებელნი ჩემნი და ჰბრძოდენ მბრძოლთა მათ ჩემთა. (ფსალ. 34).

„მომიხსენეთ მე, ძმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“.

მეორე გვერდზე დაახლოვებით ამოკრილია შემდეგი:

„განმეცარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაცა ვითხოვ შენდობას. 7 თებერვალს 1815 წელსა (ქორონიკონი ჩუიე)“.

ილარიონ ქართლელი მწარე სიტყვებით აგვიწერს მეფის უკა-

ნასკნელს დღეებს: თუმცა სულთანი \*) აღუთქვამდა ტახტის დაბრუნებას და ნაპოლეონის შეტაკება იმედს უღვიძებდა სამშობლოში დაბრუნებისას, მაგრამ იმერეთიდან მოსულმა ცნობამ გული აუცრუვა ტანჯულს მეფეს ეძია მოსვენება საქართველოში. თავად-აზნაურობა უთვლიდა მას ტრაპიზონს, რომ ნულარ იფიქრებს იგი სამეფოში დაბრუნებას ოსმალეთის ჯარით. და მეფემაც დალია სული უცხოეთში, დანატრულე-ბულმა სამშობლოს ცასა და თანამემამულეთა ნახვას.

ასე ტრადიკულად \*\*) გაათავა თავისი სიცოცხლე მეფემ, რომელიც გამსჭვალული იყო სიკეთე მოეტანა ქვეყნისთვის და სამსახური გაეწია ხალხისთვის. თუმცა რუსული წყაროები სოლომონს ასურათებენ, როგორც სუსტი ხასიათის კაცს, ორგულსა და თავის მრჩეველთა ხელში სათამაშოს, ჩვენ მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი აღფრთოვანებული იყო საქვეყნო აზრით, გარემოებათა ვითარებას შეძლებისამებრ ებრძოდა, თვალთა საზარისი კარგად უჭრიდა და ძლიერ მოპირდაპირესთან შეტაკების შედეგი ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა. ამით აიხსნება ერთსა და იმავე დროს მისგან რუსებთან კავშირით შეკვრა და ოსმალეთთან მისვლა-მოსვლის გახშირება. ორს ცეცხლს შუა მყოფი მეფე გადაიხრიდა ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს, იმის მიხედვით, თუ საიდან გამოელოდა მეტს სიკეთესა და სარგებლობას. იგი ირყევოდა იმიტომ კი

---

\*) სულთანს აცნობა მეფემ თავისი მოსვლა ტრაპიზონს გაჭირვების გამო. აზრუმის ფაშას სულთანმა თავი მოაკვეთინა.

\*\*) ტრაპიზონში იმ ეკკლესიას, სადაც დაიმარხა სოლომონ მეფე, მან შესწირა ოქროთ მოჭედილი ბერძნული სახარება, რომელსაც აწერია: „შეიწირე, წმ. გიორგი, აქა მდებარე სრულიად იმერთა მეფე ქართლისა მეორე სოლომონისა მიერ წმ. ესე სახარება“. მეორე გვერდზე, სხვათა შორის, მოხსენებულია მეფის მოძღვარი მღვდელი იესე ყანჩაველი, შონა და მოსამსახურე მეფისა.

არა, რომ ხასიათის სიმტკიცე აკლდა, არამედ იმ მოსახრებით, რომ დროთა ვითარების შესაფერს დასკვნას დასდგომოდა.

ნდობა და სიყვარული, რომელიც მოპოვებული ჰქონდა მას ხალხში, ამტკიცებს, რომ იგი არ იყო ჩვეულებრივი ბატონი, კერძო ინტერესით აღსავსე, — მას ხელმძღვანელობდა იმერეთის კეთილ-დღეობა, და თავის ძალ-ღონით, შეგნებითა და მოუდრეკელობით ემსახურა მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდის. დედა-აზრად მისის მოქმედებისა შეიქმნა სურვილი დამყარდეს ძლიერი შეერთებული სამეფო დასავლეთ საქართველოისა და შემდეგ განმტკიცებულის წეს-წყობილებით თავისი გავლენა გადაიტანოს აღმოსავლეთ ივერიაზედაც.

თუმცა ღღენი თავისნი მან ბრძოლაში გაატარა — ჯერ ტახტის მამიებელთან, კონსტანტინე ბატონიშვილთან, შემდეგ სამეგრელოს მთავართან და ბოლოს — რუსის მთავრობასთან, მაინც იგი პოულობს დროს ჩაუყაროს მტკიცე საფუძველი სახელმწიფო გამგეობას. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები მოწმობენ, რა დაწყობილება შემოიღო სოლომონ მეორემ სამსახურის საქმეში.

უფროსი პირი მეფის კარზე იყო სახლთხუცესი. ეს თანამდებობა ეკუთვნოდა ზურაბ წერეთელს. უპირველესი მისი მოვალეობა იყო გაწერა და მოგროვება სახელმწიფო ხარჯისა, რადგანაც მას ეკუთვნოდა მებათედი ნაწილი. ამას გარდა, მებათედი მიუტანდნენ საჩუქრად ორსა ან სამ ქისსას\*) წელიწადში. მეფის ნაბოძებიდან ყმათ სახლთხუცესს ეკუთვნოდა თითო კომლზე თითო ხარი. სახლთ-უხუცესობა რჩებოდა ერთს გვარში, თუმცა ხშირად მემკვიდრეობით იგი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე.

სახლთხუცესი გამგებელი იყო ყველა სახელმწიფო საქმეებისა. იგი თვალ-ყურს ადევნებდა მეფის შემოსავალს, რომელსაც შეადგენდა: 1) იჯარებიდან 1809 წ. 97 ქისსა, ანუ

\*) ქისსა — 500 ოსმალური პიასტრია.

20,000 მან., 2) საურნე — თითო კომლზე ორი მარჩილი \*), 3) საუდიერო — კომლზე ექვსი ბათმანი ხორბალი (ბათმანი = 11 გირვანქა), ან-და 15 ბათმანი ლომი და 120 თუნგი ღვინო. მთელს სოფელს შეაწერდნენ აგრეთვე პირუტყვის ისე, რომ ათს კომლზე მოდიოდა ერთი ძროხა და რამდენიმე ცხვარი და ქათამი. სახასო ყმათ ეღვათ გადაუწყვეტელი ხარჯი, მათ შეაწერდა სახლთხუცესი „თავის შეხედულობით“. 4) მეფის შემოსავალს შეადგენდა აგრეთვე ჯარიმა: ქურდს ერთმეოდა ერთი — ხუთად. ამ ხუთი ნაწილიდან ორი შეირიცხებოდა სახელმწიფოდ, ორი წილი ეძლეოდა უხუცესს; 5) ქონება უმემკვიდრეოდ ამოწყვეტილისა შეირიცხებოდა სამეფოდ \*\*). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კერძო საკუთრება მეფისა და სახელმწიფო ქონება როდი იყო განსაზღვრული — ორივე მეფის სარჩო იყო. დედოფალს შემოსავალი ჰქონდა: საკუთრად: 12 ქისა და 274 კომლი აზნაური და გლეხი. მისი შემოსავალი არ აღემატებოდა 2000 მ.; ბატონიშვილებს ჰქონდათ საკუთრება — საბატონიშვილო.

მეფის ქონების გამგებლობისათვის სახლთ-ხუცესს ჰყავდა თანაშემწენი: 1) ხაბაზთ-უხუცესი. ამ თანამდებობაზე ამოირჩეოდა ყოველთვის თავადი ნიჟარაძეთაგანი. ის იგზავნებოდა ხორბლისა და ლომის მოსაკრებად, თითონვე იყო მოვალე მის შენახვისა და ამ შრომისათვის მას ეკუთვნოდა შეათედი ნაწილი; 2) მეღვინეთ-უხუცესნი: სვიმონ წერეთელი და ერთი დოსელიანთაგანი; ესენი აგროვებდნენ და ინახავდნენ ღვინოს, რისთვისაც მათ ორივეს ერთად მიეცემოდათ შეათედი; 3) მე-

\*) სოლომონ მეფის დროსაო, — უამბობს მონუცი ს. მერკვილაძეს („რაქა“, გვ. 971), — გადასახადი თვითოეულ ოჯახზე ორი აბაზი იყო, მეტი ჩვენ არა ვიცოდით-რაო. მხოლოდ ხან და ხან სოფელზედ თითო თაინს (ძროხას ან ხარს) მოჰკრეფდნენ ხოლმე მეფის და მის ამაღლის გამაჰსპინძლებლად.

\*\*) ფურცელაძე. „Груз. двор. грамоты“, გვ. 21.

სტუმრეთ-უხუცესი: ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ იოსელი-  
ანთაგანს, და ან საყვარელ მისთაგანს. ესენი მოაგროვებდნენ  
პირუტყვსა, რისთვისაც მათ ეძლეოდათ ტყავი და თითო ბა-  
თმანი ხორცი თითო ძროხაზე.

მეფესთან იყვნენ შემდეგი თანამდებობის პირნი: 1) მორ-  
დალი ანუ ბეჭდის შემნახავი (ავალიშვილთაგანი). სიგელზე  
ბეჭდის დამსმელს აძლევდნენ ხუთს მარჩილს კომლზე და იჯა-  
რიდან თითო მანეთზე ოროლ გროშს; 2) მალფეთ-უხუცესი  
(წერეთელთაგანი): მათ ებარათ სახელმწიფო ფული და ქა-  
ნება; იღებდნენ შეათედს საჩუქრის გაცემის დროს \*); 3) ფა-  
რეშთ-უხუცესი (აზნ. აბაშიძეთაგანი). ებარა მათ საქმელ-სას-  
მელი მეფის სახლისა; ეძლეოდათ საჩუქარი მეფის ნებით და  
შეთედის მეფისაგან ნაბოძები ტანისამოსისა, მეფის ძველი სა-  
ლამური ტანისამოსი, ქვეშაგები, ხალიჩები, ალთაფი, ტაშტი  
და სხვ.; 4) მეჯინბეთ-უხუცესი (თავ. აბაშიძეთაგანი): ეძლე-  
ოდათ შეათედი მეფისაგან განსაჩუქრებული ცხენი; მეფის ჯო-  
გიდან კვიცი და თვალ-წამხდარი ცხენები; მეფის ომში და  
ნადირობაში გამოწველი ტანისამოსი და ძველი უნაგირი;  
5) ბაზიერთ-უხუცესი (აზნ. ყროჩვეთაგანი): ამას ებარა მეფის  
მიმინო, ქორი, ბაზიერი და სხვ.; 6) შეძალღეთ-უხუცესი (თავ-  
დგირიძეთაგანი), რომელსაც ებარა მეფის ძაღლები. ამ ორს  
მოხელეს ჯამაგირად ჰქონდათ შეათედი ფრინველისა და სხვ.  
სტაგისა, რომელიც გროვდებოდა ქორთა და ძაღლთა საზრ-  
დოდ. რასაკვირველია, როგორც თავ. ზურამ წერეთელი სწერს,  
ჰქონდათ საერთო მოხელეებს სხვა სარგებლობაც, მაგალითად,  
მომატებულს ხარჯს აგროვებდნენ და ან მეტად აფასებდნენ  
მეფის ნაჩუქარს, რათა მეტი სარგებელი მიეღოთ, ხშირად ძა-  
ლად აფუჭებდნენ ქეჩებს, და სხვ. სოლომონ მეფის დროს იმე-

\* ) დედოფლის მამულებს ყურს უგდებდა ბოქალთ-უხუცესი ვახუ-  
შტი წერეთელი, რომელსაც ამ თანამდებობიდან ჰქონდა დამტკიცებუ-  
ლი შემოსავალი. („Двор. грамоты“).

რეთი ექვს მაზრად იყო გაყოფილი. სამოქალაქო გამგებლობისათვის: ვაკე, ოკრიბა, საჩხეიძეო, არგვეთი, რაჭა და ლეჩხუმი. სამოურავონი იყვნენ: 1) ქუთაისისა (თავ. წულუკიძეთაგანი), 2) საჩხერისა (თავ. წერეთელთაგანი), 3) ლომსიათხევისა (აზნ. მაკავარიანთაგანი), 4) ხონისა (აზნ. აბულაძეთაგანი), 5) საპაიქავოსი (თავ. ლორთქიფანიძეთაგანი), 6) საჯავახოსი (თავ. ლორთქიფანიძე), 7) საჭილაოსი (აზნ. კორძაია), 8) ფარცხანაყანევისა (თავ. ნიუარაძე), 9) გეგუთისა (თავ. იაშვილი), 10) რიონისა (აზნ. მესხი), 11) ვარციხისა (თავ. წერეთელი), 12) სიმონეთისა (აზნ. კლდიაშვილი), 13) მუხურისა (აზნ. საყვარელიძე), 14) საზანოსი (თავ. ავალიშვილი), 15—16) საქარისა და კვარისა (თავ. აბაშიძე), 17) მანდისა და ხიდის-კარისა (თავ. ლეონიძეთაგანი), 18) გალულისა, ღერბისა, ჭადრათისა (თავ. ჯაფარიძე), 19) ჭყვიშისა (თავ. გელოვანი) და სხვა. დასახელებული მოურავნი ცხოვრობდნენ ან მეფის ციხეში, ან საცა სახასო ყმანი იყვნენ.

საეკლესიო მამულების მოურავებად ირჩეოდნენ ეკლესიის ნება-დართვით. მოურავი შემოსავალს გაჰყოფდა ხშირად იმდენ ნაწილად, რამდენი ოჯახიც იყო იმათ გვარში. მოურავს შემდეგი სარგებლობა ჰქონდა: მოგზაურობაში სასმელ-საჭმელი ეძლეოდა მოუკლებლივ და სახლში ძღვენი. სარგებლობდა ამორჩევით ერთი სახასო გლეხით, რაც დებულება იყო. ქვრივების საჩექმო ეკუთვნოდა მას. მოურავს მოუხნავდნენ, დაუთესავდნენ და მოუმკიდნენ; ეძლეოდა მსახური და მეფის ნაჩუქარიდან მიეცემოდა რამდენიმე ნაწილი.

ქუთაისის მოურავს საზრდოდ ჰქონდა: იჯარების შემოსავალი მარილისა, თევზისა, საქონლისა, საქმის გარჩევისა. მას ეკუთვნოდა სარდლობის ხარისხი. სამართალს აწარმოებდნენ მღვანებგანი ან სახლში, ან „ჩრდილოვან ხის ქვეშ“. სამოქალაქო საქმე განირჩეოდა ფიცით \*): უნდა დაეფიცნა პასუხის

\*) ფურცელაძე. „Груз. крестьянскія грамоты“, გვ. 104.

მგებელს რამდენიმე თანამოფიცარიოთა, რომელნიც თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ მოჩივრისა ხარისხით. ათს მარჩილად ღირებულს საგანზე საჭირო იყო ერთი თანამოფიცარი, ოცს მარჩილზე—ორი და სხვ. ვინც ვერ იქირავებდა საჭირო რიცხვს მოფიცართა, ის გამტყუნდებოდა. შეადგენდნენ პატარა ბარათს და აქვე აძლევდნენ გამართლებულს მხარეს. როცა ირჩეოდა საქმენი გაცარცვისა, მკვლელობისა, ტყვეთა გასყიდვისა, მაშინ მდივანბეგნი მოიწვევდნენ მოწმეთა და ქეშმარიტების დასამტკიცებლად დამნაშავეს თავს ამართლებინებდნენ გახურებულის რკინით, მღულარე წყალითა და ხმალში გასვლით. რადგანაც ვახტანგ მეფის კანონით კაცის მკვლელს დიდი ჯარიმა ედვა ფულად, ამიტომ სხვანაირ მიუწყოდნენ: 1) ვინც წინაღვე განზრახვით მოჰკლავდა კაცს, მას დასწვამდნენ, ან ცოცხალს დამარხავდნენ და მოკლულის სასარგებლოდ ფულსაც ახდევინებდნენ. 2) ვისაც გაეყიდნა სამზე მომატებული ტყვე, მას ორივე ხელ-ფეხს მოსჭრიდნენ; სამზე ნაკლების გამყიდავს—ან ხელს, ან ფეხს მოსჭრიდნენ. ნაქურდალი ერთი ხუთად გადახდებოდათ. ქურდებისა და ავაზაკების პოვნა ვალად ედოთ ხევისთავთ (თავ. ბარათაშვილთ), რომელნიც იღებდნენ ჯარიმის მეხუთედს. სამოქალაქო საქმე დაბოლოვებული ჯარიმის გამართმევით აღსრულებაში მოჰყავდათ ბოქაულებს. ამათ ეკუთვნოდათ მეთაერი მამულის ფასისა ან ჯარიმისა: თითო აბაზი მოფიცარზე, თითო ოჯახიდან საურის აკრეფაზე ცამეტი ფარა. ამ შემოსავლიდან ბოქაულთ-უხუცესი აძლევდა ნაწილს ბოქაულებს. უკმაყოფილონი დიამბეგთა განაჩენით, ჩივოდნენ მეფესთან. მეფე კვალად გაარჩევინებდა საქმეს და ხან თითონ აპატიებდა დამნაშავეს სიკვდილით დასჯას.

სოლომონ მეფის დროს იყვნენ სამნი სარდალნი. უფროსს მათ შორის, თავ. ქაიხოსრო წერეთელს, ჰყავდა განმგებლობაში ჯარი ახლადელის შორაპნისა და რაჭის მაზრისა. იმას ჰქონდა ორი ბაირალი: ერთი მწვანე აბრეშუმის ფარჩისა წმ.

გიორგის ნატიო \*), მეორე—წითელ ადგილიანი ფარჩისა და ზედ გამოხატული ჯვარცმა იესო ქრისტესი; ოკრიბის სარდალს თავ. აგიაშვილს ჰქონდა თეთრი და ჩაღის ფერი ბაი-რალი, ზედ გამოსახული ჯვარით მზე-მთვარით; ჯარი ვაკისა (ქვემო იმერეთისა) ებარა თავ. სვიმონ წულუკიძეს თავის ბაი-რალით. ვინც ომში შოერიდებოდა სამსახურს, მას ყაბალახის მაგივრად დახურავდნენ ლეჩაქს; ვინც ახირებით უარს ჰყოფდა ომში წასვლას, მას ჩამოართმევდნენ ყმას. ღირსეულთ სამსახურისთვის ასაჩუქრებდნენ თოფით, ცხენით, თანამდებობით. მაგრამ ომში უფრო საშოკრისათვის მიდიოდნენ, დავლის მოსაპოვებლად, რასაც მეფე ვახტანგი დაწვრილებით განმარტავს. თუ წაღებული საგზალი თვითოეულს თავისთვის არა ჰყოფნიდა. მოჰკრეფავდნენ გარემეშო მდებარე სოფლებში, უთანასწოროდ, ვინც შეხვდებოდათ. მშვიდობიანობის დროს ჯარს დაითხოვდნენ და რჩებოდნენ მხოლოდ მეფის გუშაგნი. ზოგ-ზოგს ციხეში ეყენათ ჯარი და ხარბახნებიც ბოლოს დროს იმგვარს ციხეებში, როგორც იყო კვარის ციხე, ჩხერი, ნაგორევი, ხოტევი და სხვ.

ასეთი ცნობებია იმერეთის სამეფოს გამგეობაზე დაბეჭდილი ჟურნალს „ცისკარში“ (1860 წ., წიგნი პირველი).

სოლომონ მეფის სახელმწიფო მოქმედებას ასურათებს აგრეთვე ჩვენამდე მოღწეული გუჯრები და სიგელები. იგი ცდილობდა სიყვარული მოეპოვებინა დიდ-კაცობისა და ხშირად თავის ინტერესს ანაცვალებდა მათ გაძლიერებას. აჩუქა 1789 წ. თავ. ნიკოლოზ წერეთელს, სამეფო სახლის ბავშვობიდან თავგანწირვით მოსამსახურეს, ბერის ბარათაშვილის მამული, რომელიც კანონით ეკუთვნოდა თვით მეფეს. ასევე მოიქცა 1792 წელს, როცა მერაბ ნიჭარაძეს გადასცა ზაალ ნიჭარაძის მამ-

\*) სტეფანოს სიუნჯელი, სომხეთის ისტორიკოსი XIII საუკ., ამბობს, რომ ივერიის მეფეს დროშა ჰქონდა თეთრას ფერისა წითელის ნიშნით, ხოლო ორბელიანი გვარს—წითელი დროშა თეთრის ნიშნით.

მული, თუმცა იგი მეფეს უნდა რგებოდა, რადგან პატრონს მემკვიდრე არ დარჩა. მამულებით დაჯილდოების გარდა; სამსახურისთვის სოლომონმა ღირსებით ამაღლებაც იცოდა. ანდრია პარიამაშვილს, მოზდოკელს ვაქარს, აზნაურობა უბოძა. 1806 წ. დაუმტკიცა აზნაურობა ვასილ ხუციშვილს, რომელიც 1780 წ. გაჰყვა რუსეთს კათოლიკოზს და სარდალს თავ. ზურაბ წერეთელს, მეფის ელჩებს იმპერატორის წინაშე. დიდი მწყალობელი იყო სახლთ-ხუცესის თავ. ზურაბ წერეთლისა \*). ამას და ამის ძმისწულს სარდალს თავ. ქაიხოსრო წერეთელს ჩამომავლობით დაუმტკიცა 1805 წ. ყმა და მამული რაჭის ერისთავისა. ყმების გადასახადის შემსუბუქებაზედაც უზრუნავს მეფეს. მან გაანთავისუფლა 1809 წ. გლეხნი ბერიაზალაშვილნი სახელმწიფო ჯარიმისა და ხარჯისაგან; ღვინო, ღომი და ფრინველი აღარ ედოთ ვალად მამის სუფრაზე მისატანად. მწყალობელი იყო იგი ეკლესიისა და სასულიერო წოდებისა: კარის ეკლესიის მღვდელს იესე გრიგოლაშვილს დაუბრუნა ცხენი, მოპარული ჩხეძისაგან, და ამასთანავე მოპარვისთვის დასაჯა ქურდი მით, რომ მისი ყმა და მამულიც მას უბოძა (1797 წ.). სარდალს თავ. ქაიხოსრო წერეთელს 1800 წ. უბრძანებს მეფე: „თუ გიყვარდე, ერთი მოჯალაბე უშოვი და აჩუქე დეკანოზს თქროპირსაო“. 1797 წ. დაუმტკიცა იერუსალიმს ეკლესიას მამული და გადასახადი, რომელიც წინაპრთ დაედოთ იმერეთის სოფლებისათვის. ასეთივე გუჯარი განუახლა ბიჭვინთის ეკლესიას. საყურადღებოა, რომ მეფე სრულს თავისუფლებას აძლევდა სარწმუნოების მაქადაგებლებს. 1803 წ. იგი აძლევს კათოლიკეთა პატერებს სიგელს, რომლითაც მათ ეძლევათ ნება მოაქციონ ჰაპის ერთგულოდ სუყველა, ვისაც კი სურვილი აქვს. ამგვარი მრავალღირსე-

\*) 1803 წ. მეფემ გაგზავნა იმპერატორ პავლესთან აზნაური ნონია ბანდურაშვილი გამოსათხოვად ეკატერინე მეორისაგან ზურაბ წერეთლისთვის. დაპირებულ 18,000 მან.

ბიანი მეფის სიცოცხლე მოისპო უდროოდ უცხრ ქვეყანაში, პატივ-ახდილი და დაეწყებული.

სათხოვარი მუხლები, უქვეშევრდომილესად წარდგენილი საჟმალღესო დასამტკიცებლად, შემდეგი იყო \*):

1) მე სოლომონ, ბაგრატიონთა ჩამომავალი, მეფე სრულიად იმერეთისა და კანონიერი მფლობელი იმერეთის სამეფოისა, ამ აქტის ხელმოწერის დღიდან, ფიცითი დაპირების აღსრულების შემდეგ თვით და ყოველი ჩემი კანონიერი მემკვიდრეებით და სრული ჩემი სამეფოთი ვენდობი სამკვიდრო და ერთგულს ყმობას და ქვეშევრდომობას უმალღესის სრულიად რუსეთის სახელიწითოს აწ ბედნიერად მფლობელს უუგანათლებილესს და უუმორკმულოესს დიდს ხელმწიფე იმპერატორს აღექსანდრე პავლოვიჩს, თვითმპყრობელს სრულიად რუსეთისას და მისს მალალს მემკვიდრეებს.

2) მეორე მუხლში სოლომონი ითხოვს, რომ იმპერატორმა წყალობა მოიღოს, რათა იგი, ძენი მისნი და, თუ მაშრობითი მემკვიდრე არ მისცა ღმერთმა, მის შემდეგ ბატონიშვილი კონსტანტინე დავითის ძე და მის ჩამომავალი უფროსობით აღჭურვილნი იყვნენ იმერეთის მეფის უფლებებით და წინაშე იმპერატორისა ერთგულობის მოვალეობითა, რის დასამტკიცებლად გაბედნიერდეს უმალღესი წყალობის წერილით (გრამოტით) როგორც თვით, აგრეთვე მისი ჩამომავალი ტახტზე ასვლისთანავე დამტკიცებულ იყოს გურიის იმერეთისაგან ხელქვეითობა.

3) მეფე ითხოვს, რომ იმერეთის სამეფოში მას ეკუთვნოდეს სამარტოლის წარმოება და მიეცეს მას კანონი, რომლის ძალითაც დაისჯებოდნენ კაცის მკვლელნი, ტყვეების გამსყიდავნი, ქურდები და ავაზაკნი, რადგანაც სიკვდილით

\*) ვთარგმნი რუსულით და მომყავს მუხლებს შინაარსი წიგნიდან „Акты кавказ. археогр. ком.“, т. VI, дополн. и приложение ко 2 части, № 18-ეს ხელშეკრულება დაიღო ციციანოვის დროს.

დასჯა რუსეთში აკრძალულია, გენერალ ციციშვილის სიტყვითაა.

4) ითხოვს რუსის ჯარს იმერეთის მტერთაგან დასაცველად და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

5) თუ ოქრო-ვერცხლისა და სხვა შადნების შექმნავება დაიწყება, ნუ მოაკლებს იმპერატორი მას იქედან შემოსავლის ნაწილის წყალობას;

6) ახალ გაშენებულ ქალაქის შემოსავლიდანაც ნაწილი მომეცესო.

7) ამ თხოვნის სანაცვლოდ ვპირდები ერთგულებას იმპერატორსაო.

8) რუსის ჯარს ვალდებული ვარ აფუშნო და გავუთხო სახლიო.

9) ამ ჯარს უნდა ვაძლიოთ პური, ღომი, ქერი, თივა იაფ ფასადაო.

10) მადნების შესაქმნავებლად იაფ ფასად ვუშოვი მუშებსაო.

11) თუ იმერეთის ტყე გამოსადეგი იქმნება რუსის ფლოტისთვის, იგი არ აუკრძალავს ტყეში სარგებლობას იმ ხეებით, რომელსაც რუსეთის აფიცრები აირჩევენ. ხოლო ხეების მოსაჭრელი და გასატანი ცოტაოდენი უნდა მეფის სასარგებლოდ გადაიხადონო.

12) დადიანის სამფლობელოდან წამოყვანილ ტყვეებს და ეპბრუნებს და მის მამულზე პრეტენზია არ მექნებაო.

13) გავწმენდავ გზას ქართლისკენ, ოდიშ და ფოთისკენ და კარგად შევინახავო.

14) კონსტანტინე დაჰითის ძეს ვუთმობ მამულს, რომელსაც ეწოდება საბატონიშვილო.

15) მეფე ითხოვს, რომ ბატონიშვილი ან ქართლში, ან რუსეთში გადაასახლონ, მისცენ შესაფერი განათლება და იმერეთს მოაშორონ მიზეზი აღელვებისა.

16) ნავთ-სადგურებიდან ქართლში იმერეთზე ვატარებულს

საქონელზე ბაჟს არ აიღებს, ამის მაგივრად ითხოვს რუსეთის საბაჟო შემოსავლიდან დანიშნულს ნაწილსა.

17) გადასვლა იმერეთიდან ქართლში აკრძალულ იქმნას.

ამ მუხლებს ხელს ვაწერ და ფიცით ვპირდები იმპერატორს ერთგულებასო.

ფიცი მასთან მიიღეს თავადებმაც, სახლთ-უხუცესმა ზურაბ წერეთელმა, სარდალმა ქაიხოსრო წერეთელმა და სხვ.

ახალი შეკრულობის მუხლები ტორმასოვის დროს იყო შემდეგი:

1) ჩვენ, მთელის იმერეთისა და სხვათა მეფე სოლომონ II, არჩილის ძე, მემკვიდრეობით მფლობელი უძველესის იმერეთის სამეფოისა, ბაგრატიონთ შთამომავლობისა, აღვიარებთ უდიდებულეს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე I პავლეს ძის უხენაეს უფლებას.

2) პირობას ვსდებთ ახალის ქრისტიანულის ფიცით, რომ ერთგული ვიქნები მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა.

3) ამ ხელშეკრულობის დამტკიცების დღიდან, მივიღებ ფიცს თუ არა, ვიქნებით როგორც მე, ისე ჩემი შთამომავლობა, დიდის რუსეთის ტახტის ქვეშევრდომნი და მორჩილნი.

4) მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოწყალებით, იმერეთის სამეფო ჩემს ხელში უნდა იქმნეს, და ჩემ სიკვდილის შემდეგ ჩემს შვილებისა და შთამომავლობის ხელში, ასე რომ, ყოველთვის, როცა-კი ტახტზედ ავლენ, დამტკიცებულ უნდა იქმნენ რუსეთის ხელმწიფისაგან და თან გამოცხადებული, რომ გურია—იმერეთის ნაწილია და ვერც ვერასოდეს განშორდება!

5) მის იმპერატორებითი უდიდებულესობის უხვის ხელის მოწყალებას ზოგიერთ შემოსავლის შესახებ არ ვიქნე მოკლებული, ასე რომ, თუ ჩემს სამეფოში რაიმე ოქროს ან ვერცხლის მადნები აღმოჩნდება, მათ დასამუშავებლად რაიმე

ქარხნები და ფაბრიკები გაიხსნება — შემოსავალში მეც ნაწილი უნდა მქონდეს.

6) პირობას ვსდებ, რომ ყოველივე მის იმპერ. უდიდებ. განკარგულება კრძალვით და მშვიდათ მივიღო.

7) თუ ჩვენს ტყეებში აღმოჩნდა ისეთი ხეები, რომელიც ხომალდების გასაკეთებლად ივარგებს, მაშინ არც მე და არც ჩემს შთამომავლობას არ გვექნეს ნება ფული ვითხოვოთ მხოლოდ მუშის ფული, რაც ერგებათ, უნდა გადაიხადოთ და მასალას ჩემი ხალხი შავი ზღვის ნაპირას მოგატანთ.

8) თუ რუსეთის შემოსავლიდან რაიმე ნაწილი გვექნება მის იმპერ. უდიდებულესობ., მაშინ არც ჩვენ გადავახდევინებთ რუსეთის ვაქრებს ბაჟს იმ საქონელზედ, რომელიც ქართლიდან იმერეთში შემოაქვთ და ვაქრობენ.

9) ჩემს სამეფოში ჯარი მხოლოდ 120 კაცი იდგეს, სადაც მე მსურს და როგორც თავ. ციციანოვის გადაწყვეტილობაც იყო.

10) ჩემთან ხელმწ. იმპერ. მხოლოდ ერთი მინისტრი იმყოფებოდეს, რომელსაც შეეძლება ჩემი ერთგულება დაამტკიცოს და შემდეგ ხელმწიფეს აცნობოს.

11) თუ ჯარს ესურვება ჩემს სამეფოზედ გამოვლა, მე მექნეს ნება ყოველგვარის ხარჯის მიცემისა მათთვის იმ ფასად, რომელიც უფრო შესაფერი იქნება.

12) დავადგენ, რომ დღესასწაულ დღეებში მოიხსენონ ჩემს ეკლესიებში ალექსანდრე პავლეს ძე და მთელი გვარეულობა მისი.

ამის მაგივრად უნდა მომეცეს:

1) ნება თავისუფალი მეფობისა, ღირსეულის ქვეშევრდომის დაჯილდოვება და უღირსთა დასჯა.

2) უსათუოდ დამტკიცებულ უნდა ვიქმნე მეფედ, მეფის ყოველგვარ კუთვნილებით.

3) თუ ვინმე ჩემს ქვეშევრდომთა შორის ან ჩემს ნათეს

საჯებში მეფობის უარს ჰყოფს, — რუსეთის იმპერატორი უნდა დაძვინჯოს და დამამშვიდებინოს იგინი.

4) თუ როდისმე მტერი დაეცემა ჩემს ქვეყანას და საჭიროებამ მოითხოვა ჯარის დახმარება, საქართველოს მთავარ-მართებელს ნება უნდა ჰქონდეს მომხმაროს და მტრები დაძვინჯოს.

5) ნება მქონდეს, როდესაც საჭიროება მოითხოვს, შიკრიკი გამოვგზავნო პირდაპირ ხელმწიფესთან, რომელსაც ჩემი წერილი პირდაპირ უნდა გადაეცეს. ნება არა ჰქონდეს არავის ჩემი გავზავნილის კაცის დაკავებისა და ან გზიდგანვე დაბრუნებისა.

6) ჩემს მფლობელობაში უნდა დაჯდეს ლეჩხუმი, რაჟმელიც სისხლით მაქვს აღებული და რომელზედაც მაქვს ფიცით მიღებული პირობა თავ. ციციანოვისაგან.

7) ამ ხელ-შეკრულობის დღიდან არავის არა ჰქონდეს ნება უჩემოდ იმერეთიდან ქართლში გადასახლებისა, აგრეთვე ქართლიდან იმერეთში, თუ მთავარ-მართებლის ნება-ყოფლობა არ არ ექნება. ვინც გადმოსახლებულეები არიან, დღემდის, ისინი იქვე დარჩნენ, სადაც დღეს იმყოფებიან.

ამ ხელ-შეკრულობას ვათავებ ამით და ხელს ვაწერ, რათა ყველა აქ მოხსენებული მუხლი წარდგენილ იქმნეს მის იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე და მიღებული შეუცვლელად \*).

\*) არქეოგრაფ. კომისიის აქტები, IV, გვ. 217.

# „ცოდნა“-ს

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და თხუსწლებანი ჩვენი მკოსანთა და მწერალთა, აგრეთვე სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული ყოველ გვარი სახელმძღვანელოები.

აქვე ისყიდება: დარბაზის კეკლუცად მოსართავი, ქართულ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები 30 კ.-დგან 50 კაპეიკამდე.

მსურველთ დაუყონებლივ გაეგზავნება ფას დადებითაჲ.

მისამართი: ტფილისის წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

მაღაზიის პატრონი სოსიკო შერვაშიაძე.

